ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2014 წ. თებერვალი, №2 (43), ფასი 3 ლარი

ყირიმის ომი და აფხაზეთი

15

ინგლისისა და საფრანგეთის გეგმით, ყირიმი და საქართველო უნდა გადასცემოდა ოსმალეთს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო, რომლის სათავეშიც შამილი მოიაზრებოდა.

ჩაი და მისი ადგილი საქართველოში

32

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

რა გეგმები ჰქონდა სტალინს თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით

4

საქართველოს პერსპექტიული საზღვარი 1945-46 წლის პროექტით (ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი, ლაზისტანი)

- - - - -

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დასავლეთი საზღვარი (ჭანეთის ჩათვლით)

საქართველოს სპეცსამსახურების მომავალი მისი წარსულის სამართლებრივ და ზნეობრივ შეფასებაშია 9

XIX საუკუნის ქართული პრესა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეკონომიკურ განვითარებაზე 24

საქართველო-ირანის ურთიერთობის საკითხისთვის 29

საქართველოს ეროვნული ვალუტის სიმბოლიკის ნიმუში 36

ნიკოლოზ ტიხონოვმა თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების დიდი ნაწილი საქართველოს მიუძღვნა 42

ქალი, რომელმაც შეძლო ის, რაზეც მამაკაცები მხოლოდ ოცნებობდნენ 44

ცხენბურთი — ქართული ეროვნული სახეობა თამაში 46

სარჩევი

დიპლომატიის ისტორიიდან

■ **იოსებ სტალინი: თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოს მინა-წყალი** 4

თვალსაზრისი

■ **საქართველოს სპეცსამსახურების მომავალი მისი წარსულის სამართლებრივ და ზნეობრივ შეფასებაშია** 9

კავკასია და რუსეთი

■ **ბექან ხორავა: ყირიმის ომი და აფხაზეთი** 15

პრესის არქივიდან

■ **XIX საუკუნის ქართული პრესა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეკონომიკურ განვითარებაზე** 24

თანამშრომლობის პერსპექტივები

■ **საქართველო-ირანის ურთიერთობის საკითხისთვის** 29

სოფლის მეურნეობა

■ **ჩაი და მისი ადგილი საქართველოში** 32

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 34

კონკურსი

■ **კარლო მოისწრაფიშვილი: საქართველოს ეროვნული ვალუტის სიმბოლიკის ნიმუში** 36

სარედაქციო ფოსტა

■ **ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს** 38

საქართველო და რუსი პოეტები

■ **ნიკოლოზ ტიხონოვმა თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების დიდი ნაწილი საქართველოს მიუძღვნა** 42

ალპინიზმი

■ **ქალი, რომელმაც შეძლო ის, რაზეც მამაკაცები მხოლოდ ოცნებობდნენ** 44

ეს საინტერესოა

■ **ცხენბურთი — ქართული ეროვნული საცხენოსნო თამაში** 46

მივიწყებული ტრადიციები

■ **ევროპული ხარისხის ქართული ალტერნატივა** 49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

იოსებ სტალინი: თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოს მიწა-წყალი

ყარსის კონფერენციის შემდეგ

ლონდონი, 1947 წლის ოქტომბერი. ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია მიმდინარეობს. სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია... მოულოდნელად სესიაზე საქართველოს ტერიტორიების საკითხი წამოიჭრა... კამათი მწვავდება... ემოციები ზღვარს გადასცილდა... რაშია საქმე? რამ გამოიწვია ასეთი დიდი ვნებათაღელვა? რატომ დაისვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიების საკითხი? რატომ დაობდნენ სესიაზე ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით? — ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დიპლომატიის ისტორიას უნდა გადავხედოთ. მაშ ასე, რა მოხდა ყარსის კონფერენციის შემდეგ...

ორად გაყოფილი აჭარა

მოსკოვისა და ყარსის მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ თვალსაჩინო რუსი ბოლშევიკი, ლეონიდ კრასინი, ხედავდა რა, როგორც რუსეთ-თურქეთის, ასევე საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელშეკრულებათა ნაკლოვანებას, მიმართავს რსფსრ მთავრობის (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარეს — ვლადიმერ ლენინს, რომ ჩვენ მიერ ამას წინათ დადებული ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა მდ. ჭოროხის აუზი, რომელშიც სპილენძის უმდიდრესი საბადოები და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სპილენძსადნობი ქარხნებია (განვმარტავთ, რომ 1920 წლის ბოლოს ამ ქარხნების რეკონსტრუქცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა იმპორტული დანადგარებით). სამწუხაროდ, ხელშეკრულებების ხელმოწერისას ჩვენი მხრიდან არ ყოფილა რაიმე მცდელობა, რათა უზრუნველგვეყო ამ ქარხნებისა და საბადოების იჯარით აღება მაინც. ვფიქრობ, ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს... ჩვენ დიდ მატერიალურ დახმარებას ვუწევთ თურქებს და სამართლიანი იქნება, კომპენსაციის სახით საბადოების დამუშავების უფლება მაინც მივიღოთ...

„გვიანღა იყო თითზე კბენანი... თურქები ჯერ ყოყმანობდნენ, შემდეგ კი უარი თქვეს რუსეთის წინადადებაზე. არადა, დღეს მურღულის სპილენძსადნობი ქარხანა რამდენიმე ათას ტონა სპილენძს ადნობს წელიწადში...

ახლა ვნახოთ, როგორ შეხვდა აჭარის საზოგადოება ბათუმის ოლქის ორად გაყოფის ფაქტს. ამ მიზნით მოვიხმოთ ერთ-ერთი იმდროინდელი საიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც 1922 წლის 22 ნოემბერს ბათუმიდან რუსეთის კონსული კონსტანტინ იუსტი უგზავნის გიორგი ჩიჩერინს, ლევ კარახანსა და „ნარკომინდელის“ სხვა ხელმძღვანელებს:

„სრულიად საიდუმლოდ. მოხსენება ერთ ეგზემპლარად. მიმდინარე მომენტი აჭარისტანში

...უპირველეს ყოვლისა, საკითხი საზღვრების შესახებ. აჭარის ინტელიგენცია, მათ რიცხვიდანაც კი, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე დარჩნენ, ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადებისას თურქმა დიპლომატებმა გააცურეს“ ჩვენები, უმთავრესად იმ პუნქტში, სადაც მოცემულია საზღვარი საბჭოთა და თურქულ აჭარას (ართვინის ოლქი) შორის. მათი მიზანი იყო შეექმნათ საბჭოთა აჭარის კოლოსალური ეკონომიკური მიზიდვა თურქული აჭარისაკენ და ამ მიზანს თურქებმა ბრწყინვალედ მიაღწიეს.

თურქეთის აჭარა ძლიერ მიისწრაფის ბათუმისაკენ, როგორც საექსპორტო და საიმპორტო პუნქტისაკენ, მაგრამ ბათუმისა და საბჭოთა აჭარის მიზიდვა ართვინისა და არტაანისაკენ უფრო მეტად ძლიერია... ართვინი და არტაანი ბათუმისა და საბჭოთა აჭარის მთავარი ეკონომიკური ბაზაა, რომლის გარეშეც მათ ცხოვრება უჭირთ. ართვინი და არტაანი - ეს ბათუმისა და მთლიანად აჭარის ბეღელია.. წინათ ყველა პროდუქტს ბათუმი აქედან ღებულობდა, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებამ კი და-

არღვია ეს მტკიცე ეკონომიკური ძაფები... ხშირად აჭარლები სინანულით იგონებენ მეფისა და ქართველი მენშევიკების დროსაც კი, რადგან მაშინ ართვინსა და არტაანში მისვლა ადვილი იყო. ახლა კი აჭარის ეკონომიკა გახლეჩილია ორ ნაწილად და ამ ორი ნაწილიდან ცხოვრება ყველაზე მეტად საბჭოთა აჭარას უჭირს. თურქმა „მავრმა" გააკეთა ეს „გენიალური" საქმე, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა ამით და არ წასულა, თურქებმა ჩაიდინეს კიდევ ერთი დიდი ბოროტება ბათუმის მიმართ. ეს ბოროტება გამოიხატება სოფელ აჭარისწყალთან 5 კმ-ის მოშორებით საზღვრის გაყვანაში... აქ თურქების მიერ მოწყობილი საბაჟო ყველაფერს ართმევს გლეხებს, როგორც კონტრაბანდას და ახდევინებს ჯარიმებს... ამის შედეგად გლეხები ბოროტდებიან და ძველი მენშევიკების დროს კვლავ სინანულით იხსენებენ. არადა, საბაჟოს გაუქმება არ შეიძლება, რადგან ეს მოიფიქრეს თურქებმა მოსკოვის ამ ჩვენს საუბედურო მეგობრობისა და ცბიერული ძმობის ხელშეკრულებაში".

ნუ დავიწყებთ, რომ ამ საკმაოდ კრიტიკული მოხსენების ავტორია ცნობილი საბჭოთა დიპლომატი კონსტანტინ იუსტი! უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს წერილი გახდა მიზეზი ლევ კარახანის პირადი მიმართვისა იოსებ სტალინისადმი, რომელსაც აცნობებდა აჭარის ხელოვნურად გახლეჩვის" გამო შექმნილ სიძნელეებს.

გარდა ამისა, **რუსეთის მთავრობისთვის ცნობილი გახდა ბათუმში დაარსებული თურქეთის გენერალური საკონსულოს მუშაკების მიერ წარმოებული პროპაგანდა ადგილობრივ მუსლიმანებს შორის, აჭარის მთლიანად ხელში ჩაგდების მიზნით.** არქივში დაცულია შესაბამისი დოკუმენტებიც, მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (გეპეუ) უფროსის მოადგილის — იოსებ უნშლიხტის მოხსენებითი ბარათი:

„რსფსრ სრულიად საიდუმლოდ. ინფორმაციის განყოფილება.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს, ამხ. კარახანს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, 24 მარტი, 1923 წ.

ამიერკავკასიის ჩეკადან მიღებული მასალების საფუძველზე ვახდენთ კონსტატირებას, რომ თურქეთის კონსული ბათუმში იბრაჰიმ–ტალი ბეი ეწევა დიდ პოლიტიკურ და სადაზვერვო მუშაობას, ჩვენს წინააღმდეგ მომართულს...

გასული წლის 30 ოქტომბერს იბრაჰიმ ტალი ბეი ართვინს ესტუმრა. მან მონაწილეობა მიიღო ართვინის ადმინისტრაციისა და თურქეთის მომხრე გავლენიანი აჭარლების ერთობლივ თათბირში. განიხილებოდა ზემო და ქვემო აჭარის გაერთიანების საკითხი, პლებისციტის მოწყობა — ვის პროტექტორატის ქვეშ იქნებოდა გაერთიანებული ავტონომიური აჭარისტანი. იბრაჰიმ-ტალი-ბეიმ განაცხადა, რომ საბჭოთა აჭარის მოსახლეობის ნახევარის ხმა უკვე უზრუნველყოფილია თურქეთის სასარგებლოდ..."

ბუნებრივია, რომ თურქი კონსულის მოქმედებას ოფიციალური თუ არა, ფარული მხარდაჭერა მაინც ექნებოდა ანკარიდან. ასე რომ, ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმდროინდელი თურქეთის არცთუ მთლად კეთილმეზობლურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, მიუხედავად უკვე რატიფიცირებული ყარსის ხელშეკრულებისა.

რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტების გამომზეურება სულაც არ ნიშნავს თურქეთის 1921-1923 წლების საგარეო პოლიტიკისადმი რაიმე ჩრდილის მიყენებას. ისინი მხოლოდ აფიქსირებენ და ნათლად გვიჩვენებენ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა აჭარა რუსი და ქართველი ბოლშევიკების არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით.

მიუხედავად იმისა, რომ ნათელი იყო საზღვრების ასე უსამართლოდ დადგენა საქართველოსთვის, ბუნებრივია, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. 1923 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის დემარკაციის პროცესი ორმხრივი შერეული კომისიის მიერ, რომელიც დასრულდა 1926 წლის 8 სექტემბერს თბილისში ხელმოწერილი გენერალური ოქმით. ამ დოკუმენტით პრაქტიკულად დაფიქსირდა სოფელ სარფის ორად გაყოფაც.

1925 წლის 17 დეკემბერს მოსკოვსა და ანკარას შორის დაიდო ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შეთანხმება, რომლის თანახმად, მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი და თურქეთი შეინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს და მონაწილეობას არ მიიღებდნენ რაიმე მტრულ აქტში ერთმანეთის მიმართ. მანამდე კი, ლოზანის კონფერენციაზე, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თურქეთი იურიდიულად აღიარეს „ეროვნული პაქტით" დეკლარირებულ საზღვრებში.

ამ პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას: საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში, რომლებიც რთულად და არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა, საბჭოთა რუსეთის ფაქტორმა საფრთხე შეუქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებმა თურქეთს საშუალება მისცა, გარკვეული გავლენა მოეხდინა აჭარაზე, მისთვის სასურველ ხელსაყრელ მომენტში.

ლაზისტანი მოსკოვის გეგმებში

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, პრეზიდენტ მუსტაფა ქემალ ათა-თურქის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობებში გაცივების სიმპტომები გაჩნდა: ანკარამ გეზი დასავლეთთან ინტეგრაციაზე აიღო, დაიდო ურთიერთდახმარების შეთანხმება ინგლისთან და საფრანგეთთან. ამასთან, თურქე-

თი იძულებული იყო დიპლომატიურად „ეთამაშა“ ფაშისტურ გერმანიასთანაც და ანგარიში გაეწია მესამე რაიხის ინტერესებისთვის. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე ხელი მოეწერა თურქეთ-გერმანიის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. აქვე შევნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომში თურქეთმა, მართალია, ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ სინამდვილეში გერმანიას სამხედრო მრეწველობისა და ვერმახტისთვის საჭირო სტრატეგიული ნედლეულით ეხმარებოდა... გარდა ამისა, **საბჭოთა კავშირთან ომში გერმანიის წარმატების შემთხვევაში თურქეთი იმედოვნებდა კავკასიის რეგიონში შემოჭრასა და მის დაკავებას. 1941 წლის ივლისის შუახანებში საბჭოთა დაზვერვის მოპოვებული ცნობებით თურქეთის გეგმები კრემლისთვის აშკარა გახდა. ამიტომ შესაძლო აგრესიის მოგერიების მიზნით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი.** თურქეთის საზღვარზე ბათუმიდან არარატამდე განლაგდნენ 45-ე და 46-ე არმიის ნაწილები. იმავე პერიოდში, გერმანიის გეგმების ნეიტრალიზების მიზნით, დიდ ბრიტანეთთან შეთანხმებით, სპარსეთის (ირანის) ჩრდილოეთ ნაწილში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილები შევიდნენ და დაიკავეს ქალაქები თავრიზი, ასტარა, არდებილი, ფეხლევი, რეშტი, მეშხედი, ხოი და ურმია (თურქეთის საზღვართან).

სპარსეთში საბჭოთა ჯარების შეყვანა საკმაოდ ადვილს ხდიდა თურქეთთან შესაძლო სამხედრო ოპერაციის წარმოებას. ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერიოდში (1941 წლის მეორე ნახევარი) უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი არ გამორიცხავდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შეყვანას ძველ ქართულ პროვინცია ლაზისტანშიც (რიზე, ტრაპიზონი, გიუმიშანე, ორდუ). სავარაუდოა, რომ სწორედ მაშინ იქნა შემუშავებული რეკომენდაცია („სამახსოვრო“) **წითელი არმიის მებრძოლებისთვის, რომლის თანახმად, ლაზისტანის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანის შემთხვევაში მოსახლეობის წინააღმდეგობა გამორიცხული არ იქნებოდა. თანაგრძნობა შეიძლება გამოხატულიყო მხოლოდ იმ ლაზებისაგან, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ... წინააღმდეგობის გაწევა ძირითადად მოსალოდნელი იყო რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე. „სამახსოვროში“ საუბარი იყო, აგრეთვე, იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო საბჭოთა ჯარისკაცი თურქეთის ტერიტორიაზე: მკაცრი დისციპლინა, ლაზი ქალებისადმი და უფროსი ასაკის ადამიანებისადმი პატივისცემა და სხვ.**

საბჭოთა კავშირთან ომში გერმანიის წარმატების შემთხვევაში თურქეთი იმედოვნებდა კავკასიის რეგიონში შემოჭრასა და მის დაკავებას. 1941 წლის ივლისის შუახანებში საბჭოთა დაზვერვის მოპოვებული ცნობებით თურქეთის გეგმები კრემლისთვის აშკარა გახდა. ამიტომ შესაძლო აგრესიის მოგერიების მიზნით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი.

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი სპარსული პრეცედენტის გამეორებას ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე ფიქრობდა — თურქეთის ტერიტორიაზე ჯარებს შეიყვანდა და საზღვარზე ერთგვარ ბუფერულ ზონას შექმნიდა. მართალია, იმ ხანებში საბჭოთა ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა — წითელ არმიას უჭირდა, მტერი მოსკოვს და ჩრდილოეთ კავკასიას უახლოვდებოდა, ამიტომ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ნაწილი სასწრაფოდ სხვა ფრონტებზე გადაისროლეს...

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველ წლებში სახელმწიფო საზღვრის საქართველოს უბანზე დარღვევებმა მკვეთრად იმატა. როგორც უშიშროების ორგანოები და ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობა თვლიდნენ, ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში მთავარი მადესტაბილიზირებელი ფაქტორი იყო ადგილობრივი მცხოვრებლები — თურქული წარმოშობის პირები და მაჰმადიანი ქართველები (მესხები). მათ მასობრივად დააბრალეს თურქებთან თანამშრომლობა და 1944 წლის ნოემბერში შუა აზიაში გადაასახლეს. ოფიციალურად ეს ოპერაცია თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებად შეფასდა.

დავუბრუნდეთ ისევ თურქეთის მდგომარეობას და საბჭოთა დიპლომატიის ნაბიჯებს.

სტალინის განცხადება

1943 წლის ნოემბერში, როცა თეირანში „დიდი სამეული“ (სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი) შეიკრიბა, ანკარა ჯერ კიდევ განაგრძობდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებას, თუმცა, როგორც სტალინმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ითვლება დიდი ბრიტანეთის მო-

რუკა, რომელზეც სქემატურადაა მოცემული საქართველოს მომავალი საზღვრები

კავშირედ და საბჭოთა კავშირის მეგობრად, საჭიროა, მან დაამთავროს თამაში გერმანიასა და ჩვენს შორის“. ანკარა იმ ხანებში აშკარად თავს იკავებდა გერმანიის საწინააღმდეგო ნაბიჯებისგან, რადგან ჯერჯერობით არ იყო ნათელი, ომში ვინ გაიმარჯვებდა. მხოლოდ 1944 წლის 2 აგვისტოს განაცხადა თურქეთმა, გერმანიასთან კავშირს ვწყვეტო, ხოლო 1945 წლის 23 თებერვალს ომიც გამოუცხადა.

„დიდი სამეულის“ იალტის კონფერენციაზე (1945 წლის თებერვალი), როცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი იხილებოდა, იოსებ სტალინმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში თურქეთის სუვერენიტეტი არ შეილახებოდა. თითქოსდა ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა იალტის სამიტიდან ხუთიოდე კვირის შემდეგ, 1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად, თურქეთთან 1925 წლის 17 დეკემბერს დადებული ნეიტრალიტეტისა და მეგობრობის შეთანხმება აღარ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას და მოსკოვი მის დენონსაციას აპირებდა. ცხადია, ანკარის ინტერესებში მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭება არ შედიოდა, ამიტომ თურქეთის ელჩმა სელიმ სარფერმა საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ მოლოტოვს ახალი შეთანხმების დადება შესთავაზა. დიპლომატიურმა პაუზამ მაისის ბოლომდე გასტანა, ივნისის დასაწყისში კი მოლოტოვმა სარფერს განუცხადა: **„საბჭოთა კავშირი ეთანხმება თურქეთის წინადადებას, მაგრამ ახალი შეთანხმების დადებამდე სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხი უნდა მოგვარებულიყო“.** სელიმ სარფერისთვის საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა მოულოდნელი იყო, მან კატეგორიულად უარყო ტერიტორიული პრეტენზიები და ყველაფერი თავის მთავრობას ანკარაში აცნობა, ანკარამ კი თავის მოკავშირეს — დიდ ბრიტანეთს. ამ დროიდან საბჭოთა პრესაში ნელ-ნელა მატულობს თურქეთის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა.

„დიდი სამეულის“ პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის ივლისი) თურქეთის ტერიტორიული საკითხი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 22 ივლისს, საღამოს 17 საათსა და 07 წუთზე დასვა. მან აღნიშნა, რომ თურქეთი ძალზე შეშფოთებულია საბჭოთა კავშირის მოთხოვნებით: **„მე მსურს, გენერალისიმუსის ყურადღება მივაპყრო ამ საკითხზე და განვაცხადო, რომ თურქეთის დაშინება არ შეიძლება. თურქეთი შეშფოთებულია ბულგარეთში საბჭოთა ჯარების თავმოყრით და საბჭოთა პრესაში დაწყებული კამპანიით... მსურს ვიცოდე საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხზე“.**

იოსებ სტალინმა სიტყვა ვიაჩესლავ მოლოტოვს გადასცა, რომელმაც უინსტონ ჩერჩილს საბჭოთა მოთხოვნები განუმარტა: **„ჩვენი მხრიდან არის საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია... ზოგიერთ ადგილზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარს ჩვენ ვთვლით უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს საბჭოთა სომხეთს და საქართველოს თურქეთმა წაართვა ტერიტორია, რომელიც მოიცავს ყარსის, ართვინისა და არტაანის ოლქებს... ამიტომ მე განვაცხადე, რომ სანამ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დავდებთ, მანამდე საჭიროა მოვაგვაროთ თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოსა და სომხეთის მიწების ბედი და მათ ეს ტერიტორიები უკან დაუბრუნდეთ“.**

აშშ-ის პრეზიდენტის — ჰარი ტრუმენის წინადადებით, ამ საკითხის განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო. 23 ივლისის სხდომაზე კი იოსებ **სტალინმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „ბუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც**

პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდნენ. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ასევე ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვვალდებულობთ დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთი ასევე ვალდებულობს დაიცვას ჩვენი საზღვარი. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა გაასწორონ საზღვრები და თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“.

ჰარი ტრუმენმა, სხდომის დაძაბული ატმოსფერო რომ გაენეიტრალებინა, განაცხადა, — ტერიტორიული საკითხი მხოლოდ ორი სახელმწიფოს საკითხია და ის საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის უნდა გადაწყდეს.

ამასობაში ანტირუსულ-ანტისაბჭოური მასალები თურქეთის პრესაშიც მომრავლდა. გაზეთები წერდნენ „წითელ ფაშიზმზე“, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა გერმანული ფაშიზმისაგან. გაზეთი „თასვირი“ 1945 წლის 23 ივლისს წერდა: „რუსეთს ჩვენს მიწა-წყალზე თვალი უჭირავს, მას სურს ხელში ჩაიგდოს ჩვენი სამი აღმოსავლეთის ვილაიეთი, მოსკოვი უკვე შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას. დღემდე საბჭოთა რუსეთი თავის დამპყრობლურ პოლიტიკას ფარული წესით ახორციელებდა — ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში გზავნიდა თავის მომხრეებს და მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში ეხმარებოდა, შემდეგ კი ასეთი „საბჭოთა მთავრობები“ მიმართავდნენ რუსეთს მასთან შეერთების მიზნით. ასე იქნა მოსპობილი საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ლიტვა... მოსკოვს ასეთივე პოლიტიკის გატარება სურს თურქეთთანაც, მაგრამ ეს არ გაუვა... არც ერთი თურქი არ დათანხმდება თავისი ტერიტორიის რაიმე ნაწილის გადაცემაზე“.

თურქეთს ართვინ-არტაანის დაკარგვა არ სურდა, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს (და სომხეთს) უნდოდა საკუთარი უძველესი მიწა-წყლის დაბრუნება. თბილისიდან (და ერევნიდანაც) მოსკოვს გაიგზავნა შესაბამისი არგუმენტები ზემოთ ნახსენები ტერიტორიების კუთვნილებაზე. აი, საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსკოვში ვ. მოლოტოვის, ა. ვიშინსკისა და ვ.დეკანოზოვის (დეკანოზიშვილის) სახელზე გაგზავნილი ცნობა:

„სრულიად საიდუმლოდ.

თურქეთის შემადგენლობაში არსებული საქართველოს ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით

1921 წლის 16 მარტს რსფსრ-სა და თურქეთს შორის დაიდო „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება, ხოლო 1921 წლის 13 ოქტომბერს — ანალოგიური ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორისაც. ეს ხელშეკრულებები, როგორც ცნობილია, ხელმოწერილ იქნა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებისთვის მძიმე წლებში.

1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებით საბჭოთა რესპუბლიკები, ომი რომ თავიდან აეცილებინათ, იძულებულნი იყვნენ, დაეთმოთ თურქებისადმი, მათი უსაფუძვლო მოთხოვნის გამო, საკუთარი ტერიტორიის ნაწილი.

ამრიგად, საბჭოთა ამიერკავკასიას ჩამოშორდა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორი და მთლიანად ართვინის, არტაანისა და ყარს-ყაგიზმანის ოლქები, აგრეთვე, ყოფილი ერევნის გუბერნიის სურმალინის მაზრა. (...) იმის გამო, რომ გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ დიდი სამამულო ომის დროს თურქეთმა, ფაქტობრივად, დაარღვია და ცალმხრივად შეწყვიტა მეგობრობის ხელშეკრულებების მოქმედება, შესაძლოა, დადგეს საკითხი ამ ხელშეკრულებათა დენონსაციის შესახებ, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე.

1878-1918 წლების საზღვრების აღდგენის საკითხში საქართველოს სსრ-ს შეუძლია დაასაბუთოს თავის ტერიტორიაზე ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის, ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქების მიერთება, რომელთა საერთო ფართობია 12.789 კვ.კმ. (...)

თუ ტერიტორიული საკითხის გადაჭრამ მოითხოვა, საქართველოს სსრ-ს შეუძლია დაასაბუთოს თავისი უფლებები დამატებით სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული პროვინციის კიდევ სამ რაიონზე — პარხალზე, თორთუმზე და ისპირზე. (...) ასევე შეიძლება წამოიჭრას საკითხი ლაზისტანის შესახებ. ლაზები, რომელთა გათურქების პროცესი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს, ქართველურ ტომებს მიეკუთვნებიან და ქართული ენის დიალექტზე ლაპარაკობენ. თუ ლაზისტანის უშუალოდ შემოერთების შესაძლებლობა გამოირიცხება, მაშინ უნდა დავაყენოთ მისი ავტონომიის საკითხი.

სამხრეთ-დასავლეთი მესხეთისა და ლაზისტანის მიწების საქართველოსთან შემოერთება საბჭოთა კავშირისთვის სასარგებლო იქნებოდა... ასეთი საზღვარი უზრუნველყოფს საქართველოს სსრ-ისა და შავი ზღვის პორტ ბათუმის უშიშროებას სამხრეთიდან“.

ამ ცნობას თანდართული აქვს ზემოხსენებული ტერიტორიების მოკლე აღწერილობები, აგრეთვე, რუკა, რომელზეც სქემატურადაა მოცემული საქართველოს მომავალი საზღვრები.

სიმონ კილაძე

საქართველოს სპეცსამსახურების მომავალი მისი წარსულის სამართლებრივ და ზნეობრივ შეფასებაშია

მეოცე საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენიდან — საბჭოთა კავშირის დაშლიდან და კომუნიზმის იდეების მსხვრევიდან 23 წელი გავიდა. ამ ისტორიულ პერიოდში პოსტსაბჭოთა საქართველოში ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. შესაბამისი ისტორიული ცოდნის დეფიციტმა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოუცდელობამ ქვეყანა აბობოქრებულ ოკეანეში უაზროდ მოდრეიფე ხომალდს დაამსგავსა.

კვლავ აქტუალური გახდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენლის (სანდრო კარიძე — „დათა თუთაშხია“) მიერ გამოთქმული მოსაზრება: **„რუსეთთან შეერთებამ ყველა პრობლემა ერთბაშად მოხსნა, მაგრამ ერთი კანონზომიერი რამ მოხდა: ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა, მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრულიად აღარაფერი; ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოსდ ერთი საქმე აქვს — სძოვოს. ასი წელიწადია ვბალახობთ, ჩვენი ერთადერთი ფუნქციაა — ვჭამოთ, ვსვათ, შვილები ვზარდოთ. გათავდა, ასეთმა ფუნქციამ ძველი, ტრადიციული ზნეობა გადააგვარა და დღეს თუკი ვისმე თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული აქვს, მხოლოსდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია სულიერ ღირებულებათა შორის. აი, ჩემი აზრით, ეს დავკარგეთ...“** საქართველომ დაკარგა საერთაშორისო ფუნქციები და მას „მსოფლიო-ისტორიული მისია“ აღარ გააჩნდა.

რუსეთის იმპერიაში ორასწლიანი ყოფნის შემდეგ, საქართველოს რეგიონში ისტორიული მისიის მოძებნა (აღდგენა) გაუჭირდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ამ პროცესს დღემდე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ზესახელმწიფოები, რომლებიც დღემდე ვერ ეგუებიან რეგიონში დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშის გამოჩენას, მის მისწრაფებებს — იყოს ანგარიშგასაწევი ძალა და ცდილობენ საიდუმლო სამსახურების მეშვეობით მასზე ზეგავლენის მოხდენას. შესაბამისად, საქართველოს და მთლიანობაში რეგიონის მიმართ წარმოებულმა პოლიტიკამ კულუარული ხასიათი მიიღო და ის მეტწილად დიდი სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების საიდუმლო პროგრამებზე და გეგმებზე აიგო.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას იძენდა ის, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები სსრ კავშირის დაშლის პირობებში ყველაზე გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, მოხერხდებოდა თუ არა ამ უწყების რეფორმირება, თუ საჭირო გახდებოდა, თვისობრივად ახალი სპეცსამსახურის ჩამოყალიბება და როგორ ზნეობრივ ბაზისს დაეფუძნებოდა ის.

განვლილმა პერიოდმა თვალნათლივ დაგვარწმუნა იმ ისტორიულ ჭეშმარიტებაში, რომ სპეცსამსახური, თავისი კლასიკური გაგებით, არის მხოლოდ იარაღი მმართველების ხელში და თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ამ სამსახურს, დამოკიდებულია მათ კეთილსინდისიერებაზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს მთელი ის პრობლემები, რაც ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების ურთიერთობებს ახასიათებთ.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდგომი პერიოდიდან დღემდე საქართველოს სპეცსამსახურებმა ურთულესი გზა გაიარა.

ისეთ ვითარებაში, როდესაც სპეცსამსახურები ფუნქციას კატასტროფული დაღმავლობით კარგავდნენ, ნელ-ნელა იჩინა თავი კორუფციულმა მიდრეკილებებმა. თანამშრომელთა ერთ ნაწილში მიძინებულმა უარყოფითმა ინსტინქტებმა თანდათან გაიღვიძა. ერთი ყაიდისა და აზროვნების ადამიანებმა ერთმანეთი სწრაფად მოძებნეს და უზნეობის მორევში გადაეშვნენ. სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურაში სხვადასხვა უწყებებიდან თანამშრომელთა გადაყვანა-აღრევა, მუდმივი სტრუქტურული რეორგანიზაცია და საკადრო

ცვლილებები, იმთავითვე ამ უწყების სენად იქცა.

პატიოსანი პროფესიონალების სახელს ამოფარებული სპეცსამსახურის თანამშრომელთა ერთი კატეგორიისათვის ზნეობა დეფიციტური ცნება გახდა. ისინი, სამწუხაროდ, თანდათანობით აწესებდნენ სპეცსამსახურებისათვის მიუღებელ მორალს. განსაკუთრებით გამოიკვეთა მოშლილი საკადრო პოლიტიკა, თანამშრომელთა შერჩევისა და მომზადების (სწავლების) სისტემა, რომელიც შემდგომ წლებში დაღად დაემჩნა მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემას. დარღვეული იყო ოპერატიული საქმისწარმოების მემკვიდრეობითობა, დაკარგული იყო ზნეობრივი ტრადიციები, პროფესიონალური ღირსების გრძნობა.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა გაურკვეველი ვიწრო მიმართულებით იყო ორიენტირებული და წვრილმანი ტაქტიკული ამოცანების გადაწყვეტით შემოიფარგლებოდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კონტრდაზვერვითი საქმიანობისათვი სპეციფიური ხასიათის სამართლებრივი ბაზის არარსებობა. კონსტიტუციური წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი რეგულირებაც, ახლადმიღებული „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის სუსტი ნორმების გამო, არ იძლეოდა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების სწორად დაგეგმვასა და პროცესებზე ადექვატურ რეაგირებას. მიუხედავად წლების მანძილზე არსებული პრობლემებისა, **საქართველოს სპეცსამსახურების წესიერი და პროფესიონალი თანამშრომლები, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, მაქსიმალურად ცდილობდნენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.**

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ (სახელმწუფო გადატრიალების — ე. შევარდნაძე) შემდეგ, სულ მოკლე ხანში საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები გაერთიანდა. დაიწყო, უკვე მერამდენედ, მორიგი სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა ძირითადად ინფრასტრუქტურის გაჯანსაღებაში, სისტემის და თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესებაში, თვალთვალისა და მოსმენის თანამედროვე ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებების დანერგვასა და მყარ სოციალურ გარანტიებში გამოიხატა, რაც, ერთი შეხედვით, მისასალმებელი ფაქტი იყო. სასწრაფოდ დაიწყო საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაც. სამწუხაროდ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებასთან ერთად, მთელი სამართალდაცვის სისტემა და სპეცსამსახურები სულ სხვა მიმართულებით განვითარდა.

თანდათანობით გამოიკვეთა ქვეყნის მართვის სისტემაში ტოტალიტარული და დიქტატორული მიდრეკილებები. მართვის სტილს, ფორმებსა და მეთოდებს ერთი პიროვნება და მორჩილთა ერთი ვიწრო ჯგუფი განსაზღვრავდა. მათი გადაწყვეტილებების აღსრულებას, ზოგჯერ აღვირახსნილი ვნებების დაკმაყოფილების ორგანიზაციას კი, ხშირ შემთხვევებში, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საიდუმლო სამსახურები და მთლიანობაში სამართალდამცავი სტრუქტურები უზრუნველყოფდნენ. **წლობით კონკურენციის გარეშე დარჩენილი ხელისუფლება განსაკუთრებით სცოდავდა ადამიანის უფლებათა სფეროში.**

ათასობით უკანონოდ დაპატიმრებული და გასამართლებული პირი, უამრავი ეჭვმიტანილი, რომელთაც სხვათა მსგავსი ბედი ელოდა, მუდმივი თვალთვალი ცალკეული კატეგორიის ადამიანებზე და მათი ოჯახის წევრებზე, უკანონო მოსმენები და ვიდეომონტაჟები, მოდელირებული „სპეცოპერაციები“, შანტაჟი და დევნა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ სისტემით უკმაყოფილო უცხოეთში მცხოვრებ ან იძულებით გახიზნულ თანამოქალაქეებზე, ჯაშუშომანიის ისტერიით შეპყრობილი მანიაკალური აზროვნების პოლიტიკოსთა იდეოლოგიისა და სამართალდამცავ ორგანოებში, მათ შორის სპეცსამსახურებში მოკალათებულ მლიქვნელთა და კარიერისტთა ძალისხმევის შედეგია.

სამართალდაცვის სისტემა — შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთლიანად პოლიტიზირებული იყო. ის ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფი ერთი პოლიტიკული ძალის ინტერესებს ემსახურებოდა და მისი „მებრძოლი ავანგარდი“ იყო, ისე, როგორც „ჩეკა“ ემსახურებოდა ბოლშევიკურ (კომუნისტურ) პარტიას მთელი მისი არსებობის მანძილზე.

სამწუხაროდ, საქართველოს სპეცსამსახურები ძირითადად სატელეფონო მოსმენებსა და ვიდეო-აუდიო მაკომრომეტირებელი მასალების მოპოვებაზე გადაერთვნენ, რისი უზომო შესაძლებლობებიც სამინისტრომ თავის დროზე მიიღო. სამომავლოდ, აუცილებლად გასათვალისწინებელია გამრუდებული ფსიქიკა იმ ოპერატიული მუშაკების, რომლებიც წლების მანძილზე ისმენდნენ და უყურებდნენ იმ ამაზრზენ კადრებს, რომელთა მცირედი ნაწილი საზოგადოების ერთმა ნაწილმა საკუთარი თვალით იხილა.

სამწუხაროდ, ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ფონზე რეპუტაცია ელახებოდა უმცირესობაში დარჩენილ პატიოსან ოფიცრებს და ჩრდილი ადგებოდათ მათ ოჯახებს.

სისტემა ზნეობრივი თვალსაზრისით იმდენად დეგრადირებული აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად ახალი ხელისუფლების პირობებში განხორციელებული ფასადური ცვლილებებისა, ის საზოგადოებისათვის გარკვეული ხასიათის საფრთხეს წარმოადგენს. საფრთხის შემცველია უპირველეს ყოვლისა უკანონო, არასანქ-

ცირებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული, ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია, რომელსაც მოქმედი, დათხოვნილი, თუ გაქცეული ოპერატიული და ხელმძღვანელი მუშაკები ფლობენ.

საქართველოთი (და არა მარტო) დაინტერესებული ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურისათვის ფასდაუდებელია და მნიშვნელოვანია ის ვიდეო-აუდიო მასალა, რომლის შემქმნელი, შესაძლებელია წინასწარი განზრახვითაც კი, საქართველოს შინსახკომია. ოფიციალურად გაკეთებული განცხადებების თანახმად, მაკომპრომეტირებელი მასალები ძირითადად მოპოვებულია პოლიტიკოსებზე, ჟურნალისტებზე და დიპლომატებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომზადებულია ამ კატეგორიის ადამიანთა გადმოსაბირებლად შესანიშნავი ბაზა.

ანზორ მაისურაძე

სისტემა ზნეობრივი თვალსაზრისით იმდენად დეგრადირებული აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად ახალი ხელისუფლების პირობებში განხორციელებული ფასადური ცვლილებებისა, ის საზოგადოებისათვის გარკვეული ხასიათის საფრთხეს წარმოადგენს.

თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეყნიდან გაქცეულ მაღალი თანამდებობის პირების სამსახურებრივ შესაძლებლობებს გადავხედავთ (მათ შორის არის მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც კონკრეტულად სახელმწიფო უშიშროების მიმართულებას ხელმძღვანელობდა), დიდია ალბათობა იმისა, რომ ზემოაღნიშნული მასალები, უკვე დიდი ხანია, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის — სპეცსამსახურების ხელშია. შესაბამის შედეგსაც მალე უნდა ველოდოთ.

ცალკე საუბრის თემაა ის, თუ რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული აღნიშნულ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტს დაქვემდებარებულ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დანაყოფს, დაზვერვის სამსახურს.

ნიშანდობლივია ისრაელის პრეზიდენტის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნების — შიმონ პერესის, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს გაცემული გულწრფელი პასუხი ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა ანიჭებდა მას სიამივნებას სამსახურებრივი საქმიანობისგან თავისუფალ დროს. ამ მართლაც ბრძენი კაცის პასუხი, ერთი შეხედვით, იყო მარტივი, თუმცა საკუთარი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის წინაშე პასუხისმგებლობით აღსავსე — „ძილის წინ ისრაელის დაზვერვის ანგარიშების გაცნობა“.

აღნიშნულის ფონზე, **საინტერესოა, ეცნობოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტი და მაშინდელი ხელისუფლება საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ანგარიშებს, სულ მცირე, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების დაწყებამდე და შემდგომ პერიოდში და რა ტიპის რეკომენდაციებს სთავაზობდნენ მათ ქართველი მზვერავები.**

თუკი ქვეყნის სადაზვერვო სტრუქტურა არ ან ვერ ფლობს მოსალოდნელ საფრთხეებზე თუნდაც ანალიტიკურ ინფორმაციას და ვერ იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს, ანდა მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე უბრალოდ არ რეაგირებენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლები, მაშინ, სულ მცირე, კრიზისულ ვითარებაში, და რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის შედეგი საქართველოსთვის კატასტროფული იყო, კრიზისის უმაღლესი გამოხატულება იყო, ამ უწყების ხელმძღვანელი ან თავად უნდა გადამდგარიყო, ანდა გადაეყენებიათ. ასეთია მსოფლიოს ისტორიული პრაქტიკა. ამის შემდეგ

მთლიანად სადაზვერვო სისტემა სერიოზულ რეფორმირებას უნდა დაქვემდებარებულიყო.

ნებისმიერი თაობის ნებისმიერ ღირსეულ პროფესიონალს, განსაკუთრებით დაზვერვის მუშაკს აუცილებლად დაეუფლებოდა სირცხვილის და უსუსურობის განცდა, როდესაც ვერაფრით ანუგეშებდა ოჯახის წევრებს მისთვის უცნობი ქართველი მზვერავებისა, რომლებიც 2008 წლის 28 ივნისს იქნენ დაკავებულები ჩრდილოეთ კავკასიაში და რომლებიც რუსეთში დღემდე იხდიან სასჯელს და გაუჩნდებოდა პროტესტის გრძნობა იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ქართველი მზვერავები გააგზავნა სადაზვერვო მიზნებისათვის, შემდგომ კი არაფერი იღონა მათ გამოსახსნელად და ისინი ბედის ანაბარად მიატოვა.

იქნებ ეს ყველაფერი ერთი დიდი სპექტაკლის ნაწილი იყო იმ ბინძური ადამიანების მიერ დადგმული, რომელთათვისაც საქართველო და მისი სუვერენიტეტი პოლიტიკური საჯილდაო ქვაა და ადამიანთა ბედი კი სანაგვეზე გადასროლილი ნახმარი ნივთი საკუთარი კარიერისტული მიზნების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაშიც, შეკითხვები საკმარისზე მეტია, როგორც პროფესიონალური, ისე მორალულ-ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

უზნეობაა, როდესაც გწირავენ ადამიანები, რომლებთან ერთადაც ჭირსა და ლხინს იზიარებდი; ავადმყოფური, კარიერისტული მიზნებისათვის, როგორ მორჩილად ასრულებენ ხელმძღვანელობის ნება-სურვილებს და წამიერი ეფექტის მისაღწევად როგორ ლახავენ უდანაშაულო ადამიანების ღირსებას. ასეთ ადამიანებს პასუხი ყოველთვის მზად აქვთ: „რა ვქნათ, ჩვენ რა შეგვეძლო, უფროსის დავალება იყო. რომ გამეპროტესტებია, სამსახურს დავკარგავდი, ოჯახს ულუკმაპუროდ ხომ ვერ დავტოვებდი...“ ასეთებისთვის მთავარია, თვითონ იყოს კარგად, სხვის თავზე კი თუნდაც „ქვას უთოვია“. ისინი ასეთი ზნეობით ცხოვრობენ, მუშაობენ, სხვისი ჩაგვრის ხარჯზე „პროფესიონალი ოპერატიული მუშაკის“ იმიჯს იმკვიდრებენ, შემდეგ ჩინმენდლებით დახუნძლულები „დამსახურებულ“ პენსიაზეც გადიან.

ბოლო რვა წლის მანძილზე საქართველოს სპეცსამსახურების საქმიანობა შეიძლება მოკლედ ასე დახასიათდეს: მმართველი პოლიტიკური და ფსევდოოპოზიციური (მოდელირებული) ძალების სრული მხარდაჭერა ოპერატიული ძალებითა და საშუალებებით და ძალადობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მოწინააღმდეგე სუბიექტების მაქსიმალური შეზღუდვა და განეიტრალება; რეალური კონტრდაზვერვითი საქმიანობის მოშლა და ყურადღების გადატანა ცრუ (მოდელირებულ) აგენტებზე და, შესაბამისი პიარაქციების გამოყენებით, იმის დემონსტრირება, თუ როგორ ებრძვის ხელისუფლება რუსეთის სპეცსამსახურებს, რათა საიდუმლო სამსახურებთან რეალურად კონტაქტში მყოფ პირებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცემოდათ.

რაც შეეხება დაზვერვას, ამ საქმის პროფესიონალებს და საღად მოაზროვნე ადამიანებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, რომ ამ დანაყოფს სერიოზული სადაზვერვო საქმიანობა არ უნდა ეწარმოებია. დაზვერვის დეპარტამენტისგან მხოლოდ აბრა და სახელფასო განაკვეთები იყო დარჩენილი. ხელისუფლება ამ უწყებაში ფულს იხდიდა იმისათვის, რომ მას არაფერი ეკეთებია, ესეც ფუნქცია იყო, თუმცა დანაშაულებრივი და ამორალური.

სამწუხაროდ, საქართველოს სპეცსამსახურები ოთახიდან გამოლასლასებულ გაუპატიურებული კიკუს დაემსგავსნენ, „ნელი ნაბიჯით მომაკვდავი მამისკენ რომ მიდიოდა თვალებით სადღაც სხვაგან, სივრცეში მომზირალი, რომ ამბობდა: — აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული, ბაბა! — ქისა ეკავა, ის ქისა, რომლიდანაც კაზა ჩხეტიამ ხელისგულზე ოქროს თუმნიანები წამოიპნია“.

არისტოტელე ამბობდა: „ვინც წარმატებას აღწევს მეცნიერებაში, მაგრამ ჩამორჩენილია ზნეობრივად, ის უკან მიდის და არა წინ“. ჭეშმარიტი ნათქვამია. ადამიანი ჯერ ზნეობით ფასობს და მერე — წარმატებული კარიერით. წლობით უზნეობის მორევში აღმოჩენილი სამსახური, მისი საკადრო შემადგენლობა, ფასეულსა და ღირებულს ვერც სამომავლოდ შექმნის, პირიქით - მისგან ბორე-

ნებისმიერი თაობის ნებისმიერ ღირსეულ პროფესიონალს, განსაკუთრებით დაზვერვის მუშაკს აუცილებლად დაეუფლებოდა სირცხვილის და უსუსურობის განცდა, როდესაც ვერაფრით ანუგეშებდა ოჯახის წევრებს მისთვის უცნობი ქართველი მზვერავებისა, რომლებიც 2008 წლის 28 ივნისს იქნენ დაკავებულები ჩრდილოეთ კავკასიაში და რომლებიც რუსეთში დღემდე იხდიან სასჯელს და გაუჩნდებოდა პროტესტის გრძნობა იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ქართველი მზვერავები გააგზავნა სადაზვერვო მიზნებისათვის, შემდგომ კი არაფერი იღონა მათ გამოსახსნელად და ისინი ბედის ანაბარად მიატოვა.

ტება უფროა მოსალოდნელი, ვიდრე სიკეთე. უახლესმა ისტორიამ ეს კარგად დაამტკიცა.

როდესაც ავტორიტარული სისტემა იცვლება და ხელისუფლება მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებს ირჩევს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საიდუმლო-სადაზვერვო სამსახურების წარსული პერიოდის საქმიანობის შესწავლა-ანალიზს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია მომავლის სწორად განსჯა და ამ სფეროში რეფორმების გატარება.

საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს ის, თუ რა ხდებოდა ბოლო წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მის ოპერატიულ და საგამოძიებო დანაყოფებში, სპეციალურ სამსახურებში, ბურუსით მოცულ დაზვერვის დეპარტამენტში, აგრეთვე, განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებში, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლები იყვნენ.

გამაოგნებელია IDFI-ის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აუდიტის ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში უარყოფითი მოსაზრებები დეპარტამენტის ფინანსური საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საგანგაშოა აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტის მიერ ჯერ მარტო ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებზე გახარჯული 1. 144. 700 ლარი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ჟურნალისტური გამოძიების რეპორტაჟებში ასეულობით პირთა მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ადამიანის ღირსების შემლახავი უამრავი ფაქტია დაფიქსირებული, რომლებიც სისტემური თვალსაზრისით, დღემდე გამოკვლეული და ოფიციალურ დონეზე დაგმობილი არ არის.

გამაოგნებელია IDFI-ის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აუდიტის ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში უარყოფითი მოსაზრებები დეპარტამენტის ფინანსური საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საგანგაშოა აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტის მიერ ჯერ მარტო ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებზე გახარჯული 1. 144. 700 ლარი.

სამართალდაცვის სფეროში, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში ამ ეტაპისათვის გატარებული რეფორმებისადმი, განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკისადმი გარკვეული იმედგაცრუება შეიმჩნევა ოპტიმისტური მოლოდინის რეჟიმში მყოფ საზოგადოებაში, რომელიც თვლის, რომ ხელისუფლებას აქვს შიში იმ პირთა მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე რეჟიმს მორჩილად ემსახურებოდნენ, რეჟიმისვე სახელით უკანონობებს ჩადიოდნენ და ამავდროულად, არ შესწევთ უნარი (ვერ ჰქმნის სათანადო სისტემას) და არ გააჩნიათ პოლიტიკური ნება უარი თქვას ოდიოზურ, წარსულში სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებში ჩართულ სისასტიკით განთქმულ, დაბალი პროფესიონალური კვალიფიკაციის და ინტელექტის მქონე მოხელეებზე.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ შექმნილ ვითარებაში. მოვიშველიოთ როგორც საბჭოთა პერიოდის, ისე დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორიის მაგალითები.

ერთპარტიული მმართველობის პირობებში, საბჭოთა სამართალდაცვის სისტემამ არაერთი სისტემური და სტრუქტურული რეორგანიზაცია განიცადა, თუმცა მისი იდეოლოგიური ნაწილი არასდროს იცვლებოდა. მთელი სისტემა ერთი შეხედვით, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა და ყველა გზებითა და საშუალებებით, მმართველი კომუნისტური პარტიის ინტერესებს იცავდა.

იმისათვის, რომ ადვილად მართვადი და კონტროლირებადი ყოფილიყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მილიცია და სპეცსამსახურები საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე ხან ერთიანდებოდნენ ერთ სტრუქტურაში და ხან გამოცალკევდებოდნენ და დამოუკიდებელ სტრუქტურებად საქმიანობდნენ.

სტალინ-ბერიას შემდეგ ქვეყანაში ახალი ისტორიული ეპოქა დაიწყო. ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მისი ძირეული რეორგანიზაცია ერთიანი სამართალდამცავი სისტემის რეფორმირების ფარგლებში. ამ მიზნით, 1954 წელს შეიქმნა პარტიული კონტროლის კომისია, რომლის მიზანიც იყო ბოლო წლებში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სოციალისტური კანონიერების მდგომარეობის შესწავლა.

კომისიამ დეტალურად განიხი-

ლა იმ პერიოდში წარმოებული თითოეული ოპერატიული და საგამოძიებო საქმე. გამოიკითხა უამრავი მოწმე, მათ შორის გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები და მათი ხელმძღვანელები. დეტალურად იქნა შესწავლილი ყველა საეჭვო გარემოება და პროცესი, გაანალიზდა დოკუმენტური მასალა. კომისიამ მოამზადა ვრცელი დასკვნა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო როგორც თანამშრომელთა მიმართ საორგანიზაციო-საკადრო გადაწყვეტილებებს.

საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებისგან შემდგარი სამთავრობო კომისიის მიერ იქნა შესწავლილი 1992 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქმიანობაც.

მომზადებული და მთავრობის სხდომაზე განხილული დასკვნა საფუძვლად დაედო საქართველოს ახალი სპეცსამსახურის — საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შექმნას და საკადრო-საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტას.

ჭეშმარიტებაა ის, რომ სწორი მკურნალობა, სწორი დიაგნოზის დასმის გარეშე შეუძლებელია. უფრო მეტიც, თვითმკურნალობა მხოლოდ დამღუპველია.

საქართველოს სპეცსამსახურებისათვის სწორი დიაგნოზის დასმა შესაძლებელია სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი დროებითი სამთავრობო კომისიის საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე. კომისიის მიზანი უნდა იყოს 2004-2012 წლებში საქართველოს სპეცსამსახურებში შექმნილი ვითარების სისტემური შესწავლა, ანალიზი, შესაბამისი დასკვნების მომზადება, ინსტიტუციონალური რეფორმირებისათვის წინაპირობების შექმნა და ამ პროცესის ხელშეწყობა.

კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთი საკითხების კვლევას, როგორიც არის: 2013 წლამდე არსებული სპეცსამსახურების სტრუქტურული მოწყობა; სამართლებრივი ბაზა; საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; სტრუქტურული ერთეულების მართვის პრინციპები; ოპერატიულ-სამძებრო და ანალიტიკურ საქმიანობაში გამოყენებული ფორმები და მეთოდები; კონფიდენციალური თანამშრომლობა; სადაზვერვო-ოპერატიული და ანალიზური ღონისძიებები; ოპერატიულ-სამძებრო საქმისწარმოება, მათი კანონთან შესაბამისობა; ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერება; ოპერატიულ საქმიანობაში გამოყენებული ტექნიკური და რადიოელექტრონული საშუალებები და კომპიუტერული ტექნოლოგიები; ოპერატიული და ანალიტიკური დანაყოფების ურთიერთქმედების ეფექტურობა; სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული რაზმების შექმნის მიზანშეწონილობა და მათი საქმიანობის მარეგლამენტირებელი სამართლებრივი ბაზა; საკადრო პოლიტიკა (პროფესიული მომზადება და გადამზადება, საკადრო სტატისტიკა, შეფასების და პროფესიული ზრდის კრიტერიუმები); მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; თანამშრომელთა სოციალური დაცვა; ოფიციალური თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდაცვის სისტემებთან; საზოგადოებასთან ურთიერთობა და მისი ეფექტურობა და სხვ.

კომისია უნდა დაკომპლექტდეს პროფესიული ნიშნით, მხოლოდ საქართველოს საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, პოლიტიკური თვალსაზრისით არაანგაჟირებული, ნეიტრალური და ობიექტური წარმომადგენლებისაგან: სამართალმცოდნეებისგან, საგამოძიებო ჟურნალისტიკის სპეციალისტებისგან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისაგან, დაზვერვის სპეციალისტებისგან, სოციოლოგებისგან და/ან ფსიქოლოგებისაგან, ანალიტიკოსებისაგან და სხვა სპეციალობის ადამიანებისაგან.

კომისია მოამზადებს ანგარიშს, რომელიც განსჯისთვის და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის წარედგინება საქართველოს მთავრობას და საზოგადოებრიობას.

კომისიის საქმიანობა დადებით შედეგებს გამოიღებს როგორც მოკლევადიანი, სამართალდაცვის სისტემის ინსტიტუციონალური რეფორმირების, ისე გრძელვადიანი პერსპექტივების თვალსაზრისით.

ანზორ მაისურაძე,
თადარიგის გენერალ-მაიორი,
გელა სულაძე,
თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ანალიტიკოსი

საქართველოს სპეცსამსახურებისათვის სწორი დიაგნოზის დასმა შესაძლებელია სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი დროებითი სამთავრობო კომისიის საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე. კომისიის მიზანი უნდა იყოს 2004-2012 წლებში საქართველოს სპეცსამსახურებში შექმნილი ვითარების სისტემური შესწავლა, ანალიზი, შესაბამისი დასკვნების მომზადება, ინსტიტუციონალური რეფორმირებისათვის წინაპირობების შექმნა და ამ პროცესის ხელშეწყობა.

ბეჟან ხორავა

ყირიმის ომი და აფხაზეთი

XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს კვლავ გამწვავდა „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელმაც ამ პერიოდის რუსეთის საგარეოპოლიტიკურ პრობლემებს შორის მთავარი ადგილი დაიკავა.
„აღმოსავლეთის საკითხი“ წარმოადგენდა მწვავე წინააღმდეგობათა რთულ კვანძს, რომლის არსი ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისთვის ბრძოლაში მდგომარეობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობდა ღრმა შინაგანი კრიზისით მოცული ოსმალეთისა და მისი სამფლობელოების დაუფლებას, ახლო აღმოსავლეთის ბაზრების, ამ რეგიონზე გამავალი სავაჭრო გზების, აგრეთვე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გაბატონებას, რაც განუყოფლად იყო დაკავშირებული კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან. „აღმოსავლეთის საკითხის“ გამწვავების კვალად იზრდებოდა კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა. რუსეთის ხელისუფლებას არ შეეძლო ეფიქრა შავი და კასპიის ზღვების რაიონში ექსპანსიის გაფართოებაზე, კავკასიაში განმტკიცების გარეშე.

ახლო აღმოსავლეთში გაბატონების პრეტენზია ჰქონდა ერთი მხრივ რუსეთს, რომელიც ოსმალეთში გავლენის განმტკიცებას ცდილობდა; მეორე მხრივ — ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე დომინირებდნენ, სურდათ ამ რეგიონში გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობის მოპოვება, ოსმალეთისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის დამორჩილება; ავსტრიას ინტერესები ჰქონდა ბალკანეთში, სადაც ასევე რუსეთი ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ეს სახელმწიფოები შიშობდნენ, რომ მოწინააღმდეგეები დაასწრებდნენ, ამიტომ 50-იანი წლების დასაწყისში ისინი ცდილობდნენ, კვანძის გახსნა დაეჩქარებინათ.

1848-1849 წლების რევოლუციების შემდეგ, როდესაც რუსეთის გავლენა ევროპაში კიდევ უფრო გაიზარდა, ნიკოლოზ I (1825-1855) შეეცადა, „აღმოსავლეთის საკითხი“ რუსეთის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. იგი ოსმალეთს „ავადმყოფ ადამიანს“ უწოდებდა, რომლის მემკვიდრეობა დროულად უნდა განაწილებულიყო. ძლიერი მოკავშირის მოპოვების მიზნით ნიკოლოზ I შეეცადა, ინგლისს დაახლოებოდა და გავლენის სფეროების გაყოფაზე მოლაპარაკებოდა, მაგრამ „ნისლიანი ალბიონი“ რუსეთთან გარიგებაზე არ წავიდა; 1848 წლის რევოლუციით შერყეულ საფრანგეთსა და ავსტრიას, რომელიც მან 1849 წელს „იხსნა“, ნიკოლოზ I ანგარიშს არ უწევდა. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ინგლისი და საფრანგეთი დააახლოვა. მათი მთავარი მიზანი გახდა, ხელი შეეშალათ რუსეთისთვის, წაექეზებინათ ბრწყინვალე პორტა და საქმე რუსეთ-ოსმალეთის ომამდე მიეყვანათ.

ინგლისსა და საფრანგეთს სურდათ რუსეთის განდევნა ყირიმიდან და კავკასიიდან. ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ჰ. პალმერსტონის გეგმით გათვალისწინებული იყო რუსეთის დანაწილება. მას უნდა ჩამორთმეოდა მთელი რიგი სამფლობელოები, მათ შორის ყირიმი და კავკასია. ყირიმი და საქართველო უნდა გადასცემოდა ოსმალეთს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც პალმერსტონი ჩერქეზეთს უწოდებდა, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ჩერქეზეთი, რომლის სათავეშიც შამილი მოიაზრებოდა. ჩერქეზეთი უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი ან ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა გადასულიყო. ამ კავკასიურ სახელმწიფოს უნდა გადაეკეტა გზა რუსეთის წინსვლისათვის სამხრეთისაკენ. ამდენად, ინგლისს მხარი უნდა დაეჭირა შამილის ბრძოლისთვის. ინგლისის გეგმები ეთანხმებოდა ოსმალეთის რევანშისტულ მისწრაფებებს, რომელიც ყირიმისა და კავკასიის დაბრუნებას ცდილობდა.

ოსმალეთის გაყოფაზე ინგლისისგან უარის მიღების შემდეგ რუსეთმა გადაწყვიტა, წინ წაწეულიყო და პორტაზე დიპლომატიური ზემოქმედება მოეხდინა. 1853 წლის მარტში რუსეთმა პორტას კატეგორიული ფორმით მოსთხოვა მისთვის ოსმალეთში მართლმადიდებელი ეკლესიისა და სულთნის მართლმადიდებელი ქვეშევრდომების მფარველის უფლების მინიჭება. ამასთან, ეს უფლება დამტკიცებული უნდა ყოფილიყო სულთნის სენედით და არა ფირმანით, რომ მას საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულების ხასიათი ჰქონოდა. ინგ-

ლისი, ერთი მხრივ, რუსეთს აქეზებდა, ხოლო მეორე მხრივ — ოსმალეთს, და საქმე ომამდე მიჰყავდა. რუსეთმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა პორტასთან და ოსმალეთში მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველობისა და პორტას მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფის საბაბით, რომელიც სულთნის მიერ ირღვეოდა, 1853 წლის ივნისივლისში დუნაის სამთავროები დაიკავა. ინგლის-საფრანგეთის დაპირებებით დაიმედებულმა სულთანმა აბდულ მეჯიდ I-მა (1839-1861) 1853 წ. 17 სექტემბერს (9 ოქტომბერი) რუსეთს დუნაის სამთავროებიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა და ულტიმატუმის ვადის გასვლას არც დაელოდა, 4(16) ოქტომბერს ომი გამოუცხადა. დაიწყო აღმოსავლეთის ომი (1853-1856), რომელიც ასევე ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი, რადგან ომის მთავარი მოვლენები ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარდა. ომის თეატრმა ბალკანეთი და კავკასიაც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ყირიმსა და ბალკანეთში რუსეთის მიერ განცდილი მარცხის ერთგვარი კომპენსაცია გახდა რუსეთის ჯარების წარმატება კავკასიის ფრონტზე, თუმცა თავიდან რუსეთისთვის სახარბიელო ვითარება არც ამ ფრონტზე იყო.

ომის დასაწყისში რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა მას ომი გამოუცხადეს. მოგვიანებით, მათ სარდინიის სამეფოც შეუერთდა.

ომის დაწყების წინ რუსეთის ჯარების მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე სავალალო იყო. შამილისა და დასავლეთ კავკასიაში მისი ემისრის — მუჰამედემინის შემოჭრის მუდმივი საფრთხე კავკასიის კორპუსის სარდლობას აიძულებდა, რომ მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მთიელებთან ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა. დამატებით სიძნელეებს ფრონტის ხაზის გაჭიმულობა, გზების უვარგისობა და რთული გუნებრივ-გეოგრაფიული პირობები ქმნიდა.

მუჰამედემინის მიზანი იყო, დასავლეთ კავკასიის მთიელთა დაქსაქსული ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებინა. მეფისნაცვალი კავკასიაში და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი (1844-1854) თვლიდა, რომ მუჰამედემინს შეეძლო გარკვეული წარმატებებისთვის კავკასიონის ქედის სამხრეთითაც მიეღწია, სახელდობრ, აფხაზეთში. 1853 წ. სექტემბერში მ. ვორონცოვმა აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს (1823-1864) აცნობა, რომ შავიზღვისპირეთის საკორდონო ხაზის სარდლის, გენერალ-მაიორ იაკობ კუხარენკოს ცნობით, მუჰამედემინი აფხაზეთში გაემართა თითქოსდა ოსმალეთის ჯარებთან შესახვედრად, ხოლო დასავლეთ კავკასიის მართვა ვინმე ხანუყოს მიანდო. ეს უკანასკნელი ოსმალეთიდან ახალი ჩამოსული იყო. ის სტამბოლიდან ბათუმში ჩამოვიდა, შემდეგ ნავით რედუტყალეს მახლობლად ნაპირზე გადმოვიდა და მერე აფხაზთა ხელშეწყობით მშვიდობიანად მიაღწია მეკჰემეს მდ. ბელაიაზე, სადაც მუჰამედემინი მას დიდი ზეიმით შეხვდა. მ. ვორონცოვმა მიხეილ შარვაშიძეს დაავალა, საჭირო ზომები მიეღო, რათა შემდგომაც არ მომხდარიყო აფხაზეთის გავლით საეჭვო პირების გადაადგილება და, თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, ხანუყოს ხელშემწყობნი გამოევლინა. მ. ვორონცოვს აშფოთებდა მუჰამედემინის აფხაზეთში გამოჩენა, მიხეილ შარვაშიძეს მისი აფხაზეთში გამოჩენა თავისი ღირსების შელახვად მიაჩნდა. „ყველაფერი, რაც აფხაზეთის სარგებლობასა და ზიანს ეხება, ეს ჩემი პირადი სარგებლობა და ზიანია, — წერდა ის. — მე ვარ მთავარი აფხაზეთისა და მხოლოდ მე ერთს მაქვს გავლენა აფხაზეთის ხალხზე. სხვა გავლენა ჩემს სამფლობელოში არ უნდა არსებობდეს, მაგრამ თუკი ის არის, თუნდაც ფარული სახით, რა თქმა უნდა, ის საზიანოა“. პორტა გარკვეულ იმედებს ამყარებდა დასავლეთ კავკასიის მთიელებზე. სულთანმა მუჰამედემინს ფირმანი გამოუგზავნა და დაავალა თურქთა მხედრობისა და არტილერიისთვის, რომელიც დესანტით უნდა გადაესხათ, 2 ათასი ცხენისთვის მოეყარა თავი; ყველა საშუალებით დახმარებოდა თურქთა ჯარს და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მთიელებიც დაერაზმა. ასეთი დავალების მიღების შემდეგ მუჰამედემინმა გარკვეული ზომები მიიღო და აბაძეხებში მეომრებისა და ცხენების შეგროვებას შეუდგა.

კავკასიაში საომარი მოქმედებები იმით დაიწყო, რომ 1853 წლის 15-დან 16 ოქტომბრის ღამით თურქებმა იერიში მიიტანეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეზე (შეკვეთილი), რომელსაც სახაზო ბატალიონის ორი ასეული და გურიის მილიციის ასეული იცავდა. მიუხედავად სიმაგრის დამცველთა მედგარი წინააღმდეგობისა, თურქებმა იერიშით აიღეს შეკვეთილი და გარნიზონი თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს. თურქები დასავლეთ საქართველოში იმთავითვე მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართული სახალხო ლაშქრის მხრიდან. ქართულ მილიციას შეადგენდნენ გურიის 14, სამეგრელო-სამურზაყანოს 12 და იმერელთა რამდენიმე რაზმი. შემოდგომაზე თურქები აფხაზეთის სანაპიროზეც გამოჩნდნენ. 7 ნოემბერს რუსულ სამხედრო ფრეგატ „ფლორასა“ და სამ თურქულ ხომალდს შორის აფხაზეთის სანაპიროზე შეტაკება მოხდა. აფხაზეთის დედოფლის ალექსანდრა შარვაშიძის ბრძანებით ბზიფის ოლქის მცხოვრებნი დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ ბომბორის მახლობლად, რათა ხელი შეეშალათ თურქებისთვის დესანტის გადმოსხმაში, თუ ამის მცდელობა ექნებოდათ. შექმნილი რთული ვითარების გამო კავკასი-

ის კორპუსის სარდლობა ფიქრობდა სოხუმის გარნიზონი ორი ბატალიონით გაეძლიერებინა.

მალე რუსეთის ჯარის ნაწილებმა ქართველთა სახალხო ლაშქართან ერთად პირველ წარმატებას მიაღწიეს თურქებთან ბრძოლაში. 14 ნოემბერს გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ახალციხესთან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ოსმალეთის ჯარის ნაწილებს, რომელთაც ალიფაშა სარდლობდა და ქართლში შეჭრას ან გურიის საზღვარზე თავმოყრილ ჯართან შეერთებას ცდილობდა. შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ბებუთოვმა 19 ნოემბერს მდ. არფაჩაის მარჯვენა ნაპირზე დაამარცხა ოსმალეთის მთავარი კორპუსი სერასკირ აბდიფაშას მეთაურობით, რომელიც თბილისისკენ გაჭრას ცდილობდა.

24 ნოემბერს გენერალმა ი. ანდრონიკაშვილმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის კორპუსი ახალციხესთან, რამდენიმე დღის შემდეგ კი ვიცეადმირალმა პ. ნახიმოვმა სინოპის ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტი გაანადგურა, რომელსაც კავკასიის დაცვისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სინოპთან ოსმალეთის ფლოტის განადგურებამ თურქები აიძულა, თბილისის დაუფლების განზრახვაზე ხელი აეღოთ. ამასთან, სინოპის ბრძოლის შემდეგ რუსეთის ფლოტი გაბატონდა ფაქტობრივად შავ ზღვაზე, რამაც ინგლის-საფრანგეთი შეაშფოთა. მათთვის ცხადი გახდა, რომ მათ გარეშე ოსმალეთი ომში დამარცხდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ ემოქმედათ. 1854 წლის იანვარში ინგლის-საფრანგეთის ფლოტი შავ ზღვაში შევიდა, რაც ლონდონის 1840 და 1841 წლების კონვენციების დარღვევა იყო. თებერვლის ბოლოს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან სამხედრო თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულებას, რითაც ვალდებულება იკისრეს, დაეცვათ „ოსმალეთის პორტას უფლებები“, ხოლო მარტში რუსეთს ომი გამოუცხადეს.

1854 წლის დასაწყისში კავკასიის კორპუსის სარდლობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიმაგრეების ბედის გამო მოკავშირეთა ფლოტის შავ ზღვაზე გამოჩენის შემთხვევაში. მ. ვორონცოვის აზრით, ომის პირველი აქტი იქნებოდა რუსეთის მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს თითქმის ყველა სიმაგრის დაკარგვა, რადგან შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტი ვერ გამოჩნდებოდა და ციხესიმაგრეთა გარნიზონებს ზღვით ვერ გაიყვანდნენ; არც ხმელეთით არსებობდა მათი გამოყვანის შესაძლებლობა, არადა, მტერს ციხესიმაგრეთა გარნიზონი და იქ არსებული საბრძოლო და სასურსათო მარაგი ხელში არ უნდა ჩავარდნოდა. ამიტომ იგი საჭიროდ თვლიდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის გაუქმებას, რადგან მისი დაცვა შეუძლებლად მიაჩნდა. **მ. ვორონცოვის აზრით, მოკავშირეთა ფლოტის სოხუმზე თავდასხმის შემთხვევაში ძნელი იქნებოდა არამარტო ამ მნიშვნელოვანი პუნქტის, არამედ ბიჭვინთის, ბომბორის და, საერთოდ, ამ მხარის შენარჩუნება. მთავარსარდლის შეშფოთებას იმპერატორიც იზიარებდა, თუმცა აფხაზეთის სიმაგრეების მოხსნის აუცილებლობას ჯერჯერობით ვერ ხედავდა, რადგან ამ სიმაგრეთა გარნიზონების სახმელეთო გზით გამოყვანა შესაძლებელი იყო, მაგრამ ადგილობრივი სარდლობის ნების წინააღმდეგ არ წასულა. ამრიგად, შავი ზღვის სანაპირო ხაზის გაუქმებისა და, მათ შორის, აფხაზეთიდან გარნიზონების მოხსნის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყდა.**

1853-1854 წწ. ზამთარში ამიერკავკასიის ფრონტზე შეტევითი ოპერაციები არ განხორციელებულა. 1854 წლის თებერვალში კი მ. ვორონცოვმა აფხაზეთის სიმაგრეებიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს, ვიცეადმირალ ლ. სერებრიაკოვსა და სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსს, გენერალ-მაიორ მირონოვს, ინსტრუქცია მისცა, რომელთაც ბიჭვინთის, ბომბორისა და მრამბის გარნიზონების სახმელეთო გზით სოხუმში გამოყვანა დაავალა, რათა უკიდურეს შემთხვევაში სოხუმი მაინც შეენარჩუნებინათ. რაც შეეხება გაგრას, რომელიც კავკასიელ მთიელებს აფხაზეთისკენ გზას უკეტავდა, იმ დრომდე უნდა შეენარჩუნებინათ, სანამ აფხაზეთის სხვა სიმაგრეებს დაცლიდნენ. სულ მალე კი კავკასიის კორპუსის საინჟინრო სამსახურის უფროსის, გენერალ-მაიორ განზენის მიერ სოხუმისა და მისი შემოგარენის საფუძვლიანი დათვალიერების შედეგად, ზღვიდან შეტევის შემთხვევაში, სოხუმის დაცვაც შეუძლებლად იქნა მიჩნეული.

ასეთ რთულ ვითარებაში, მ. ვო-

რონცოვმა მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო გადადგომა ითხოვა, რაც იმპერატორმა დააკმაყოფილა. 1 მარტს მ. ვორონცოვმა მეფისნაცვლისა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის მოვალეობა დროებით გენერალ ნ. რეადს გადააბარა, ხოლო 4 მარტს თბილისი დატოვა.

4 მარტს მიხეილ შარვაშიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა სარდლობის განზრახვა სანაპირო ხაზის მიმართ, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა. ბარიატინსკის აუწყა აფხაზეთის სამთავროს გარშემო შექმნილი რთული ვითარების თაობაზე და იმ ზომებზე, რომელთა გატარებასაც აპირებდა, რათა მთიელების აფხაზეთში შეჭრისთვის წინააღმდეგობა გაეწია. იგი ფიქრობდა, გაგრის ხეობისა და მდ. ბზიფის ნაპირის გამაგრებას იქ განლაგებული ჯარების გაძლიერებით, რათა ამით აფხაზეთი მუჰამედემინის შემოტევისგან დაეცვა. 6 მარტს ლ. სერებრიაკოვმა ნ. რეადს აცნობა, რომ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეების დაცლას შეუდგა. იმავდროულად, ნ. რეადმა მიხეილ შარვაშიძის წერილიც მიიღო. **აფხაზეთის მთავარი, მხარის შენარჩუნების მიზნით, აუცილებლად თვლიდა აფხაზეთში 10 ბატალიონისა და 30 ქვემეხის გაგზავნას იქაური გარნიზონების გასაძლიერებლად.** მაგრამ ნ. რეადს არც თავისუფალი ჯარის ნაწილები ჰყავდა და აფხაზეთის სიმაგრეების ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო. ნ. რეადმა აუცილებლად ჩათვალა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ აფხაზეთის სიმაგრეებიდან გარნიზონების გამოყვანას, რადგან მოკავშირეთა ხომალდებს აფხაზეთის ნაპირებთან გამოჩენა ყოველთვის შეეძლოთ. შემდეგ შეიძლებოდა ხმელეთითაც ვერ გამოეყვანათ ისინი მდინარეების ადიდების გამო, რაც გაზაფხულიდან აგვისტომდე გრძელდებოდა; ამასთან, ამიერკავკასიაში ჯარის ნაწილები საკმარისი არ იყო მხარის დასაცავად, ამიტომ აუცილებლად ჩათვალა აფხაზეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა და სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად მათი გურიის რაზმთან შეერთება. ნ. რეადმა გაგრის გარდა აფხაზეთის ყველა სიმაგრის დაცლის ბრძანება გასცა. იმავდროულად, თბილისში გადაწყვიტეს აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანის ოპერაციის ხელმძღვანელობა მიხეილ შარვაშიძისათვის მიენდოთ. გაითვალისწინეს, რომ მას ფართო კავშირები ჰქონდა დასავლეთ კავკასიის მთიელებში და დიდი გავლენა ჰქონდა მათზე, განსაკუთრებით, ჯიქებსა და უბიხებზე. ამიტომ კავკასიის კორპუსის სარდლობა ფიქრობდა, რომ მისი დანიშვნა წარმატების საწინდარი იქნებოდა. რაც შეეხება გაგრას, ფიქრობდნენ მისი გარნიზონი შემდეგ ზღვით გამოეყვანათ.

ნ. რეადის ბრძანება, ფაქტობრივად, გაგრის გაწირვას ნიშნავდა, რაც რუსეთის სარდლობას კარგად ესმოდა, მაგრამ სხვა გზაც არ ჩანდა. პეტერბურგშიც იზიარებდნენ შეშფოთებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, მათ შორის, აფხაზეთის გარშემო შექმნილი რთული ვითარების გამო. იმპერატორის აზრით, რამენაირად უნდა შეემცირებინათ ის უარყოფითი შეხედულება, რომელსაც აფხაზეთში გამოიწვევდა ამ მხარიდან რუსეთის ჯარის ნაწილების გაყვანის შესახებ ბრძანება და აფხაზები გაემხნევებინათ. სამხედრო მინისტრს, ვ. დოლგორუკოვს, აინტერესებდა, **რამდენად შეიძლებოდა აფხაზეთის მთავრის და იმ მხარეში გავლენიანი პირების, მაგალითად, კაც მარღანიას ერთგულებაზე დაყრდნობა; რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ რა საშუალებები იქნებოდა მიხეილ შარვაშიძის ხელში და შეძლებდა თუ არა ის შინა და გარეშე მტრებისთვის წინააღმდეგობის გაწევას და მხარის დაცვას; მუჰამედემინი მონახავდა თუ არა ბევრ მომხრეს აფხაზებში და შეეძლო თუ არა რუსეთის ხელისუფლებას მოსახლეობის რაღაც ნაწილის თანაგრძნობის იმედი ჰქონოდა.** სამხედრო მინისტრი ნ. რეადს წერდა, რომ, თუ აფხაზეთის მთავარი რუსეთის ხელისუფლების ერთგული დარჩებოდა და ამ მხარეში გავლენას შეინარჩუნებდა, სასურველი იქნებოდა მისი გამოყენება გაგრის გარნიზონის სამეგრელოში გამოსაყვანად სახმელეთო გზით ან აზოვის ფლოტილიის ხომალდების მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, ის აუცილებლად თვლიდა ყველა ზომის მიღებას გაგრის გარნიზონის გამოსახსნელად.

ნ. რეადის 19 მარტის ბრძანებით, მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდლად დაინიშნა და დაევალა აფხაზეთის სიმაგრეებიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა, გარდა გაგრის გარნიზონისა, რომელიც ყველაზე გვიან უნდა გამოსულიყო, როდესაც მისი ფლობა რუსეთის ჯარების გამოყვანის დასაცავად საჭირო არ იქნებოდა.

იმავე დღეს მიხეილ შარვაშიძე ბიჭვინთაში გაემგზავრა, რათა გარნიზონის გამოყვანისთვის პირადად ეხელმძღვანელა. მთიელები გაგრასთან იყვნენ თავმოყრილნი, რაც მის შეშფოთებას იწვევდა. 20-21 მარტს ბიჭვინთის გარნიზონი ბომბორაში გადავიდა, ხოლო სიმაგრე, აფხაზეთის მთავრის ბრძანებით, დაწვეს. 29 მარტს ჯარის ნაწილები ბომბორიდან სოხუმში გადავიდნენ. იმავდროულად, გრიგოლ შარვაშიძემ და კაპიტანმა ბათალბეი მარშანიამ წებელდიდან მრამბის გარნიზონიც სოხუმში გამოიყვანეს. მიხეილ შარვაშიძემ ხმები გაავრცელა, რომ სოხუმის დაცვას ბოლომდე აპირებდნენ და ამ მიზნით გარკვეული ზომებიც მიიღო: სოხუმის დაცვა გუმის ხეობის მხრიდან მისოუსტ ანჩაბაძეს დაავალა და მას მილიციის ნაწილი გადასცა; ამასთან, სოხუმიდან გუდავამდე (გუდაუთა) ჯარის ნაწილები განალაგა მთიელთა თავდასხმებისგან დაცვის მიზნით; ზღვის სანაპიროზე გამაგრებული

პუნქტები შექმნა, სადაც რუსეთის ხომალდებს თავის შეფარება შეეძლოთ მოწინააღმდეგის ესკადრის გამოჩენისას.

ამრიგად, მიხეილ შარვაშიძემ ბიჭვინთისა და ბომბორის გარნიზონები პირადად გამოიყვანა სოხუმში, რომელთაც მრამბის გარნიზონიც შეუერთდა. გაგრის სიმაგრე კი ალყაშემორტყმული იყო მთიელების მიერ. ნ. რეადმა აფხაზეთის მთავარს უბრძანა, განეგრძო უკანდახევა და გურიიის რაზმს შეერთებოდა. მიხეილ შარვაშიძე ჯარის ნაწილებით თუ სოხუმში დაყოვნდებოდა, მოწინააღმდეგის ესკადრის გამოჩენისას ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა; ამასთან, შეიძლებოდა კოდორისა და ენგურის გადალახვაც გასჭირვებოდა მათი ადიდების გამო, ამიტომ აუცილებლად მიაჩნდა აფხაზეთის ჯარების გურიის რაზმთან შეერთების დაჩქარება. მ. ვორონცოვსა და კავკასიის ხაზის სარდლობას მაინცდამაინც არ სჯეროდათ, რომ, ბუნებრივგეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, მოკავშირეები დასავლეთ კავკასიაში, მათ შორის, სამეგრელოსა და აფხაზეთში გადმოსხდებოდნენ. მათი აზრით, თუ მოწინააღმდეგე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსხდებოდა და ნოვოროსიისკიდან და ანაპიდან ქვეყნის სიღრმეში წინსვლას შეეცდებოდა, არამარტო დამარცხდებოდნენ, არამედ განადგურდებოდნენ კიდეც; ასევე მოხდებოდა სამეგრელოში დესანტის გადმოსხმის შემთხვევაშიც. ამიტომ მ. ვორონცოვის აზრით, მოკავშირეები საშიში იყვნენ მხოლოდ სიმაგრეების მოხსნამდე, რომლებიც ადვილად შეიძლებოდა მათ ხელში ჩავარდნილიყო. 15 აპრილს იგი ა. ბარიატინსკის სტავროპოლიდან წერდა: „რაც შეეხება მოწინააღმდეგის გადმოსხმას სამეგრელოში და ქუთაისის გავლით თბილისზე ლაშქრობას, ეს შიში უმართებულოა. თუ ისინი ამის გაკეთებას შეეცდებიან, ძვირი დაუჯდებათ და წარმატებაც არ ექნებათ“. იგი ფიქრობდა, რომ მოკავშირეთა იმედები კავკასიის

მთის ტომების მათდამი დახმარების შესახებ უსაფუძვლო იყო.

გაგრის გარნიზონის გამოყვანა კავალერიის გენერალ მ. ხომუტოვს დაევალა. ნ. რეადმა მიხეილ შარვაშიძესაც სთხოვა, ყველა ღონე ეხმარა გარნიზონის დასახსნელად. ამის თაობაზე აფხაზეთის მთავარი რედუტკალეში ორი ხომალდის ნავმტეს მოელაპარაკა. ისინი შეჰპირდნენ, რომ როდესაც ამინდი საშუალებას მისცემდა, გაგრაში წავიდოდნენ. მართლაც, 25 მარტს ხომალდები რედუტკალედან გაგრისკენ გაემართნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გაგრის 600-კაციანი გარნიზონი მოხალისე ქერჩელ, ბერძენ ნავმტეს ფოტიუს სარანდოს ქერჩში მშვიდობით ჩაეყვანა, ხოლო გაგრის სიმაგრე, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, მის დამცველებს აეფეთქებინათ.

რუსეთის ჯარის ნაწილების აფხაზეთიდან გამოყვანით იმპერატორი უკმაყოფილო იყო. მისი აზრით, ამ მხარეს ჯერ კიდევ არ ემუქრებოდა საფრთხე ზღვიდან. ნ. რეადი თავს იმართლებდა, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლობით იყო გამოწვეული. N6. რეადი ვ. დოლგორუკოვისადმი 13 აპრილს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა აფხაზეთის მთავრის ერთგულებაზე, რომელიც მან შექმნილ რთულ ვითარებაში გამოამჟღავნა. მისი აზრით, სხვა ვერავინ შეძლებდა ასე წარმატებით აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანას; აფხაზეთის მთავრისა და სხვა პირების ნდობაც სავსებით შეიძლებოდა. როდესაც აფხაზეთის ნახევარი უკვე დატოვებული იყო, მათ რაიმე საძრახისი არ გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ შემდეგ რა იქნებოდა, ამის წარმოდგენა უჭირდა. მისი აზრით, **აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის ნაწილების გაყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე ვერ შეძლებდა ეს მხარე მორჩილებაში ჰყოლოდა, რადგან გარეშე მტრებისაგან სამთავროს დასაცავად ძალები არ ჰყავდა, ხოლო მუსლიმებით დასახლებული და დაუმორჩილებელი მთიელების მეზობელი ბზიფის ოლქი აუცილებლად აჯანყდებოდა; ამიტომ, ვინც რუსეთის ხელისუფლების თანამგრძნობი იყო, მას ეს მხარე უნდა დაეტოვებინა.**

რუსეთის ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძის მადლიერი იყო აფხაზეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანის გამო, რისთვისაც იმპერატორმა ის თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამასთანავე, მთავრობა მისგან ერთგულ სამსახურს კვლავაც მოელოდა. მ. ვორონცოვი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, ა. ბარიატინსკის წერდა, რომ ისევე, როგორც კავკასიის კორპუსის სარდლობა, აღფრთოვანებული იყო მიხეილ შარვაშიძის მიერ დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებით. მისი აზრით, სოხუმისა და აფხაზეთის დატოვება რუსეთის ხელისუფლებისთვის მძიმე იყო, თუმცა — აუცილებელი. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის კვლავ გაბატონება აფხაზეთში ძნელი არ იქნებოდა; რაც შეეხება დაღესტანს, ამ მხარის დატოვება არ შეიძლებოდა. ასეთ ქვეყანას თუ ერთხელ დატოვებდი, ისე ადვილად ვერ დაიბრუნებდი, როგორც აფხაზეთს. ა. ბარიატინსკისადმი გაგზავნილ სხვა წერილში მ. ვორონცოვი წერდა: „Любопитно было бы узнать,

как будут вести себя абхазцы, когда останутся без наших войск и какие будут намерения и попытки Магомет Эмина через Цебельду на Карачай и не попытаются ли убыхи, которых он ведет с собою, на чтонибудь через Абхазию в северной части Мингрелии и даже в Зугдиди“.

1854 წლის მარტში დასავლეთ კავკასიაში არსებული ვითარების შესასწავლად ბრიტანეთის სამხედრო მისია ჩამოვიდა. ხანგრძლივი დისკუსიისა და პარიზთან მოლაპარაკებების შემდეგ ლონდონის კაბინეტმა გადაწყვიტა, მთავარი დარტყმა ყირიმში განეხორციელებინა. ასეთ ვითარებაში, ბათუმის კორპუსის სარდალმა მუჰამედ სელიმფაშამ 21 აპრილს მიხეილ შარვაშიძეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა, რისთვისაც პორტასგან დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა. აფხაზეთის მთავარმა ფაშას პასუხი არ გასცა და მისი წერილი ნ. რეადს გადაუგზავნა, თვითონ კი კოდორზე წავიდა, რათა აბჟუის მოსახლეობა ამ ხაზის დასაცავად მოემზადებინა, თუმცა ფიქრობდა, რომ კოდორის ადიდების გამო, მის დაცხრომამდე ამ მხრიდან შემოტევა მოსალოდნელი არც იყო. ამავე ხანებში აფხაზეთში ჩერქეზები შეიჭრნენ სეფერბეი ზანუყოს მეთაურობით, რომელიც აფხაზების გადაბირებას შეეცადა. მიხეილ შარვაშიძემ მთელი ძალისხმევა გამოიყენა, რათა ბათალბეი მარშანიას მეშვეობით ბზიფელებისთვის საფარბეისა და ჩერქეზების უნდობლობა ჩაენერგა. მალე ჩერქეზთა რაზმი გაიფანტა, ხოლო სეფერბეი ბათუმში წავიდა. როგორც ხელისუფლება თვლიდა, **მიხეილ შარვაშიძემ მოახერხა აფხაზეთში არეულობის დაწყებისთვის ხელი შეეშალა.**

1854 წლის მაისში თურქებმა დასავლეთ საქართველოში ახალი კამპანია წამოიწყეს და ყულევში, ანაკლიასა და სოხუმში სამხედრო დესანტი გადმოსხეს. მაისის პირველ რიცხვებში სოხუმში მოკავშირეთა ორი ხომალდი ჩავიდა, რომელმაც ოსმალეთის ჯარის ნაწილები ჩაიყვანა, დაახლოებით, 1500-მდე მეომარი არტილერიით, 36 ქვემეხით, — წარმოშობით ნათხვაჯი სეფარბეი ზანუყოს მეთაურობით. ხომალდის მეთაურებმა მიხეილ შარვაშიძე მოიკითხეს, მაგრამ მან ჯერ კიდევ 7 მაისს დატოვა აფხაზეთი და სამეგრელოში გადავიდა, იქიდან კი თბილისში გაემგზავრა. საფარბეი ზანუყოს, რომელსაც სულთანმა ფაშას ტიტული უბოძა, დაევალა დასავლეთ კავკასიის მთიელთა გამოყვანა ოსმალეთის დროშის ქვეშ, აგრეთვე, აფხაზეთის მთავრის გადმობირება. როდესაც მან მიხეილ შარვაშიძის თბილისში გამგზავრების შესახებ შეიტყო, მის მოლოდინში სოხუმში დარჩა. იმავდროულად, მან დასავლეთ კავკასიის მთიელებს რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. მის მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურნენ უბიხები, შაფსუღები, აბაძახები და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელები.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხერხებული სტრატეგიული ადგილების დაკავების შემდეგ ოსმალეთი აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის დასაკავებლად ემზადებოდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თურქები აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლას და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის თბილისის ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. ამასთან, იმედი ჰქონდათ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას გადაიბირებდნენ, რითაც დასახული მიზნის მიღწევას გაიადვილებდნენ, თუმცა მათი იმედები არ გამართლდა და ქართველი ხალხი თურქების წინააღმდეგ ფართო განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაება.

მიხეილ შარვაშიძე 19 მაისს თბილისში ჩავიდა, რათა ნ. რეადთან აფხაზეთში არსებული ვითარება განეხილა და მოქმედების გეგმაც დაესახათ. ის დარწმუნებული იყო, რომ კოდორის ადიდების გამო მოწინააღმდეგე აბჟუაში ვერ შევიდოდა, ამიტომ ჯერ-ჯერობით აფხაზური მილიციით შეძლებდა კოდორის ხაზის დაცვას, თუ მოწინააღმდეგე კოდორის შესართავს ზღვიდან არ შემოუვლიდა წყლის დაცხრომის დროისთვის, ე. ი. ივლისის შუა რიცხვებისათვის კოდორის ხაზის დაცვის გაძლიერება საჭირო იქნებოდა აფხაზეთის, სამურზაყანოს, სამეგრელოს, იმერეთის მილიციით და რეგულარული ჯარის ნაწილებით. რადგან კოდორიდან სამურზაყანოსაკენ გზა ცუდი იყო და არტილერიის გადატანა ძნელი იქნებოდა, მისი აზრით, რეგულარული ჯარის რეზერვის კოდორზე განლაგება საჭირო არ იყო, არამედ მხოლოდ სამურზაყანო-აფხაზეთის საზღვარზე, ხოლო მისი წაწევა კოდორისკენ საჭიროების შემთხვევაში განხორციელდებოდა. ამასთან, აფხაზეთის მთავარმა მზადყოფნა გამოთქვა, ი. ანდრონიკაშვილს დაქვემდებარებოდა, თუმცა ეს უკანასკნელი ჩინით მასზე უმცროსი იყო. ნ. რეადი ამის საჭიროებას ვერ ხედავდა. მისი აზრით, აფხაზეთის მთავარი და ი. ანდრონიკაშვილი მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან და სამოქმედო გეგმები შეეთანხმებინათ.

მიხეილ შარვაშიძე აპირებდა, შეეკრიბა აფხაზეთის მილიცია — 500-600 ცხენოსნისა და 1500-მდე ქვეითით, რომელსაც ხაზინიდან თანხა არ დასჭირდებოდა, სანამ აფხაზეთის სოფლებში იდგებოდა. ნ. რეადმა მას სთხოვა, სახალხო ლაშქარი იმდენი შეეკრიბა, რამდენიც აბჟუის დასაცავად იქნებოდა საჭირო, ხოლო კოდორის დაცხრომისთვის ის ი. ანდრონიკაშვილს დაავალებდა, აფხაზეთის მილიციისთვის შეეერთებინა სამურზაყანოს, სამეგრელოსა და იმერეთის სახალხო ლაშქარი და სამურზაყანო-აფხაზეთის საზღვარზე რეგულარული ჯარის რეზერვი განელაგებინა. თუ მოწინააღმდეგე ზღვით შემოუვლიდა კოდორის შესართავს, ის აბჟუის დაცვას მხოლოდ მთიელთა მცირე ჯგუფების

შემოსევისგან შეძლებდა და არა მუჰამედემინის 15-20-ათასიანი ლაშქრისგან და იძულებული იქნებოდა აფხაზეთი დაეტოვებინა. გამოსავალი უნდა ყოფილიყო მუჰამედემინის დაკავება საომარი მოქმედებებით ჩრდილოეთ კავკასიაში. მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში დარჩენას მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მანამდე აპირებდა, სანამ შეძლებდა და ფიქრობდა მხოლოდ მაშინ დაეტოვებინა ეს მხარე, როდესაც წინააღმდეგობის ყველა საშუალებას ამოწურავდა.

26 მაისს მიხეილ შარვაშიძემ თბილისი დატოვა. მისი შვილები სამეგრელოში იყვნენ, ხოლო მეუღლე აბჟუაში ჰყავდა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აპირებდა სამეგრელოში ან იმერეთში მის გადაყვანას, რადგან შექმნილ ვითარებაში მათ მიერ აფხაზეთის დატოვება აფხაზებზე უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენდა.

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ სეფერბეი ზანუყოს დასავლეთ კავკასიაში დიდი გავლენა ჰქონდა. მან კარგად იცოდა ამ მხარის ხალხთა ხასიათი და ზნე-ჩვეულებები. გავრცელდა ხმა, რომ მან 60 ათასამდე ქვეითი და ამდენივე მხედარი შეკრიბა. აფხაზეთის მთავრის აზრით, ეს ციფრი საკმაოდ გადაჭარბებული იყო, თუმცა მას მაინც მნიშვნელოვანი ძალა ჰქონდა. იგი ფიქრობდა, რომ სეფერბეის მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა არამარტო აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოსა და სამეგრელოშიც, ამიტომ არ გამორიცხავდა სეფერბეისთან შეხვედრას და ამ შეხვედრაზე აფხაზეთში შემოსევასთან დაკავშირებით მისი გეგმების ჩაშლას აპირებდა. აფხაზეთის მთავარი ნ. რეადს მდ. კოდორზე პოზიციების გამაგრებას და, იმპერატორის ბრძანების თანახმად, ამ ნაწილის შენარჩუნებას ურჩევდა.

რუსეთის სარდლობის აზრით, მუჰამედემინი ჩრდილოეთ კავკასიაში საომარი მოქმედებებით გენერალ მ. ხომუტოვს და გენერალ ნ. ევდოკიმოვს უნდა დაეკავებინათ, რაც აფხაზეთის მიმართ მისი გეგმების განხორციელებას შეაფერხებდა; ამასთან, საჭირო იქნებოდა, გურიის რაზმს ი. ანდრონიკაშვილის მეთაურობით, მოქმედება გაეაქტიურებინა; მიხეილ შარვაშიძეს ყველაფერი უნდა ეღონა და ქვეშევრდომები მოწინააღმდეგესთან შეერთებისაგან შეეკავებინა.

იმპერატორი აფხაზეთის საქმეებში კარგად იყო ჩახედული, მისი აზრით, რაკი მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთის დატოვება მოუხდა, დროებით თბილისში უნდა წასულიყო და შემდგომ მითითებებს იქ დალოდებოდა. ის დადებითად აფასებდა აფხაზეთის მთავრის თანხმობას, ი. ანდრონიკაშვილს დაქვემდებარებოდა, თუმცა ეს აუცილებლად არ მიაჩნდა, რადგან მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებლად მოქმედება ღირსეულად შეეძლო. ხელისუფლებისთვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ **მიხეილ შარვაშიძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა უბიხებსა და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელ ხალხებში და მათი მამასახლისების მეშვეობით ცდილობდა, ჩაეშალა მუჰამედემინის გეგმა აფხაზეთის მიმართ.**

მაისის დასაწყისში ვ. დოლგორუკოვმა ნ. რეადს აუწყა, რომ მოკავშირეები ივნისის ბოლომდე მაინც არ იქნებოდნენ მზად კავკასიაზე მიეტანათ იერიში. მისი აზრით, რადგან კოდორის ადიდების გამო რამდენიმე თვის განმავლობაში მის მარცხენა ნაპირზე გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა, ამდენად, კავკასიის კორპუსის მარჯვენა ფლანგი სრულიად უზრუნველყოფილი იყო მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმისგან; მუჰამედემინს აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილიც რომ დაეკავებინა, ის კოდორს ვერ გადალახავდა. ამით უნდა ესარგებლა ი. ანდრონიკაშვილს, თურქებისთვის დაუყოვნებლივ შეეტია ახალციხესთან და გურიის საზღვრებიდან უკუეგდო, რაც გავლენას მოახდენდა საერთო ვითარებაზე კავკასიის ფრონტზე, ასევე კავკასიის მთიელებზეც და მუჰამედემინის გეგმას ოსმალეთის ჯარებთან შეერთებაზე ჩაშლიდა. **იმპერატორი თვლიდა, რომ თუ ვერ მოხერხდებოდა ჩრდილოეთ აფხაზეთის შენარჩუნება, მაშინ ყველა ზომა უნდა ყოფილიყო მიღებული კოდორის ხაზის დასაცავად, რადგან მისი დაკარგვა სამურზაყანოსა და სამეგრელოს აოხრებასაც გამოიწვევდა. სანამ კოდორზე ფონით გადასვლა შეუძლებელი იყო, მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მილიციით შეძლებდა ამ ხაზის დაცვას, შემდეგ კი გურიის რაზმის ნაწილებით ი. ანდრონიკაშვილი გააძლიერებდა. ვ. დოლგორუკოვის აზრით, კოდორის მარჯვენა ნაპირზე ჯარების მოქმედების მიზანი მთიელთა მცირე რაზმებთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო, ხოლო აფხაზეთის დაკავება ომის დასასრულისათვის უნდა გადაედოთ. ხელისუფლება ნ. რეადისგან მოითხოვდა, ამ მხარეში და, განსაკუთრებით, სოხუმში, მტკიცედ დამკვიდრებისათვის საჭირო ღონისძიებები დროულად მოეფიქრებინა.**

დასავლეთ საქართველოში თურქებს წარუმატებლობა თან სდევდათ. 1854 წლის 27 მაისს ისინი ლანჩხუთთან დამარცხდნენ, ხოლო 4 ივნისს ჩოლოქთან ბრძო-

ლა სელიმ ფაშას 30-ათასიანი კორპუსის განადგურებით დამთავრდა. ასეთ ვითარებაში მიხეილ შარვაშიძემ ნ. რეადს რეგულარული ჯარის ნაწილების ენგურის მარცხენა ნაპირზე გაგზავნა სთხოვა, რაც, მისი აზრით, აფხაზებსა და სამურზაყანოელებს გაამხნევებდა, საჭიროების შემთხვევაში კი მათი გამოყენება კოდორის ხაზის დასაცავად შეიძლებოდა. ნ. რეადი ფიქრობდა, რომ 27 მაისისა და 4 ივნისის ბრძოლებში გამარჯვებას შესამჩნევად უნდა შეემსუბუქებინა აფხაზეთის მდგომარეობა, მიუხედავად ამისა, ი. ანდრონიკაშვილს უბრძანა, გარკვეული ძალებისათვის თავი მოეყარა ენგურის მარცხენა ნაპირზე, ამასთან, მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა აფხაზეთის მთავართან და მასთან შეთანხმებულად ემოქმედა.

1854 წლის ივნისის დამლევს მუშირი სელიმ ფაშა რედუტკალეში ჩავიდა, სადაც მუჰამედემინს შეხვდა და მოეთათბირა ერთობლივი შეტევის ორგანიზების თაობაზე. ივლისის დასაწყისში სელიმფაშა ქობულეთში დაბრუნდა, ხოლო მუჰამედემინი სოხუმში ჩავიდა, იქიდან კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. მთიელები თანახმა იყვნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ემოქმედათ, თუმცა შესაფერის ანაზღაურებას მოითხოვდნენ. სოხუმკალესა და ბათუმს შორის მოწინააღმდეგის ესკადრა კრეისირებას ეწეოდა. ასეთ ვითარებაში, გურიის რაზმის უფროსმა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს აცნობა, რომ სვანეთის მთავარს, როტმისტრ დადეშქელიანს, მისმა სიძემ, წებელდელმა ეშსოუ მარშანიამ შესთავაზა, სვანეთიდან ენგურის ხეობით გაეტარებინა მთიელთა ქვეითი რაზმი, რომელიც ჯვარის მხრიდან თავს დაესხმოდა სამეგრელოს; იმავდროულად, აფხაზეთიდან მთიელთა მხედრობა შეიჭრებოდა, ხოლო ზღვიდან და ოსმალეთიდან სამეგრელოსა და გურიაში თურქთა და მოკავშირეთა ჯარები შეიჭრებოდა. დადეშქელიანმა უარყო ეს წინადადება და ამის შესახებ რუსეთის სარდლობას აცნობა, ამასთან, მთის ბილიკებზე გუშაგები დააყენა. გურიის რაზმის სარდლობამაც ჯვარის მიმართულებით საგუშაგოები გააძლიერა. რუსეთის სარდლობას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ეშსოუ მარშანია და უბიხი ჰაჯი კერანტუხ ბარზეგი მთიელთა რაზმებით აფხაზეთში იმყოფებოდნენ.

მიხეილ შარვაშიძე ყოველნაირად ცდილობდა, დასავლეთ კავკასიის მთიელებში მუჰამედემინის ავტორიტეტი და გავლენა შეერყია. ამ მიზნით, ივნისის დასაწყისში, ის ჰაჯი კერანტუხ ბარზეგსა და სხვა უბიხ მამასახლისებს შეხვდა. აფხაზეთის მთავარი მთიელთა სიამაყის სუსტ ადგილს შეეხო და უსაყვედურა, რომ ისინი მზად იყვნენ, დამორჩილებოდნენ ყოველ უცხოელს, რომელიც თავს მნიშვნელოვან ფიგურად წარმოაჩენდა. უბიხებმა აღნიშნეს, რომ ერთი პირისადმი მათი დამორჩილება გამოწვეული იყო რუსებისადმი ერთსულოვანი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით. მაგრამ, რადგან რუსეთი ამ მხარიდან განიდევნა და ოსმალეთთანაც აღდგა თავისუფალი ურთიერთობა, მათ უკვე არ სჭირდებოდათ გარეშე პირი უფროსად, ამიტომ მუჰამედემინს მორჩილებაზე უარი უთხრეს. **მიხეილ შარვაშიძე რუსეთის სარდლობას აუწყებდა, რომ სეფარბეი ზანუყოს გავლენაც დაცემული იყო და, ამდენად, მთიელებთან საქმეები სასიკეთოდ იცვლებოდა.** მართლაც, ამის შემდეგ, მუჰამედემინი და სეფარბეი სტამბოლში გაემგზავრნენ, რათა მთიელებისათვის თავიანთი უფლებამოსილების დამამტკიცებელი სულთნის ფირმანი ჩამოეტანათ. **„ჩემი ანგარიში გამართლდა,** — წერდა მიხეილ შარვაშიძე სამხედრო მინისტრს ვ. დოლგორუკოვს, — **მოკავშირეებს გაუცრუვდათ ის იმედები, რასაც ისინი მაჰმადიანებზე ამყარებდნენ, ხოლო სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომები თითქმის არ ენდობიან მათ შემოთავაზებულ წინადადებებს“.** მართლაც, ომის დაწყების შემდეგ, როგორც სამეგრელოს, ისე ყუბანის ხაზს მთიელების არც ერთი თავდასხმა არ განუცდია.

სეფარბეი და მუჰამედემინი მეტოქეები იყვნენ. ორივე მათგანი ცდილობდა დასავლეთ კავკასიის მთიელებზე გავლენის მოპოვებას და რომ პორტას მთიელთა წინამძღოლად ეცნო. 1854 წლის 7 სექტემბერს კავკასიის სარდლობამ ცნობა მიიღო, რომ სეფერბეიმ თურქებთან თავის გამოჩენის მიზნით სამურზაყანოს დაპყრობა გადაწყვიტა. მან მუჰამედემინს შესთავაზა, მთიელთა რაზმი შეეკრიბა და სოხუმკალეში ჩაეყვანა. მაგრამ მუჰამედემინმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პორტა არც მას და არც მთიელებს ყურადღებას არ აქცევდა. ამასთან, მას სულაც არ სურდა, სეფერბეის განდიდებისთვის ხელი შეეწყო. მალე ის სოხუმკალეში ჩავიდა და იქიდან სტამბოლში გაემგზავრა; ამასთან, უბიხებს შეუთანხმდა, რომ მის ჩამოსვლამდე სეფერბეის სალაშქროდ არ გაჰყვებოდნენ. სეფარბეი მართლაც შეეცადა, უბიხები აეყოლიებინა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ იგი შეეცადა, აფხაზეთსა და წებელდაში შეეკრიბა რაზმი და თავისი განზრახვა განეხორციელებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ასე რომ, აფხაზეთში ოსმალეთის მთავარი წარმომადგენლის გეგმები სამურზაყანოს მიმართ ჩაიშალა. ამასთან, სეფარბეიმ სელიმფაშას ბრძანება მიიღო, მისი ნებართვის გარეშე შეტევითი მოქმედება არ ეწარმოებინა. მანვე აცნობა, რომ ოსმალეთისა და მოკავშირეთა ჯარები სევასტოპოლში გაიგზავნა და ამ ოპერაციის შედეგებამდე საომარი მოქმედებების წარმოებას ისიც არ აპირებდა.

რუსეთის სარდლობა დასავლეთ საქართველოში სამხედრო ძალების ნაკლებობას განიცდიდა. გურიის რაზმის ერთი ნაწილი განლაგებული იყო მდ. ცივზე ზღვის მხრიდან ქვემო სამეგრელოს დასაცავად; მეორე ნაწილი მდ. ენგურზე იდგა და სამეგრელო აფხაზეთის მხრიდან მთიელთა შემო-

სევისგან უნდა დაეცვა; დანარჩენი ნაწილები გურიაში იყო განლაგებული. იმპერატორს შესაძლებლად მიაჩნდა მიხეილ შერვაშიძისთვის რაზმის შედგენა, რათა მას აფხაზეთში ემოქმედა, მაგრამ ნ. რეადი ფიქრობდა, რომ, აფხაზეთის მდგომარეობიდან გამომდინარე, მას სურსათ-სანოვაგით ვერ მოამარაგებდნენ, ამიტომ ამ რაზმის შექმნა გამოირიცხა.

აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში, სიმამრის — გიორგი დადიანის მამულში დამკვიდრდა და ხან სოფ. კურზუში, ხან სოფ. ჭკადუაშში იმყოფებოდა. ის იმედოვნებდა, რომ, როგორც რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს და იმპერატორის გენერალ-ადიუტანტს, შესაფერის სამსახურს შესთავაზებდნენ, სახელდობრ, გურიის რაზმის უფროსის თანამდებობას, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. 1854 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებული ჯარების, გურიის რაზმის, უფროსად გენერალ-მაიორი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი დაინიშნა. კავკასიის კორპუსის სარდლობის აზრით, გურიის რაზმის უფროსად მიხეილ შარვაშიძის დანიშვნა არ შეიძლებოდა მის მიერ ჯარის მართვის არცოდნისა და სამხედრო საქმეში გამოუცდელობის, ასევე, სამეგრელოს სამთავრო სახლთან მტრობის გამო; შეუძლებელი იყო მისი დანიშვნა იმ რაზმის მეთაურად, რომელიც სამეგრელოში იდგა. აფხაზეთის მთავრის მდგომარეობა სამეგრელოში სახარბიელო არ იყო, ის აქ როგორც კერძო პირი იმყოფებოდა, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებებისაგან გარიყული, ამასთან, სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვდა, მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელო დაეტოვებინა, რადგან მისი აქ ყოფნა სამთავროში სიმშვიდეს არღვევდა. 1854 წლის 11 დეკემბერს მიხეილ შარვაშიძე ვ. დოლგორუკოვს წერდა, რომ აუცილებლად მიაჩნდა მისი ყოფნა აფხაზეთის საზღვრების სიახლოვეს, რადგან შესაძლებლობა ჰქონდა თავისი გავლენით ქვეშევრდომებზე და მათ მეზობელ ტომებზე ზემოქმედება მოეხდინა, რითაც მოწინააღმდეგის გეგმებს გააქარწყლებდა. იგი წერდა, რომ იმედები, რომელთაც მოკავშირეები მუჰამედემინზე ამყარებდნენ, გაუცრუვდათ; შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომებიც მათ წინადადებებს უნდობლად ეკიდებოდნენ.

მიხეილ შარვაშიძის დაპირისპირება სამეგრელოს სამთავრო სახლთან სამურზაყანოს საკითხით იყო გამოწვეული. ამასთან, მას არ უყვარდა სამეგრელოს სამთავრო სახლის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, მთავარი დავით დადიანი (1846-1853) რუსეთის იმპერიისადმი მკვეთრად გამოხატული ერთგულების, რუსეთის ხელისუფლების ამ სახლისადმი დიდი ნდობისა და მხარდაჭერის გამო. უნდობლობა სამეგრელოს სამთავრო სახლსა და აფხაზეთის მთავარს შორის უფრო გაიზარდა, როდესაც მიხეილ შარვაშიძე სიმამრის ოჯახში დამკვიდრდა. გიორგი დადიანი ძმებთან ერთად ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს ოპოზიციაში ედგა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს აფრთხობდა აფხაზეთის მთავრისა და გიორგი დადიანის შესაძლო გაერთიანება სამეგრელოს სამთავრო სახლის წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, 1854 წლის 29 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალ-ადიუტანტი ნ. მურავიოვი დაინიშნა. 1855 წლის თებერვალში იგი თბილისში ჩამოვიდა.

1855 წლის დასაწყისში მოწინააღმდეგემ მოქმედება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე განაახლა. 10 და 12 თებერვალს ინგლის-საფრანგეთის ხომალდები ყუბანის შესართავთან გამოჩნდნენ და დესანტი გადმოსხეს; 28 თებერვალი-2 მარტს მოწინააღმდეგის ესკადრამ ნოვოროსიისკი დაბომბა, იმავდროულად, მას მთიელებიც უტევდნენ. ნოვოროსიისკის დასახმარებლად ანაპიდან ვიცეადმირალი ლ. სერებრიაკოვი ჩავიდა და მთიელები უკუაგდო, თუმცა ცხადი იყო, რომ ასეთ პირობებში ნოვოროსიისკის შენარჩუნება დიდხანს შეუძლებელი იქნებოდა. მარტში, სოხუმში, მუსტაფა ფაშას მეთაურობით ოსმალეთის არმიის ოთხი ბატალიონი გადმოსხდა. მან მოლაპარაკებები გამართა აფხაზეთის, წებელდისა და ჩერქეზთა თავადებთან მათი ოსმალეთის მთავრობისადმი დამოკიდებულების გასარკვევად. მუსტაფა ფაშასთან მრავალრიცხოვანი ამალით გამოცხადდა მთავრის ძმა ალექსანდრე შარვაშიძე, რომელმაც მას ხელშეწყობა და დახმარება აღუთქვა. მუსტაფა ფაშა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ოსმალურ ადმინისტრაციას სოხუმში, აფხაზური არისტოკრატიის გადაბირებას აქტიურად ცდილობდა. ალექსანდრე შარვაშიძეს ოსმალებმა ფაშას ტიტული უბოძეს და აფხაზეთის მართვა დაავალეს. ოსმალებთან თანამშრომლობდნენ ასევე მთავართან დაახლოებული პირები: გენერალ-მაიორი კაც მარღანია, პორუჩიკი ჰასან მარღანია, რომელიც სოხუმის მმართველად დაინიშნა, მაიორი ბათალბეი მარშანია და სხვები.

კავკასიის კორპუსის სარდლობასთან მიხეილ შარვაშიძე უარყოფდა ძმის ოსმალების მხარეზე გადასვლას და ხელისუფლებას არწმუნებდა, რომ ალექსანდრე აფხაზეთში მისი დავალებით დარჩა და თუმცა თურქების მოთხოვნებს ასრულებდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იგი მთავრის მითითებებსაც ასრულებდა და ამ მხარეში მის ხელისუფლებას წარმოადგენდა; ჰასან მარღანია იქ დარჩა, როგორც მემამულე თავის მამულში, ისევე, როგორც მრავალი მემამულე და, აუცილებლობის შემთხვევაში, როცა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, თურქების მოთხოვნებს ასრულებდა. რაც შეეხება კაც მარღანიას, მიხეილ შარვაშიძე თვლიდა, რომ, როდესაც რუსეთის ჯარებმა აფხაზეთი დატოვეს, სამთავრო მასაც უნდა დაეტოვებინა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

XIX საუკუნის ქართული პრესა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეკონომიკურ განვითარებაზე

XIX საუკუნიდან საქართველო-ჩრდილო კავკასიის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას განაპირობებდა მათი ტერიტორიული სიახლოვე და უშუალო მეზობლობა. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ახლო აღმოსავლეთთან მიახლოების სტრატეგიული მიზნები განახორციელა და ახლადშემოერთებული რეგიონების ათვისებას შეუდგა ეკონომიკური თვალსაზრისით. ასევე მისი ამოცანა იყო, კავკასია გადაექცია საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად. ამ საუკუნეში რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის გავლენით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ძვრებს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ვითარდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, შენდებოდა რკინიგზები და ა.შ.

„რუსეთს კავკასიაში და სპარსეთში იმდენად პოლიტიკური ინტერესები არ ჰქონდა, რამდენადაც ეკონომიკური. ის განსაკუთრებით, რუსული აღებ-მიცემობის კავკასიასა და სპარსეთში გავრცელებაზე ზრუნავდა, რითაც მას ინდოეთის მდიდარი ვაჭრობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ უკვე საკომერციო ინტერესები რეალურ გეგმას წარმოშვამდნენ, რომელიც ინდოეთის დაპყრობის გამმართლებელ საბუთად გამოდგებოდა. მაგრამ რუსებს ეს მხოლოდ შორეულ, მომხიბლავ მომავლად ეხატებოდათ, ვიდრე ცხოვრების სინამდვილეში იყო და რომ მისი გეგმის სივრცე და სიუხვე ოდნავადაც არ შეეფერებოდა იმდროინდელ რუსეთის ეკონომიკურ ძალას და წარმოებას“.

განსახილველ ხანაში „განაპირა ქვეყნებში“ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური პოლიტიკა უმეტესწილად ეყრდნობოდა და თითქმის ყოველთვის გულისხმობდა ბაზრის პოლიტიკურ დაპყრობას. ასე რომ, საერთოდ ტერიტორიული და ეკონომიკური ექსპანსია, როგორც წესი, პოლიტიკური ექსპანსიის კვალდაკვალ მიდიოდა. ანალოგიური მდგომარეობაა ამ დროს ჩრდილო კავკასიაშიც.

„ცარიზმი დაინტერესებული იყო კავკასიის ეკონომიკური ათვისებით, რუსეთისაგან მისი მოწყვეტის ლიკვიდაციით, რათა კი არ დასწოლოდა ტვირთად რუსეთს, არამედ პირიქით, გაეძლიერებინა და განემტკიცებინა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები“.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩრდილო კავკასია სპეციფიკური რეგიონია თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, განსხვავებული ბუნებრივი პირობებით, ხელისშემშლელი მომენტი იყო ეკონომიკური ურთიერთობებისა. გარდა ამისა, იმიერკავკასიაში არ იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოები. „იგი დაქუცმაცებული იყო მრავალი მსხვილი თუ მცირე, ხშირად ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ“.

„XIX საუკუნეში ყაბარდო-ბალყარეთი, ჩეჩენ-ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი თანდათან გავიდნენ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორბიტაზე, ძლიერდებოდა ჩრდილო კავკასიის რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირები“.

კავკასიაში, კერძოდ ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე ეკონომიკური წინსვლა და ძვრები დიდ ყურადღებას იქცევდა ქართული საზოგადოებრიობის მხრიდან. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნებოდა კავკასიელ მთიელებსა და ქართველებს შორის ბევრი საერთო ნიშნით, და ალბათ უმთავრესი, საქართველოსა და რუსეთს შორის დამაკავშირებელი რგოლი, ხომ ჩრდილო კავკასია იყო.

ეს ინტერესი იმ მრავალსაუკუნოვანი ღრმა და მრავალმხრივი ურთიერთობებით იყო განპირობებული, რომლებიც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის არსებობდა.

საერთოკავკასიურ პოლიტიკაში საქართველოს როლი განუსაზღვრელი იყო ყოველთვის, XIX საუკუნეში ამ როლის მნიშვნელობა არ შემცირებულა.

ამ პერიოდის ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი **გიორგი წერეთელი** მოგვითხრობს: **„ძველი კავკასიის ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნემდის, საკუთრად საქართვე-**

ლოს ერის ცხოვრებას შეიცავდა. მთელი კავკასიის ისტორია საქართველოს ერის ისტორია იყო. თუ რაიმე პოლიტიკური ბრძოლა ატყდებოდა კავკასიაში, ის უსათუოდ საქართველოს ერის ბრძოლა ატყდებოდა კავკასიაში, ის უსათუოდ საქართველოს ერის ბრძოლა უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფეების თაოსნობით, თუ რომ ეს ბრძოლა კავკასიიდან გადავიდოდა აზიის ნიადაგზე, უსათუოდ ეს უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯარის გამოსვლით კავკასიიდან საქართველოს მეფის წინამძღოლობით... მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს სამეფო გაუქმდა და ამის შემდეგ ყოველივე პოლიტიკურს გარემოებებს სხვა სახელი ეწოდა, მაგრამ დიდი ან მცირე პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ადრე ყოფილა კავკასიის ხალხებიც შიგ შარეულან და მათი დიდი თუ მცირე მნიშვნელობა კვლავ დამტკიცებულა".

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს გიორგი წერეთლის წერილიდან: **„კავკასიის აქეთა მხარეში ჩვენს საქართველოს ხალხს და იმის მოგვარე კავკასიის მთიელებს ისტორიის დაარსებიდან აქამდის არ დაჰკარგვიათ არც თავისი მნიშვნელობა და არც თავისი ხვედრი".**

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან შეიძლება ადვილად აიხსნას ქართული საზოგადოების აზრი, კავკასიის მთიელი მოსახლეობის მიმართ. ამიტომ გასაკვირი არ არის XIX საუკუნის ქართული პერიოდული პრესის დამოკიდებულებაც ამ თემატიკისადმი, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

უაღრესად საჭირო მასალას შეიცავს მოცემული საუკუნის II ნახევრის ქართული პერიოდული პრესა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ეკონომიკური განვითარების შესახებ. ეს პროცესი უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოსთან, ასევე რუსეთთან მიმართებაში, განვითარების მსვლელობა და პირობები კი ამ უკანასკნელის მიერ იყო ნაკარნახევი.

ერებსა თუ ხალხებს შორის ყოველგვარი ურთიერთობებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ დამაკავშირებელ საკომუნიკაციო საშუალებებს — გზებსა და ტრანსპორტს. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების დამოკიდებულებაში ყოველ ეპოქაში, მათ შორის განსახილველ პერიოდშიც, რომელმაც სავაჭრო ურთიერთობებში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა ინფორმაციები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის დამაკავშირებელ გზებთან დაკავშირებით. **გაზეთ „დროების"** გადმოცემით: **„ამ ჟამად, როგორც ჩვენ მკითხველებს გაგონილი ექნებათ, ვლადიკავკაზის გზა ძალიან გაფუჭებულია, ფოჩტა და მგზავრი იგვიანებენ და ვაჭრობის დროს მისვლა-მოსვლა ძალიან დაბრკოლებაშია".**

როგორც ცნობილია, კავკასიას, თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობით, მსოფლიო სავაჭრო სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოდითგანვე, მასზე გამავალი სავაჭრო გზების მეშვეობით მრავალი ქვეყანა უკავშირდებოდა ერთმანეთს. XIX საუკუნიდან ამ საუღელტეხილო თუ საბილიკო გზებს კიდევ უფრო მეტი ფუნქცია დაეკისრათ, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

„ეს გზა ძველთაგანვე აკავშირებდა საქართველოს როგორც ჩრდილოეთს, ასევე სამხრეთსაც. იყო რა ისტორიულ გზათაგან ერთი უმთავრესი, იგი ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობის გამოვლით სამხრეთით მიდიოდა, ირანისაკენ და შემდგომ ძველაღმოსავლური ცივილიზაციის მოწინავე აზიური კერებისკენ. გარდა ამისა, ამ გზას უმთავრესი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე ცნობილია, რომ დარიალის გადასასვლელს არცთუ მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხო სახელმწიფოთა (რომი, სპარსეთი, ბიზანტია) საგარეო გეგმებსა და მისწრაფებებში".

როგორც **ნ. ბერძენიშვილი** მიუთითებს: **„დარიალის კარს განსაკუთრებული მნიშვნელობა შემდეგ საუკუნეში ეძლევა, როცა სამხრეთის ხალხებმა ამიერკავკასიის თუ ჩრდილოეთის ქვეყნებთან (ხაზარეთი, ბულგარეთი, ყივჩაღეთი, რუსეთი) ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა გააჩაღეს".**

ისტორიული წინსვლის პირობებში, ამ გზების მნიშვნელობა არა როგორც სავაჭრო, არამედ სამხედრო დანიშნულებითაც აიხსნებოდა. **გაზეთ „კვალის"** ფურცლებზეც არაერთი წერილი გამქვეყნებულა საქართველოს სამხედრო გზის შესახებ.

„დარიალა — ეს არის შესანიშნავი მთის კარი რუსეთიდან საქართველოს გადმოსასვლელი. აქ თითქოს ბუნებას გაუჭრია კავკასიის უმაღლესი ქედი ორის მდინარის საშუალებით, გადმოღმა არაგვით და გადაღმა თერგის წყლით... პლინიუსი ამბობს, რომ „ეს ვიწროები შეჭედილი ნამორეებით იკეტებოდაო და მის მახლობლად სამხრეთის მხრივ მთაზე სიმაგრე იყოვო, როსელსაც კუმანია ერქვაო... საქართველოს მეფე ფარსმანი, ძლიერ პატივცემული ყოფილა იმპერატორის ადრიანე კეისარისგან, იმის გამო რომ მას ეჭირა ეს დარიალი და იფარავდა რომის აღმოსავლეთის მაზრებს. ამ დარიალაზედ ამბობს ვახუშტი, ვითომც მირიან მეფეს მეოთხე საუკუნეში შეებას ახალი კარი და განემტკიცებინოს სიმაგრე „ხაზართა და ოვსთათვის, რათა უამისოდ ვერღარა ვიდოდნენ".

ქართველი მეფეების საზრუნავი, ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრების გამაგრება იყო, რადგან ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომებს არაერთხელ დაურბევიათ ჩვენი ქვეყანა.

პირველი საუკუნის რომაელი მწერალი პლინიუსი მოგვითხრობს: **„კავკასიის კარი ბუნების გრანდიოზული ქმნილებაა, ამ ადგილას მთების უეცარი გახლე-**

ჩის ნაყოფია, თვით გასასვლელი კი, რკინით შეჭედილი ძელებითაა მოზღუდული. ბჭის გამოცმა კლდეზე მდებარეობს კუმანიად წოდებული ციხე-სიმაგრე, აშენებული ურიცხვ ტომთა შემოსვლის შესაფერხებლად“.

პლინიუსის გარდა დარიალის ხეობაში გამავალი გზის შესახებ მოგვითხრობს **სტრაბონიც** (63 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 20 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით) მის მიერ დაწერილ იბერიის გეოგრაფიულ აღწერილობაში, **„აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტრაბონი სწორედ ძველ საქართველოს — სამხედრო გზაზე გვიამბობს“.**

დროთა განმავლობაში ეს ღონისძიებანი არასაკმარისი აღმოჩნდა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა **„დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდა და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი მითულნი. არა ხელწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ ბრძანების ქართველთა მეფისა“.**

ასე რომ, თავისი სამხედრო დანიშნულებიდან გამომდინარე, ვახტანგ გორგასალმა კიდევ უფრო გაამაგრა „დარიალის კარი“. წყაროებში ეს სახელი კიდევ სხვადასხვაგვარადაც იხსენიება „ოვსეთის კარი“, „დარიალანი“, „არაგვის კარი“.

ამ გზას იხსენიებს VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი მწერალი იოანე საბანისძე „წმინდა ჰაბოს წამებაში“ და მოგვითხრობს, თუ როგორ გაიარა ნერსე ერისთავმა ეს გზა, რომელიც არაბთაგან ლტოლვილი იყო: „განვლო კარი იგი ოვსეთისა, რომელთა დარიალან ერქუმის და შევიდა ქვეყანასა მას ჩრდილოისასა“.

ფეოდალური საქართველოს აღმავლობისა და ძლიერების ხანაში (XI-XIII საუკუნის დამდეგი) „დარიალის გზის“ მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც განპირობებული იყო, ერთის მხრივ, საქართველო-ჩრდილოკავკასიელი ხალხების ინტენსიური ურთიერთობით, მეორეს მხრივ კი, რუსეთის საერთოკავკასიური ინტერესების გაზრდით.

დავით აღმაშენებელმა, ყივჩაყთა მშვიდობით გადმოსასვლელად „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისანი და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის“. ეს ცნობა ორმაგად საინტერესოა ჩვენთვის, რადგან აქ არა მარტო საქართველოს სამხედრო გზაზეა საუბარი, არამედ ოსეთიდან და საერთოდ ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსასვლელ სხვა საუღელტეხილო გზებზეც, რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევებმა „დარიალის გზის“ მნიშვნელობის ერთგვარ გაფართოებას ხელი შეუშალეს. როგორც კი, რუსეთის ინტერესებმა კავკასიაში XVI-XVIII საუკუნეებში წინა პლანზე წამოწია, საუღელტეხილო გზების მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით ამ პერიოდიდან იძენს ინტენსიური ვაჭრობის ფუნქციასაც.

XVIII საუკუნეში „საქართველოს სამხედრო გზის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ვ. გამრეკელის აზრი: **„წინაკავკასიის ცენტრალური რაიონებიდან დარიალით საქართველოში შემომავალი გზების საწყისი პუნქტი იყო სოფ. ზაურის მიმდებარე ტერიტორიები (მოგვიანებით აქ აღმოცენდა ქალაქი ვლადიკავკაზი). სოფ. ზაურთან მიდიოდა მთელი რიგი გზები, როგორც ყაბარდოს ტერიტორიებიდან, ისე თერგის პირა მოსახლე რუსების დასახლებიდან. ყველა ეს გზები, სოფ. ზაურის ახლოს ერთდებოდნენ ერთ გზად, რომლის მიმართულება იყო პირდაპირ საქართველოს სამხრეთით, ბალტის-ჩმის-ლარსის გავლით, რომელმაც მოგვიანებით საქართველოს სამხედრო გზის სახელწოდება მიიღო“.**

ეს გზა შედარებით გამოუყენებელი იყო VXIII საუკუნის 60-იან წლებამდე, ხოლო შემდგომ: **„მეორე მსხვილი დასახლებული პუნქტისა და ციხესიმაგრის, მოზდოკის დაარსებით, მდგომარეობა იცვლება უკეთესობისაკენ. მოზდოკი, ყიზლართან შედარებით, ბევრად უფრო ახლოს იყო საქართველოსთან და ჩრდილო კავკასიაში რუსეთის მომძლავრებით 60-იანი წლებიდან ნაკლებ სახიფათო იყო“.**

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობების მკვლევარი ა. შავხელიშვილი დარიალის გზის მნიშვნელობაზე აღნიშნავს: **„დარიალის გზამ დროთა განმავლობაში საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. იგი საქართველოს მეფეებისა და რუსეთის სამეფო კარის ყურადღების ცენტრში ექცევა. გარკვეული გეგმები დაისახა რუსეთსა და საქართველოს შემდგომ კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გასაფართოებლად“.**

XIX საუკუნიდან ხომ, სასიცოცხლო არტერია იყო რუსეთ-ჩრდილოკავკასია-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაში. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის იმპერია დიდ ყურადღებას უთმობდა მას. **გაზეთ „დროების“** ფურცლებზე ვკითხულობთ: **„ჩრდილო კავკასიაში გზების გასაკეთებლად, როგორც ერთ რუსულ გაზეთს გაუგონია, მმართველობას დაუნიშნავს წელს 300.000 მანეთი“.**

კავკასიის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ეს გზა ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, რაც ხელს უშლიდა როგორც რუსეთ-საქართველოს საფოსტო ურთიერთობებს, ასევე შეფერხებას უქმნიდა მგზავრთა გადაყვანას.

გაზეთ „დროებას“ არც ეს მომენტი გამოჰპარვია და თავის **„ოფიციალურ ცნობებში“ მოგვითხრობს: „ვლადიკავკაზი, 21 ივნისი. ადიდებულმა თერგმა გააფუჭა გზა ყაზბეგსა და კობს შუა. მდ. ცნოზედ გადადიან ფონით დიდის გაჭირვებითა. აქ დროებით ხიდს აკეთებენ. ფოჩტის მთავრობის განკარგულებით, ვლადიკავკაზსა და ტფილისს შუა ფოსტის კარეტები არ გაივლიან ამ ათი დღის განმავლობაში“.**

რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა ამ პერიოდში იყო — დარიალის უღელტეხილი. იგი საჭიროებდა ხშირ შეკეთებას, რასაც ხელისუფლება ავალებდა გზის გასწვრივ მცხოვრებ სოფლების მოსახლეობას.

ყოველივე ეს მათი მხრიდან უკმაყოფილებას იწვევდა. ქართული პერიოდული პრესაც ეხება ამ პრობლემას: **„ვლადიკავკაზის გზა ძალიან გაფუჭებულია, მის შესაკეთებლად პირველი მატარებლები გამოჩნდნენ ინგუშები, ჯირახის აულის გლეხები, რომელნიც ამ გზის პირდაპირ თერგ-გადაღმა დგანან“.**

ამ საუღელტეხილო გზის შეკეთებაში, მის მოვლა-პატრონობაში, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა. ესენი იყვნენ ოსები, ინგუშები, მოხევეები და მთიულები.

„გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან დიდ ენერგიას მოითხოვდა, დროისა და მატერიალურ დანახარჯებს. ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველებისა და ოსების გარდა, აქ ჩრდილოკავკასიელი სხვა ხალხებიც მოდიოდა“.

სოფლების (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, ხევი) მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა საგზაო ბეგარა. გ. წერეთელი **გაზეთ „კვალში“** მთიულებთან დაკავშირებით მოგვითხრობს: **„მთიულებს ვეძახით იმ ნაწილს საქართველოსას, რომელიც შეიცავს არაგვსა და თერგის ხეობას, სადაც გადის საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალი გზა მცხეთიდან მოკიდებული დუშეთს, ყაზბეგს, დარიალზე და ჩადის კავკავში“.**

ძირითადი ფუნქცია, XIX საუკუნეში საქართველოს სამხედრო გზას ერთ-ერთ განსაკუთრებულ რგოლად აქცევს რუსეთ-ჩრდილო კავკასია — საქართველოს ურთიერთობაში. ეს ფუნქცია კი გახლავთ ვაჭრობა, ეკონომიკური განვითარების უმთავრესი დარგი.

იყო სხვა საუღელტეხილო გზებიც. მაგალითად: **„ოსეთის სავაჭრო გზა, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან ალაგირის ხეობაზე გამოივლიდა, სოფელ მარაგთან ორ განშტოებად იყოფოდა და მამისონის უღელტეხილით დასავლეთ საქართველოს, ხოლო როკის უღელტეხილით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს უკავშირდებოდა“.**

ცხადია, რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობები ამ გზის მეშვეობით მანამდეც სწარმოებდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი გადმოგვცემს: „XVIII საუკუნის შუაზედ რუსეთ-საქართველოს ვაჭრობაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაყრუებული ოსეთის სავაჭრო გზა აღსდგა. ამიერიდან საქართველო იმიერკავკასიას და რუსეთს უმოკლესი საქარავნო გზით დაუკავშირდა“.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ გზას, ჩრდილო კავკასია-საქართველოს ურთიერთობაში თავისი განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა ეკონომიკურ-კულტურული თვალსაზრისით.

„ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში არანაკლები მნიშვნელობისა იყო დასავლეთის გზაც, რომელიც შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოს მჭიდროდ აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ რაიონებთან“.

უძველესი დროიდან, ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობა კონტაქტს ამყარებდა არამარტო ქართველ მთიელებთან, არამედ საქართველოს ბარის მოსახლეობასთანაც.

კავკასიელ მთიელებს სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ ბართან ურთიერთობა. ამ აუცილებლობას კარგად გვიჩვენებს **ივ. ჯავახიშვილის** მიერგამოთქმული მოსაზრება: **„ბარელს მთა სჭირდებოდა, მთიელს კიდევ ბარი უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით, საქართველოს შუა ნაწილი, ბარი ეკონომიკურად ჩრდილოეთისა და სამხრეთ ნაწილების თემებთან, ისევე როგორც პირიქით, მთა ბართან უმჭიდროვესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების, ყველა მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზებიც, შუაში მდებარე ბარისაკენ მიემართებოდა“.**

დამაკავშირებელი გზების მთელი სისტემა, კავკასიელი ხალხების საერთო ისტორიულ ბედ-იღბალი, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების მსგავსება იყო ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყეს საქართველო-ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში.

რუსეთის ინტერესებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო ნათლად გამოიკვეთა ეკონომიკურად მჭიდრო ურთიერთობის სურვილი კავკასიასთან. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა სარკინიგზო მშენებლობის საკითხებმა. რუსეთის იმპერია კარგად გრძნობდა, რომ კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა თავის დასასრულს უახლოვდებოდა და ამიერიდან იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ამ რეგიონის ეკონომიკური დაპყრობისთვისაც.

„საქართველოს სამხედრო გზის გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განსაზღვრა მისი აუცილებლობა იმ მხრივ, თუ რო-

გორი როლი ითამაშა მან საქართველო-ჩრდილოკავკასიელი ხალხების ცხოვრებაში, კავკასიის რკინიგზის გაყვანამდე, რომელიც საექსპლუატაციოდ წინა საუკუნის 80-იან წლებში გადაეცა".

ქართული პერიოდული პრესა დიდ დაინტერესებას იჩენდა აღნიშნული საკითხით. ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე სარკინიგზო ქსელების გაყვანას, იგი საერთოკავკასიური ინტერესების ჭრილში განიხილავდა. განსაკუთრებით მწვავედ დადგა სარკინიგზო მშენებლობის პრობლემა მას შემდეგ, რაც როსტოვი 60-იანი წლების ბოლოს დაუკავშირდა მაგისტრალურ რკინიგზას ხარკოვ-როსტოვსა და ვორონეჟ-როსტოვის ხაზებით. აუცილებელი გახდა ჩრდილო კავკასიის რეგიონების დაკავშირება როსტოვის რკინიგზასთან.

გაზეთი „დროება" გვიამბობს: **„უ. კ. ბენტკოვსკის აზრით, რკინიგზა რომ როსტოვიდამ ვლადიკავკაზზე წამოვიდეს, აქედან გავა პეტროვსკზე, პეტროვსკიდამ კასპიის პირით ბაქოს და ბაქოდამ ტფილისში. ეს გზა ყველა გზაზე სასარგებლო, იაფი და მოხერხებული იქნებაო".**

მართალია, საქართველოს სამხედრო გზა, კავკასიის რუსეთთან სარკინიგზო ქსელით დაკავშირებამდე, რუსეთსა და საქართველოს ძირითადი დამაკავშირებელი მაგისტრალი იყო ჩრდილო კავკასიაზე გავლით, „როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის ხაზის გახსნამ (1875 წელი), ჩრდილო კავკასია და საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო და კულტურის ცენტრებს, კავკასიის ხეობაში დააჩქარა რუსული კაპიტალის შეჭრა და ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობების რღვევა".

სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებით, კავკასია ჩაერთვებოდა საერთოეკონომიკურ სისტემაში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იყო „რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორისა და კავკასიის მეფისნაცვალის მოხსენებითი ბარათები ალექსანდრე II-ისადმი 1869 წელს". ასევე მნიშვნელოვანი იყო „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების" მუშაობა, რომლის წევრებმაც (ბენტკოვსკიმ, გერივანოვმა) წარმოადგინეს პროექტები ჩრდილო კავკასიის რკინიგზის კეთილისმყოფელ გავლენაზე, ამ მხარის ეკონომიკური ათვისებისთვის.

ჩვენთვის საინტერესოა ის რეაქცია ქართულ პრესაში, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის დაკავშირება სარკინიგზო ხაზებით.

„ჩვენ დღეს დარწმუნებით შევიტყეთ, რომ როკის ხეობაზედ რკინიგზა გამოვა როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზიდან ჩვენს გზასთან შესაერთებელი. ეს გზა როკის ხეობისა, უნდა გაკეთდეს უსათუოდ ხუთი წლის განმავლობაში".

ეს ფაქტი ხომ კავკასიის საერთო ინტერესებს პასუხობდა, ვაჭრობის ინტენსივობაც გაიზრდებოდა.

„რუსეთის ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის განმავლობაში მთიან ოლქებს სახელმწიფოსთვის მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი მხოლოდ ხარჯებს იწვევდნენ, მაშინ, როდესაც ეს მხარე თავისი ნაყოფიერების მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობაზე რომ არაფერი ვთქვათ, შეიძლება გადაიქცეს იმპერიის უმდიდრეს ნაწილად... რუსეთმა კავკასია უნდა გადააქციოს მსოფლიო ვაჭრობის დიდ შარაგზად, ისეთ გზად, რომელიც შეეფერება XIX საუკუნის მოთხოვნილებებს, დასეროს ის სარკინიგზო გზებით".

რუსეთის მიერ კავკასიაში სარკინიგზო ხაზების მშენებლობას უფრო დიდი მიზნებიც ჰქონდა. იმპერიის მესვეურნი, რომელთაც ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, როგორც საკუთარი, ასევე მათი ნაწარმის გასაღებას ლამობდნენ კავკასიის სარკინიგზო მაგისტრალებით.

გაზეთი „დროება" იუწყება კასპიის ზღვის მომავალი სარკინიგზო ხაზების პროექტის თაობაზე:

„ეს გზა პროხლადნის სტანციიდამ (ყუბანის მაზრა) კასპიის ზღვის ნაპირა სპარსეთის საზღვრამდის უნდა გავიდეს. პროხლადნიაში ის როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზას შეუერთდებდა და ამნაირად კავკაზიის აღმოსავლეთ მხარეს გადასჭრის და ერთის მხრივ კავკასიისა და მეორეს მხრით სპარსეთის ნაწარმოებებს გასაღების საშუალებას მისცემს..."

აღვნიშნავთ, რომ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ამ შემთხვევაშიც შუამავლის ფუნქციას ასრულებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში, ისევ და ისევ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

„1883 წელს რკინიგზის ხაზებმა დაუკავშირა ერთმანეთს ბათუმი-თბილისი-ბაქო. შავი და კასპიის ზღვების აუზები ამიერკავკასიის ერთმანეთს დაუკავშირდა. ახლა საჭირო იყო მისი ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთის ცენტრთან დაკავშირება. სათანადო სამუშაოები მაშინვე დაიწყო. ბაქოდან მშენებლობა წარიმართა დერბენტისა და პორტ-პეტროვსკისაკენ (მახაჩკალა), აქედან ხაზი მიდიოდა გროზნოთი ბესლანამდე, გუდერმესიდან პროხლადნიაში".

ბუნებრივია, ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე სარკინიგზო მშენებლობებს, ეკონომიკურთან ერთად, სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მითუმეტეს, რომ კავკასიის მთიელი მოსახლეობა თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ ეპუებოდა რუსეთის ბატონობას თავიანთ ქვეყანაში და სათანადო გზების უქონლობის გამო, რუსეთი ვერ ახერხებდა საჭიროების შემთხვევაში ჯარების სწრაფად გადმოყვანას.

ნატა ლომაძე

საქართველო-ირანის ურთიერთობის საკითხისთვის

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება შეუძლებელია მსხვილი უცხოური ინვესტიციების გარეშე. რეგიონში ერთ-ერთი პერსპექტიული ინვესტორია ირანი. ესაა თანამედროვე ტექნოლოგიების ქვეყანა უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით (მეორეა მსოფლიოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგით).
ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ სწორი პოლიტიკით საქართველოს შეუძლია, თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს ირანთან ურთიერთობა. სტატიაში მოცემულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებითაც შესაძლებელია ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

საქართველოს და ირანის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მართალია, სსრკ-ს პერიოდში ეს ურთიერთობები შეწყდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან კვლავ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები აღნიშნული ურთიერთობების განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის დაახლოების პოტენციალი ჯერ კიდევ სუსტად გამოიყენება. აღნიშნულს განაპირობებს რიგი ფაქტორებისა, რომელთაგან უმთავრესია:

1. საქართველოს სწორება სტრატეგიულ პარტნიორზე და შესაბამისად, ფრთხილი დამოკიდებულება ირანისადმი;
2. საქართველოს მეგობრის — ისრაელის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველო-ირანის დაახლოებისადმი;
3. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მკაფიო და ზუსტად განსაზღვრული სამეზობლო და რეგიონული პოლიტიკის არქონა;
4. სუსტი კულტურული კავშირები და სხვ.

იმის გამო, რომ საქართველო დღეისთვის აშშ-ზე მჭიდროდ მიბმული ქვეყანაა, საქართველოს ირანული პოლიტიკა გარკვეულწილად ზღვარდადებულია პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

მაგრამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის გარდა, არსებობს კიდევ ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა. განსაკუთრებით კი ხაზი უნდა გაესვას ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებს: ირანი მზადაა, ჩადოს მრავალმილიონიანი ინვესტიციები საქართველოს აგრარულ და სატრანსპორტო სექტორში და სხვ.

დღეისთვის ამ შესაძლებლობების მხოლოდ მინიმუმი გამოიყენება. ასე მაგალითად, ირანი, რომელიც მსოფლიოში მე-18 ადგილზეა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით, არ შედის საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორის. ეს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომელიც კორექტირებას საჭიროებს. სწორედ ამაზე მიუთითებს 2010 წლის მაგალითი: ირანის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმების სანაცვლოდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამაც გააუქმა სავიზო რეჟიმი ირანთან.

შედეგად, მაშინვე გაიზარდა ირანის დაინტერესება საქართველოთი — ჩაიდო ინვესტიციები უძრავ ქონებაში, საცალო ვაჭრობაში, ტურიზმში, ტრანსპორტისა და რესტორნების ბიზნესში. შეიქმნა მრავალი ერთობლივი საწარმო. 2010 წელს ირანის პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში 1,1 მლნ დოლარი შეადგინა და 5-ჯერ გადააჭარბა 2009 წლის დონეს. იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა 2011 წელსაც. 2012 წელს სავაჭრო ბრუნვამ საქართველოსა და ირანს შორის უკვე 81 მლნ დოლარს მიაღწია, აქედან 64,8 მლნ დოლარი მოდიოდა იმპორტზე, ხოლო 16,2 მლნ დოლარი — ექსპორტზე. სამწუხაროდ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არასწორი პოლიტიკა დაიკავა ირანის მიმართ: ცალმხრივად გააუქმა ირანთან სავიზო რეჟიმი და დამატებით ამისა, ირანელ ბიზნესმენებს შეუზღუდა საკუთარი ფულადი სახსრების განკარგვის უფლება ქართულ ბანკებში, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ქართულ-ირანულ ურთიერთობებზე. დღეისათვის საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ირანთან თითქმის 20-ჯერ ჩამორჩება ამავე მაჩვენებელს თურქეთთან მიმართებაში (1500მლნ დოლარი), რაც სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

ირანი რომ საჭირო პარტნიორია, ამაზე მეტყველებს 2006 წლის „მწარე გაკვეთილი“, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის ყოველგვარი ურთიერთობების შეწყვეტის შედეგად, საქართველო დარჩა რუსული ბუნებრივი აირის გარეშე და საქართველოს მოსახ-



იმამ ჰომეინის მოედანი და იმამის მეჩეთი, ისპაჰანი, ირანი

ლეობა „გამყინვარებისაგან“ იხსნა მხოლოდ ირანმა, რომელმაც, მოსკოვის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, განაგრძო საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდება. **ირანი მზადაა, ასევე დიდი ინვესტიციები ჩადოს ანაკლიის პორტის მშენებლობაში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.**

დღეისთვის ირანს მეორე ადგილი უკავია დასავლეთ აზიაში ეკონომიკური განვითარების მხრივ. მისი მოსახლეობა 75 მლნ. კაცია. იგი რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყანაა. ეკონომიკის წამყვანი დარგია ნავთობისა და გაზის მრეწველობა. ბუნებრივი აირის მარაგით იგი მსოფლიოში მე-2 ადგილზეა, ხოლო ნავთობის მარაგით — მე-3 ადგილზე. სპარსეთის ყურის 24 გიგანტი ნავთობსაბადოდან 8 ირანში მდებარეობს. წარმოებული ნავთობის 75 % ექსპორტზე გადის.

ირანში სუსტადაა განვითარებული სოფლის მეურნეობა. ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნებს აგროპროდუქტებზე. ქვეყნის იმპორტში ძირითადია მძიმე ტექნიკა, საკვები და მეცხოველეობის პროდუქტები, ქიმიური პროდუქცია და ელექტროსაქონელი. **საქართველოს შეუძლია გონივრული ეკონომიკური პოლიტიკით ირანის უზარმაზარი საექსპორტო და საიმპორტო პოტენციალის საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენება.**

უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების დონეზე უნდა გაცხადდეს დაახლოების პრიორიტეტი. საჭიროა საქართველოს ხელისუფლების უფრო ქმედითი ნაბიჯები ირანული ინვესტიციების მოსაზიდად. ამასთან, აუცილებელ პირობად მოთხოვნილ უნდა იქნეს მხოლოდ ქართული მუშახელის დასაქმება. ამით მიიღწევა სამმაგი ეფექტი: შემცირდება უმუშევრობის დონე ქვეყანაში; გაიზრდება დასაქმებული მუშახელის კვალიფიკაცია, რადგან ის ეზიარება თანამედროვე პროგრესულ ტექნოლოგიებს; ქართული მუშახელის დაბალი საბაზრო ღირებულების გამო, პროდუქცია იქნება უფრო იაფი და შესაბამისად, უფრო კონკურენტუნარიანი.

თანამშრომლობის დიდი რეზერვებია აგრარულ სფეროში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ირანში ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია. ამასთან, კლიმატური პირობები დარგის განვითარებისთვის ბევრად უფრო არახელსაყრელია, ვიდრე ჩვენთან. ქართული პროდუქცია მთელ მსოფლიოშია გამორჩეული მაღალი საგემოვნო თვისებებით, ირანს კი თავი სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტით გაიქვს. **საქართველოს სრული შესაძლებლობა აქვს, სათანადო გადამუშავებისა და შეფუთვის შემდეგ მაღალხარისხოვანი აგრო და აგროსამრეწველო პროდუქცია წარმატებით გაყიდოს არა მარტო ირანულ, არამედ მზარდ აზიურ ბაზარზე.** ეს მით უფრო საყუ-

რადღებოა, რომ ქართული პროდუქცია, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ჯერჯერობით, ვერ აკმაყოფილებს ევროპისა და ამერიკის ბაზრების მოთხოვნებს და ჩვენთვის ეს ბაზრები, ფაქტობრივად, დაკეტილია. ამასთან, ამ ბაზრებზე ძალზე დიდია კონკურენციაა და **აქ შესასვლელად საჭიროა მრავალმილიონიანი სარეკლამო კამპანია, რაც კიდევ ერთი ფაქტორია ქართული პროდუქციის ირანულ ბაზარზე ორიენტაციისთვის.** აქვე ხაზი უნდა გაესვას ირანის განსაკუთრებულ მზაობას ამ სფეროში თანამშრომლობისთვის: **იგი მზადაა, ჩადოს მრავალმილიონიანი ინვესტიცია და აქ წარმოებული აგრო და აგროსამრეწველო პროდუქცია გაიტანოს თავის ქვეყანაში.** ასეთი შეთავაზება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სანატრელია — ქვეყანაში შემოვა მრავალმილიონიანი უცხოური ინვესტიცია, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, შემცირდება უმუშევრობა, ქვეყანა მიიღებს დიდ შემოსავლებს, გაუმჯობესდება ათასობით ადამიანის ცხოვრების დონე და ა. შ. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კი აშშ-ისა და ისრაელის მიმართ თავისი ლოიალურობის დასამტკიცებლად თავი შეიკავა აღნიშნული წინადადებისგან, რაც, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მეტად წამგებიანია საქართველოსთვის, მით უფრო დღეს, როცა თავად აშშ და ევროკავშირი იწყებენ ირანთან ურთიერთობების დათბობას.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის დიდი პერსპექტივებია ტრანსპორტის სფეროში. ირანი სთავაზობს საქართველოს ყოველწლიურად მზარდი ირანული ტვირთების საქართველოს რკინიგზით გატარების სანაცვლოდ უზრუნველყოს თავისი ინვესტიციებით საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობის იმ დონემდე გაზრდა, რომელიც უზრუნველყოფს ირანულ ტვირთებთან ერთად სხვა აზიური ქვეყნების ტვირთების გატანას ევროპაში, რაც მეტად მომგებიანია როგორც ამ ქვეყნებისთვის (ესაა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზაა — 1500 კმ-მდე მცირდება მანძილი და ამავე დროს ყველაზე იაფიც), ისე საქართველოსთვის (მნიშვნელოვნად გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავალი). სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია ამ ირანული წინადადების მიმართ.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისთვის აუცილებელია ქართულ-ირანული სავაჭრო პალატების თუ სხვა მაკოორდინებელი ორგანოების შექმნისთვის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ამისა, სახელმწიფომ, თავისი სტრუქტურების მეშვეობით, აგრესიული სარეკლამო კამპანია უნდა გაწიოს ირანში ქართული პროდუქციისა და მომსახურების უკეთ გაცნობის მიზნით. ეს არ საჭიროებს ისეთ დიდ ფინანსურ ხარჯებს, როგორც ანალოგიური კამპანია ევროპის ქვეყნებში, ხოლო შედეგი იქნება მეტად ეფექტური — პროდუქცია „ცნობადი“ გახდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის და შესაბამისად, ამაღლდება ნდობის ხარისხიც. ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სფეროა, ასევე, ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული მომსახურების შეთავაზება. ამასთან, აუცილებელია გაიზარდოს ტურისტული მომსახურების ხარისხი, რადგან დღეისთვის მომსახურების ხარისხი და ფასების დონე ამ სფეროში მეტად არაპროპორციულია და არც თუ იშვიათად განაპირობებს არა თუ უცხოელი ტურისტების მოზიდვას, არამედ ადგილობრივი კლიენტურის გადინებას თურქეთსა და ეგვიპტეში.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი ექნება ასევე უბაჟო ვაჭრობის შემოღებას ორ ქვეყანას შორის. ეს ხელს შეუწყობს, ჯერ ერთი, ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, დააჩქარებს ქართული საწარმოების აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიებით შედარებით ნაკლები დანახარჯების პირობებში.

დღეისათვის, ორი სახელმწიფოს არასათანადო ძალისხმევის ფონზე, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სახალხო დიპლომატიაზე. ეს ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტია ქვეყნებს შორის დაახლოებაში — არ არის საჭირო ლოდინი ხელისუფლების კეთილი ნებისადმი. დღეს, ერთიანი მსოფლიო კომუნიკაციის სისტემის პირობებში, სახალხო დიპლომატიის, ანუ „რბილი ძალის“ პერსპექტივები განუსაზღვრელია.

სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია რეგიონული თანამშრომლობა — საქართველოს ცალკეული მხარის ან რაიონის (ქალაქის) მიერ კულტურულ-ეკონომიკური კავშირების დამყარება ირანის ანალოგიურ სტრუქტურებთან, მათი „დაძმობილება“. თანამშრომლობა „ქვედა დონეზე“, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, არანაკლებ ეფექტურია, ვიდრე თანამშრომლობა სახელმწიფო დონეზე.

თანამშრომლობის დიდი რესურსებია კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. ირანში დღეისთვის განათლების ბუმია, რაც სწორი პოლიტიკის შედეგად შესაძლებელია საქართველოს სასიკეთოდ იქნეს გამოყენებული. კერძოდ, ირანელებს შეეძლებათ, მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები და დიპლომები რიგ ქართულ უნივერსიტეტებში შედარებით ხელსაყრელ ფასებში, ხოლო ქართველ ახალგაზრდა მეცნიერებს კი შეეძლებათ დასაქმება ირანულ უნივერსიტეტებში, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას ირანული ენის შემსწავლელი უფასო ენის კურსების ფართო ქსელი და გაფართოვდეს ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო კურსების ქსელი.

მერაბ ცომაია,
თსუ-ს ბაკალავრი

ჩაი და მისი ადგილი საქართველოში

ჩაის კულტურის სამშობლო ჩინეთია. იგი ცნობილია IV საუკუნიდან (სხვა წყაროებით, ათასი წლით უფრო ადრე). იაპონიასა და კორეაში ჩაი IX საუკუნეში გააშენეს. სხვა ქვეყნებში ფართოდ ვრცელდება XIX საუკუნიდან. ამ პერიოდიდან მისი მოხმარება განუხრელად იზრდებოდა. 1900 წლიდან დღემდე მსოფლიოს მოსახლეობა 4,2-ჯერ, ჩაის წარმოება-მოხმარება კი 11-ჯერ გაიზარდა და 4 მლნ ტონას აღწევს. ერთ სულ მოსახლეზე წლიურად ჩაის მოხმარება მსოფლიოში საშუალოდ 550 გრამს, ზოგიერთ ქვეყნებში 3-4 კგ-ს შეადგენს.

საქართველოში მე-20 საუკუნეში, ჩაის კულტურის ფართოდ განვითარების შედეგად, იგი ერთ-ერთი ძირითადი მოხმარების პროდუქტი გახდა. ნორმით ერთ სულზე 1 კგ-ის მოხმარებაა გათვალისწინებული. თუმცა, ფაქტობრივი მაჩვენებელი ამჟამად 0,3 კგ-ს არ აღემატება, მისი წილი სასურსათო მოხმარებაში 1-2%-ს შეადგენს.

საქართველოში ჩაი 1847 წელს შემოიტანეს და პროდუქცია პირველად კუსტარულად 1864 წელს დაამზადა მ. ერისთავმა.

პირველი სამრეწველო პლანტაცია 1885 წელს ჩაქვში გააშენა სოლოვცევმა. 1921 წლამდე ჩაის ფართობი საქართველოში ათასამდე ჰექტარს, მოსავალი 550 ტონას აღწევდა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე საქართველო, როგორც სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, განსაკუთრებულ პირობებში აღმოჩნდა. პირველყოვლისა, ეს ითქმის მეჩაიეობის მისამართით. 1921-დან 1928 წლამდე ათას ჰექტრამდე ახალი პლანტაცია გაშენდა, ხოლო 1928 წლიდან დაჩქარებულ კოლექტივიზაციას თან ახლდა ყოველწლიურად 3-5 ათასი ჰა ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება. 1941 წლისთვის საქართველოში ჩაის ფართობმა 51,5 ათას ჰექტარს მიაღწია. 1950-იანი წლებიდან გრძელდება ჩაის პლანტაციების გაშენება და 1956 წლისთვის მისი მთლიანი ფართობი 66,2 ათას ჰექტარს აღწევს. ამის შემდეგ პლანტაციების გაშენება-ჩამოწერა პარალელურად ხდება და 1990 წლისთვის დასახული 81 ათასის (2000წ. — 90 ათასი) ჰექტრის ნაცვლად, იგი 1956 წლის დონეზე დარჩა.

მეჩაიეობა შრომატევადი დარგია. 1950 წლიდან 1965 წლამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება 84-ათასიდან 186 ათას ტონამდე გაიზარდა. მოსავლის დროული აღებისთვის კრეფა არ წყდებოდა წვიმიან ამინდშიც კი. გარდა ძირითადი მუშახელისა, გამოიყენებოდა მოსწავლეების, სტუდენტების, საწარმო-დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომა. შემდეგ დაინერგა მობილური მანქანები, ხელის აპარატები, მექანიკური საშუალებები (მაკრატელი, ნამგალი, დანა და სხვ.), რომელთა საშუალებითაც შემცირდა არაძირითად მუშახელზე მოთხოვნა, მაგრამ დაეცა ჩაის ხარისხი.

წინააღმდეგობრივი განვითარების მიუხედავად, მეჩაიეობა მე-20 საუკუნეში საქართველოს სტრატეგიული დარგი იყო. მისი წილი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის მეურნეობების მთლიან პროდუქციაში 70-90% აღწევდა.

90-იანი წლებიდან მეჩაიეობა საქართველოში სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა. აუცილებელი იყო დარგის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავება, რომლის საფუძველზე ხელშეკრულებით უნდა განეხორციელებინათ პლანტაციების იჯარითა და კერძო საკუთრებაში გადაცემა, გასათვალისწინებელი იყო მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები (1996 წ.). ეს არ გაკეთდა, ამიტომ მთავრობის მიერ გამოყოფილი 17 მილიონი ლარის დახმარება და 2005 წელს ჩატარებული ჩაის ინვენტარიზაცია (სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩაის ინსტიტუტის მიერ) უშედეგო იყო.

ერთ-ერთ ინტერვიუში კახა ბენდუქიძე აღნიშნავდა, რომ „მეჩაიეობა... საქართველოს მძიმე ტვირთად აწევს“.

პრივატიზაციის პირველივე წლებიდან მოსახლეობამ დაიწყო ჩაის ამოძირკვა და მისი შეცვლა ალტერნატიული კულტურებით (თხილი, სიმინდი და სხვა). ხალხი უფრო პრაგმატულია, ვიდრე ბევრი სწავლული, მეცნიერი, მაგრამ, თუ ჩაის ფართობის დიდი ნაწილი კვლავ აუთვისებელია, ეს ხდება არა მოლოდინის, არამედ უსახსრობის გამო. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მიერ ჩაის ცენტრალიზებულად ამოძირკვა, რომელიც 10-15 წლის წინათ უნდა გახორციელებულიყო (თუნდაც გამოყოფილი 17 მილიონი ლარიდან 10 მილიონის ხარჯზე), რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნება, მაგრამ მეჩაიეობის დარგის სა-

კითხი დღეს, 20 წლის შემდეგაც კი, ბატონი კახასთვის, როგორც ჩანს, არც თუ მთლად ნათელია, რადგან მას ასე გამოხატავს: „ეს შეიძლება უკეთესი იყოს“. არადა, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის აგრარულ უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ, კახა ბენდუქიძეს ჩაის ოპტიმალურ დონით განვითარების თუ სხვა საკითხი დაზუსტებული უნდა ჰქონდეს. მაგრამ ახლა ეს ინსტიტუტი შეძლებს კი ამ საკითხზე თავისი თვალსაზრისი წარმოადგინოს დასაბუთებულად და ობიექტურად?

გაანალიზების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება, გამოვლინდეს წარმოებისა და ეფექტიანობის შემაფერხებელი ფაქტორები და შემუშავდეს რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისთვის, გაკეთდეს დასკვნები და მოხდეს მიღებული შედეგების განზოგადება.

ასეთი წინადადება ამ სტრიქონების ავტორს და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ, აწ განსვენებულ სოსო გურულს რამდენიმე წლის წინათ გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო მხარდაჭერა ვერ მოვიპოვეთ.

ბევრი თქმულა ქართული ჩაის კვებით ღირებულებასა და სხვა დადებით თვისებებზე. თვით ამ კულტურის ისტორიულ სამშობლოშიც კი დარგის ცნობილი სპეციალისტები და ბიზნესმენები საჯაროდ აღნიშნავდნენ, რომ ნესტიანი სუბტროპიკების პირობებში, ჩაის კულტურა უფრო მოსავლიანია და მიღებული პროდუქციაც უკეთესი კვებითი მაჩვენებლებით გამოირჩევაო. ბოლოდროინდელმა დაკვირვებამაც აჩვენა, რომ ქართული შავი და მწვანე ბაიხის ჩაი ადრინდელ დიდებას ნელა, მაგრამ დამსახურებულად იბრუნებს. გამოკვლევები იმასაც ადასტურებს, რომ სავაჭრო ობიექტებში იშვიათობას წარმოადგენს გაუსაღებელი პროდუქცია, კერძო პირების მიერ კუსტარულად (ოჯახურ პირობებში) დამზადებული ჩაიც დეფიციტური ხდება.

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გაიზარდა, რაც, პირველ რიგში, დარგში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა, რამაც გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და სასაქონლო სახე, მაგრამ, როგორც პრაქტიკოსი აგრარიკოს-მეცნიერები და ექსპერტები აღნიშნავენ, დღემდე ვერ ხერხდება ყველა რეზერვის და შესაძლებლობის სათანადოდ გამოყენება. მოსახლეობაც მიიჩნევს, რომ არსებული ჩაის პლანტაციების გაშენება-რეაბილიტაცია დიდად შეუწყობდა ხელს დასავლეთ საქართველოში უმუშევართა რიცხოვნობის შემცირებას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგებს საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. წარმოებული ჩაის პროდუქციის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე გადიოდა. ჩაის ნედლეულსა და პროდუქციაზე მოქმედებდა ფიქსირებული ფასები და დაწესებული იყო სახელმწიფო მონოპოლია. ჩაის დარგზე მოდიოდა აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული საერთო პროდუქციის 18 პროცენტზე მეტი, ხოლო შიდა ეროვნულ შემოსავალში მისი ხვედრითი წილი 10-12 პროცენტს შეადგენდა. 1990-იანი წლებიდან მეჩაიეობის დარგმა დაკნინება დაიწყო და ქვეყანა ექსპორტიორიდან იმპორტიორ ქვეყნად გადაიქცა, დაიკარგა გასაღების ტრადიციული ბაზრებიც. დარგის დეგრადაციის პროცესი თანდათან ღრმავდება, რასაც ქვეყნის სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ეკონომიკის გაუარესება მოჰყვა. დღეისათვის გატყავებული პლანტაციების საერთო რაოდენობა (გარდა აფხაზეთისა), 15600 ჰექტარს შეადგენს. დანარჩენი ფართობები (8625 ჰა) ამოსაძირკვია და სხვა ალტერნატიული კულტურებით უნდა შეიცვალოს. ბოლო წლებში ეს სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მასშტაბები ძალიან მცირეა. უმნიშვნელოა პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხებიც. პლანტაციების გაკულტურებას რაც შეეხება, ეს დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, სავსებით შესაძლებელია.

როცა სოფლად ცხოვრება ჩქეფდა

ზამთრის მზიან დღეებს სოფლის მეურნეობის მესვეურნი ყოველთვის იყენებდნენ ჩაის პლანტაციებში ზამთრის სამუშაოების ჩასატარებლად, აგროტექნიკური ღონისძიებების მთელი კომპლექსი მიმდინარეობდა. ნიდაგში შეჰქონდათ მინერალური სასუქები, კრეფდნენ უხეშ ფოთოლს, მიმდინარეობდა სადრენაჟო არხების გაწმენდა-რემონტი, ჩაის ბუჩქების გასხვლა, ამორტიზებული და მცირემოსავლიანი ნარგავების ნაცვლად „კოლხეთის“ ჯიშის უხვმოსავლიანი ნერგების დარგვა; ყურადღება ეთმობოდა პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციას, ჩაის საკრეფი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამართვას. „ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება — ყველას დიდი საზრუნავი!“ — ამ რუბრიკით გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ 1985 წლის თებერვლის ერთ-ერთ ნომერში წერდა „ჩაი ასეთი უნდა იყოს“, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„ჩაი სიმხნევის ჭეშმარიტი ელექსირია — ასეთ შეფასებას აძლევენ მომხმარებლები ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკაში დამზადებული ჩაის ახალ ნიმუშებს.

ქართველ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ბეჯითი და შემოქმედებითი შრომით ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება ჩაის წარმოება, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გააჩნიათ და მათი ვალია, ქართულ ჩაიზე მომხმარებელს ისეთი გულწრფელი ქება ათქმევინონ, როგორც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ შავი ბაიხის ჩაიზე გამოთქვეს.

საქმე ის არის, რომ ფაბრიკამ 1983 წლიდან დაიწყო ექვსი სახის შავი ბაიხის ჩაის: „ანასეული“, „ჩაქვი“, „გაზაფხულის არომატი“, „ელიტა“, „პრიმა“ და „ნორმა“ გამოშვება, რომლებიც ქართული სელექციური ჩაის ჯიშების ნედლეულისგან მზადდება, მომხმარებელმა მაღალი შეფასება მისცა. **ამ ჩაის გაერთიანების სახელზე მოსული გამოხმაურებები იმაზე მეტყველებს, რომ ეს პროდუქცია სავსებით აკმაყოფილებს მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებს როგორც ხარისხით, ისე სასაქონლო სახით. ისინი ქართულ ჩაის მაღალ შეფასებას აძლევენ და ითხოვენ ასეთი ჩაი ბევრი აწარმოონ, ხარისხი არ გააუარესონ.**

„დიდი მადლობა ასეთი ჩაის გამოშვებისთვის. დიდი ხანია, მსგავსი არაფერი დამილევია. საუკეთესო გემო და არომატი, ფერი და საუკეთესო გაფორმება. ერთი სიტყვით, ყველაფერი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ბოლოსდაბოლოს კავშირში გამოჩნდა ნამდვილი ჩაი, არადა, ძალზე შელახა ქართული ჩაის პრესტიჟი იმ „ნარეცხმა“, რომელსაც „ქართულ ჩაის“ ვეძახით. ყოჩაღ, ახლა მთავარია, არ გავაუარესოთ და გავზარდოთ მისი წარმოება. ვიგემე „ელიტა“ და „გაზაფხულის არომატი“. ორივე საუკეთესოა. დიდი მადლობა! დიდი მადლობა მოსკოველებისგან საუკეთესო და ნანატრი პროდუქციისთვის!“ — გვწერს მოსკოველი ო. სოლნიშკინა.

აი, რას იწერება ლენინგრადელი ლ. მაიოროვი: „ნევის პროსქეტზე კარგად გაფორმებული ჩაი „ნორმა“, „პრიმა“, „ელიტა“, „გაზაფხულის არომატი“, ვიყიდე. ჩემი აზრით, „პრიმა“ სჯობია „ნორმას“, „ელიტა“ — „პრიმას“. მაგრამ „გაზაფხულის არომატმა“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ჩაი კი არა, სიცოცხლის ნექტარია. მეორე დღეს მივედი მაღაზიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ იყო, გაყიდულიყო. ჩაისთვის დიდი მადლობა, მაგრამ სად შევიძინოთ?“

„მოსკოვში გავლით ვიყავი, — იწერება ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ალატირის მცხოვრები ვ. მარეევი, — ვიყიდე ჩაი „პრიმა“. ჩაის ხარისხი სავსებით შეესაბამება ორიგინალურად და მიმზიდველად გაფორმებულ შეფუთვას. სამწუხაროა, რომ ჩვენთან ასეთი ჩაი არ იყიდება. დიდი მადლობა ასეთი არომატული ჩაის გამოშვებისთვის!“

პოლტაველმა ვ. გოლდმანისმა კი ასე გამოხატა თავისი აღტაცება: მაღაზიაში გაჩნდა თუ არა „ნორმა“, „პრიმა“ და „ელიტა“, უცბად დაიტაცეს. განსაკუთრებით მოგვეწონა „პრიმა“. როცა ამ ჩაის ვსვამდი, უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობდი. საოცრად სასიამოვნო არომატი, ყვავილის სუნი, თაფლის გემოც კი. გმადლობთ იმ კმაყოფილებისათვის, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ!“

„ჩემთვის კარგი ჩაი, დიდი ხანია გახდა, პირველი მოთხოვნილების პროდუქტად, იგი მხნეობასა და შრომისუნარიანობას მანიჭებს. გისურვებთ წარმატებებს საუკეთესო ჩაით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფისთვის!“ — იწერება ვლადიმირის ოლქის კირჟაჩის მკვიდრი ლ. სუპონევი.

აი, რას იწერება პოლონელი ტუ-

რისტი ანდატი ტომასიკი: „საბჭოთა კავშირში ვიყავი ექსკურსიაზე. ვიყიდე ჩაი „ელიტა“. ჩაი ჩვენს ოჯახში ყველას მოეწონა. პოლონეთში ასეთი კარგი ჩაის ყიდვა იშვიათად შეიძლება. ძალზე ვწუხვარ, რომ „ელიტა“ უფრო მეტი არ ვიყიდე“.

„არ შემიძლია თავი შევიკავო და არ მოგწეროთ, ამას წინათ შემთხვევით ვიყიდე ჩაი „ანასეული“. რა შეიძლება თქვა ამ ჩაიზე? ბრწყინვალე არომატი, საუკეთესო გემური თვისებები და ნაყენის ფერი, უმაღლესი ხარისხის სასმელია! მთელი სულითა და გულით უდიდესი მადლობა. ასე გაგრძელეთ! კმაყოფილებას გვგვრის თქვენი შრომა“, — წერს ლ. ლოგინოვი ქ. მოსკოვიდან.

„ჩემმა ქართველმა მეგობარმა ჩაი „გაზაფხულის არომატი“ მაჩუქა, — წერს გაერთიანებას ბერლინელი ხეიდი შმიდტი, — ჩაი ძალზე გემრიელია. არასოდეს დამილევია ასეთი კარგი ჩაი“.

დონეცკელი ლ. ლიპნიკი: „როგორც ჩაის დიდი თაყვანისმცემელი, მსურს გულითადად მოგესალმოთ ქართული ჩაის „გაზაფხულის არომატისთვის“. ბოლო ხანებში პრესაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ქართული ჩაი. მაგრამ თუ სხვა ქართული ჩაიც „გაზაფხულის არომატის“ დონეზე იქნება დამზადებული, მაშინ უცხოეთიდან შემოტანილ ჩაის კავშირში მყიდველი არ ეყოლება. სამწუხაროდ, გაერთიანების ექსპერიმენტული ფაბრიკის პროდუქცია ჩვენთან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. სამაგიეროდ, რამდენიც გნებავთ, იმდენია ოდესისა და ბათუმის გადამწონი ფაბრიკების პროდუქცია, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“.

ვფიქრობთ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული ფაბრიკის პროდუქციაზე მიღებული ეს გამოხმაურებები საკმარისია იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი შესაძლებლობები აქვს ქართულ ჩაის იმისათვის, რომ დიდი სიამოვნება მივანიჭეთ ჩაის სმის მოყვარულებს, ასეთი მოყვარული კი მთელი ქვეყანაა.

რ. დევდარიანი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2014 წლის 6 თებერვალს აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი კონფერენცია „მრგვალი მაგიდა“, რომელიც მიეძღვნა თემას „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი, აგრარული სექტორის განვითარებაში“. მონაწილეობდნენ საქართველოს რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ხელმძღვანელები, ფერმერები და ამ პრობლემით დაინტერესებული კერძო პირები.

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ, მონაწილეებს სიტყვით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ. მოხსენებით გამოვიდა სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე. თანამოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები: ნაპოლეონ ქარქაშაძე და თამაზ კუნჭულია, კამათში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები ნოდარ ჭითანავა,

ომარ ქეშელაშვილი, რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ხელმძღვანელები, ფერმერები.

როგორც აკადემიის პრესსამსახურიდან სალომე კიკნაველიძემ შეგვატყობინა, კონფერენციის მონაწილეებმა კრიტიკულად შეაფასეს ყოფილი ხელისუფლების საქმიანობა კოოპერაციის მიმართულებით. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, გამოიკვეთა შესასრულებელი სამუშაოების მიმართულებები. შესრულებული სამუშაოების შეფასება კი მოხდება ერთობლივ სხდომაზე მიმდინარე წლის ბოლოს.

კარლო მოისწრაფიშვილი
პროფესორი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ეროვნული ვალუტის სიმბოლიკის ნიმუში

ქართული ფულის — ლარის სიმბოლოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუშაობა დაიწყო. ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ ახლახან პრესკონფერენციაზე განაცხადა. ქართული ფულის – ლარის სიმბოლოს შემოღება ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სიმბოლოს პოპულარობა გაზრდის ცნობადობას საზოგადოებაში და დადებითად აისახება ქართული ფულის იმიჯზე. ამგვარი სიმბოლიკის შემოღებით ამაღლდება ეროვნული ვალუტის მიმართ საზოგადოებრივი ნდობა.
ვალუტის სიმბოლოს შემუშავების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიქმნა კონკურსის დროებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ეროვნული ბანკის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები.

სიმბოლიკის ვიზუალური აღწერა

ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, შემოთავაზებული სიმბოლიკის ნიმუში წარმოადგენს ეროვნული ვალუტის ინგლისურენოვანი დასახელების (GEORGIAN LARI) აბრევიატურის (GL) სტილიზებულ გამოსახულებას (ნახ. 4); იგი იწერება ხაზს ზემოთ, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.

ნახ. 4-ზე წარმოდგენილია ეროვნული ვალუტის სიმბოლიკის ბეჭდური სახე.

ეროვნული ვალუტის წარმოდგენილი სიმბოლიკის ნიმუში შედგება ორი სიმბოლოსაგან: ლათინური ანბანის სტილიზებული მეშვიდე (!) ასო-ნიშნისა — G (ნაზ. 1ა) და იმავე ანბანის მეთორმეტე (!) ასო-ნიშნისგან — L (ნაზ. 1ბ). ამ ორი სიმბოლოს გაერთიანებით ვღებულობთ სიმბოლიკას (ნახ. 2); სიმბოლოების გაერთიანება ხორციელდება მათი ურთიერთგადაადგილებით |CD|-წყვეტილი ხაზის გასწვრივ (ნახ. 1) C და D წერტილების ურთიერთთანხვედრამდე (ნახ. 2). სიმბოლიკის ცენტრალურ ნაწილში დაიმზირება ჯვარი (ნახ. 4).

სიმბოლიკის შინაარსობრივი დატვირთვა

(სიმბოლიკის კონცეფცია)

საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის, შემოთავაზებული სიმბოლიკის ნიმუშს გააჩნია შემდეგი შინაარსობრივი დატვირთვები:

1. სიმბოლიკის პირველი ნაწილი (სიმბოლო), რომელიც წარმოადგენს ლათინური ანბანის მეშვიდე ასო-ნიშნის (G) სტილიზებულ გამოსახულებას (ნაზ. 1ა), ასოცირდება ნამგალთან, ხოლო მეორე სიმბოლო, იმავე ანბანის მეთორმეტე ასო-ნიშანი — L, — თოხთან (ნახ. 1ბ), რაც მიუთითებს საქართველოზე, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო-აგრარული კულტურის მატარებელ ქვეყანაზე.

სიმბოლიკის ცალკეული სიმბოლოები (თოხი, ნამგალი) მოიცავს



ნახ. 1 ნახ. 2 ნახ. 3 ნახ. 4

სამიწათმოქმედო-აგრარული პროცესის სრულ ციკლს — დათესვიდან (თოხი) მომკის (ნამგალი) ჩათვლით.

2. თვით სიმბოლიკა (ნახ. 4) ასოცირდება იალქანთან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო წარმოადგენს უძველეს, უმდიდრესი ტრადიციების მქონე საზღვაო-სანაოსნო ქვეყანას (ჰომეროსი, „არგონავტები“).

3. წარმოდგენილი სიმბოლიკის ნიმუში, ასევე, ასოცირდება ჭიგოზე შემოხვეულ ვაზთან (სტილიზებული), რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოა, რაც მთელმა მსოფლიომ აღიარა.

4. შემოთავაზებული სიმბოლიკის ნიმუში, აგრეთვე, ასოცირდება საყოველთაოდ მიღებულ მედიცინის სიმბოლიკასთან, რაც საქართველოს წარმოაჩენს, როგორც უძველესი სამედიცინო კულტურის მატარებელ ქვეყანას (ჰომეროსი, „არგონავტები“), როგორც ვარაუდობენ, თვით ტერმინი „მედიცინა“ მედეასგან წარმოსდგება.

5. სიმბოლიკის ნიმუშს გააჩნია რელიგიური (ქრისტიანული) დატვირთვაც; რიცხვები — შვიდი და თორმეტი (იხ. სიმბოლიკის ვიზუალური აღწერა) ქრისტიანული საკრალური (წმინდა) რიცხვებია (შვიდი მთავარანგელოზი, თორმეტი მოციქული); ქრისტიანული დატვირთვის განსამტკიცებლად სიმბოლიკის ცენტრალურ ნაწილში, ვერტიკალურ ხაზზე დატანილია ჰორიზონტალური შტრიხ-ხაზი, რაც ჯვართან ასოცირდება.

ზემოთთქმული მიმანიშნებელია იმისა, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა.

სიმბოლიკის აგების წესი

სიმბოლიკის ბეჭდური ვარიანტის ასაგებად ვირჩევთ ნებისმიერი მასშტაბის $\vec{R}$ რადიუს-ვექტორს და შემოვხაზავთ წრეწირს $|\vec{R}|$ რადიუსით (ნახ. 3). კუთხის (რკალის) აზომვას ვახდენთ რადიუს-ვექტორის საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, როგორც ნახ. 3-ზეა ნაჩვენები.

ნახ. 5. — ა. ბეჭდური სახე; ბ. ხელნაწერი სახე.

ვიწყებთ სიმბოლიკის აგებას:

1. $\vec{R}$ რადიუს-ვექტორის A წერტილიდან, შეთანხმებული მიმართულებით, 1200-ით შემობრუნებით მივიღებთ AB რკალს — $AB=120^0$ (ნახ. 3).

2. რკალის ქვედა B-წერტილიდან ვავლებთ $|\vec{R}|$ სიგრძის ჰორიზონტალურ ხაზს (ნახ. 2).

3. 0-ცენტრიდან მარცხნივ, $0.25 \times |\vec{R}|$ —მანძილის დაშორებით ვავლებთ $2|\vec{R}|$ სიგრძის ვერტიკალურ ხაზს, რომელიც ჰორიზონტალურ ხაზს გადაკვეთს $0.25 \times |\vec{R}|$-ით (ნახ. 2).

4. ვერტიკალური ხაზის შუა წერტილზე (E) დავიტანთ $0.4 \times |\vec{R}|$ სიგრძის ჰორიზონტალურ შტრიხ-ხაზს, რომელიც სიმეტრიულია ვერტიკალური ხაზის მიმართ (ნახ. 2).

5. სიმბოლიკის ხაზების სისქე $d = 0.05 \times |\vec{R}|$ (ნახ. 3, ნახ. 4).

მივიღებთ საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის, სიმბოლიკის შემოთავაზებული ნიმუშის ბეჭდურ ვარიანტს (ნახ. 4).

სიმბოლიკის ხელნაწერი ვარიანტის გამოსახვისას მოხერხებული იქნება, ჩემი აზრით, ჯერ ვერტიკალური ხაზის გავლება, ხოლო შემდეგ დანარჩენი მოხაზულობის შესრულება.

ნახ. 5-ზე მოცემულია სიმბოლიკის გრაფიკული გამოსახულებების გამოყენების ნიმუშები:

სიმბოლიკები და ციფრები ურთიერთთანაზომადია

საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოთავაზებული ნიმუში მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკული (აშშ) ცენტის სიმბოლოსაგან (ნახ. 6).

ნახ. 6. ამერიკული (აშშ) ცენტის სიმბოლო

საკონკურსოდ შემოთავაზებული საქართველოს ეროვნული ვალუტის სიმბოლიკის ნიმუში შეიცავს ხუთ იდეას (სიმბოლოს): სამიწათმოქმედო-აგრარულს, საზღვაო-სანაოსნოს, მევენახეობა-მეღვინეობის, სამედიცინოს და რელიგიურს (ქრისტიანულს).

და ბოლოს: საკონკურსოდ წარმოდგენილი ქართული ეროვნული ვალუტის სიმბოლიკა დასტურია იმისა, რომ „არის ასეთი ქვეყანა“, რომელიც სამიწათმოქმედო-აგრარული და საზღვაო-სანაოსნო კულტურების მატარებელი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც ფეხი აიდგა მევენახეობა-მეღვინეობამ და მედიცინამ და, — „მას საქართველო ჰქვია“ (ი. ონნეშვილი).

აღარაფერს ვამბობ სიმბოლიკის გამოსახვის სიმარტივეზე.

საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის, სიმბოლიკის შემოთავაზებული ნიმუში წარდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულ ლარის სიმბოლოს შესარჩევ კონკურსზე.

ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო პრემიერო!

დიდ ბოდიშს გიხდით ღია წერილით თქვენი შეწუხებისთვის, ჩემი ასაკისა და რანგის კაცს არ ეგების თავისი აზრებითა და რჩევებით შეაწუხოს დიდად მოუცლელი თქვენი პერსონა. მაგრამ, რაკი საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე და თქვენი ამომრჩეველი მეც ვარ, ამდენად მოვალეც ვარ, გავაკრიტიკო ის, რასაც სწორად ვერ აკეთებთ და მოვიწონო ის პოზიტიური ღონისძიებანი, რომლებიც ფაშისტური რეჟიმის მოცილების შემდეგ გაკეთდა ბატონი ივანიშვილისა და თქვენი მეცადინეობით.

თქვენი მოღვაწეობის ყველაზე დადებითი და პოზიტიური შედეგი ის არის, რომ ქვეყანაში მოიხსნა შიშის სინდრომი და სათავე დაედო თავისუფალ, უსაფრთხო, სამართლიან საზოგადოებას. მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო ეს არ კმარა, ამას შედეგად უნდა მოჰყვეს ხალხის ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრება, რასაც ჯერ ვერ ვამჩნევთ. გვესმის, რომ მძიმე მემკვიდრეობა მიიღეთ, თანაც ჩვენი რესპუბლიკა მდიდარი არ არის მყისიერი წარმატებების მომპოვებელი ისეთი რესურსებით, როგორებიცაა ნავთობი, გაზი და საერთოდ ენერგეტიკა, მაგრამ **საქართველოს აქვს იმის საშუალება, როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე ბუნებრივი რესურსებით, რომ ქვეყანა საშუალო დონეზე მაინც იმყოფებოდეს როგორც ეკონომიკის, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონით.** თქვენს მრჩევლებს შორის იქნებიან ეკონომისტები, დასხით ისინი და გააანალიზებინეთ: 150 ლარით საცოდავმა პენსიონერმა უზომოდ მაღალი გადასახადები გადაიხადოს, წამლები იყიდოს, ჩაიცვას, იკვებოს თუ თავის პატარა მეურნეობას მოუაროს.

არა, იმას კი არ ვამბობ, რომ ამ საქმეში თქვენ რაიმე ცოდვა მიგიძღვით, გუშინ მოხვედით ხელისუფლებაში და იმის გაანალიზებასაც ვერ მოასწრებდით, რაც ზემოთ გითხარით. მაგრამ ზოგიერთი ძვრები ამ მიმართებით შესამჩნევი უნდა ყოფილიყო. კარგია, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს გაუმაძღარი მადა აღუკვეთეთ და ძვირადღირებული ჯიპი არ აყიდვინეთ, მაგრამ გადახედეთ სხვებსაც, რას ყიდულობენ, რას აშენებენ, რით დაბრძანდებიან, რით დადიან უცხოეთში და როგორ სასტუმროებში ჩერდებიან.

როგორც პრესიდან გავიგე, მომავალი წლის ბიუჯეტში ჩადებული გაქვთ 137 მილიონი ლარი ჩინოვნიკების ხელფასების გასაზრდელად და არც ერთი თეთრი — პენსიების მოსამატებლად. საკითხავია, — **რა დამსახურების გამო იღებენ თქვენი ჩინოვნიკები ათიათასობით ლარ ხელფასს, მით უფრო, ზღაპრულ პრემიებს? რა, გეგმის ზემოთ ფოლადი გამოადნეს თუ თუჯი? ზეგეგმიური ჩაი აწარმოეს, ყურძენი, ხორცი, რძე თუ კიდევ რა? თუ ქვეყანას უჭირს და ამის გამო პენსიებს ვერ უმატებთ უბედურ მოხუცებს, მაშინ თქვენმა ჩინოვნიკებმაც მოუკლონ კომფორტულ ცხოვრებას, უცხოეთში ვოიაჟებს და იცხოვრონ ისე, როგორც უბედური ხალხი ცხოვრობს!**

ზემოთ ვთქვი, რომ საქართველოს არ გააჩნია ისეთი სახის ბუნებრივი რესურსები, რომ სწრაფად განავითაროს ეკონომიკა, თუმცა იმის საშუალებანი კი აქვს, რომ ეკონომიკა გააორმაგოს.

ბატონო პრემიერო! ბუნებრივ პირობებზე და ბუნებრივ რესურ-

სებზე ვლაპარაკობთ და კარგი იქნება, თუ გაეცნობით დანიის ბუნებრივ პირობებს და რესურსებს. აქვე მოგახსენებთ, რომ მოსახლეობის რაოდენობით დანია ჩვენხელა ქვეყანაა, ხოლო ტერიტორიის სიდიდით — ჩვენზე პატარა. ამასთან, ეს ქვეყანა ყინულებში მდებარეობს, მისი ტერიტორიის მხოლოდ 2%-ია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული, მეტად ღარიბია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ შეხედეთ მის ეკონომიკას და მოსახლეობის ცხოვრების დონეს, რამხელა სხვაობაა ჩვენსა და ამ ქვეყანას შორის. მისი ბიუჯეტი 20 მილიარდ დოლარზე მეტია. ასევეა შვეიცარია. მისი ტერიტორიის 60% მთებია. გაგზავნეთ კომპეტენტური კომისია და შეისწავლეთ, რით მიაღწიეს ამ ქვეყნებმა განვითარების მაღალ დონეს.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება უმუშევრობა. რატომ ხდება, რომ ჩინოვნიკების ოჯახების ყველა წევრი და ნათესავი დასაქმებულია და უმრავლესი ოჯახებიდან არც ერთი არ მუშაობს?

ბატონო პრემიერო! თქვენ ტყუილად გაქვთ იმედი, რომ ინვესტორები მოაწყდებიან საქართველოს, დიდ ფულს ჩადებენ და დაასაქმებენ ჩვენს მოქალაქეებს. ეს ასეც რომ მოხდეს, გაიწელება დროში და ვინ იცის, რამდენ ათეულ წელში მოხდება ამ ხალხის დასაქმება. მათი დასაქმება თუ გინდათ, სულ სხვა გზა და საშუალება უნდა გამონახოთ. **დიდი შეცდომაა ის, რომ ერიდებით მეურნეობრიობის სოციალისტური ფორმების გამოყენებას.** საბაზრო ეკონომიკა რომ არ გამორიცხავს სოციალისტური ფორმების წარმატებით გამოყენებას, ეს დამტკიცებულია სკანდინავიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე. **გადადგით გაბედული ნაბიჯები და შექმენით სახელმწიფო საწარმოები, სახელმწიფო დამამზადებელი სტრუქტურები, საკუთარ ხელში აიღეთ ოქროს საბადოს, მარგანეცის და სხვა ბუნებრივი რესურსების მართვა და გამოყენება და ჩააყენეთ ისინი ხალხის სამსახურში. რამდენ მოგებას ნახავს სახელმწიფო ნავთობის და სხვა რესურსების შემოტანით და რეალიზაციით, ღირს, ბატონო ირაკლი, ამაზე დაფიქრება.**

კომუნისტებსა და სტალინს რომ ლანძღავენ „ნაციონალები“ და ყველა ჯურის კრეტინები, მიმოიხედონ გარშემო, რამდენი გიგანტური საწარმო დაუტოვეს ჩვენს ქვეყანას. თუკი ვერ ვიყენებთ მათ, რა, კომუნისტების ბრალია?

ამასთან მჭიდრო კავშირშია ფუნდამენტური მეცნიერების ხელშეწყობა და ამუშავება. ჩვენს ქვეყანაში იმდენი და ისეთი ინტელექტუალური ძალა მოიპოვება, რომ მათი ამოქმედების პირობებში ხელი შეეწყობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. როგორ გგონიათ, ამერიკამ რით მიაღწია ასეთ გიგანტურ წარმატებებს ტექნოლოგიაში? — იმით, რომ ყველა ქვეყნიდან ინტელექტუალურ კადრებს ექაჩებოდა თავის ქვეყანაში. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? **ჩვენივე უთავობითა და უუნარობით ხელი შევუწყვეთ ინტელექტუალური ახალგაზრდების მიგრაციას უცხოეთის ქვეყნებში.** როგორ გგონიათ, „ნაციონალებმა“ მოტივაციის გარეშე გაანადგურეს მეცნიერებათა აკადემია, მისი ინსტიტუტები, დაარბიეს უმაღლესი სასწავლებლების გამოჩენილი კვალიფიციური კადრები? მათი აზრით, საქართველოს არ სჭირდება მეცნიერება, გამოგონებები, აღმოჩენები, რადგან უცხოელების მომსახურე პერსონალად უნდა გადაექციათ ჩვენი ხალხი. მათ არ აძლევდათ ხელს საწარმოების ამოქმედება, რადგან აქ წარმოებული პროდუქციით ხეირს ვერ ნახავდნენ, უცხოეთიდან შემოტანილი საქონლით კი მილიონები მიდიოდა მათ უძირო ჯიბეებში.

საქართველოში სამხედრო წარმოებაშიც არიან ისეთი გამომგონებლები, რომელთაც შეუძლიათ განსაცვიფრებელი სამხედრო ტექნიკის შექმნა, მაგრამ „ნაციონალებს“ ხელს არ აძლევთ სამხედრო იარაღის საწარმოების შექმნა, რადგან შემოტანილი უხარისხო იარაღით ფულს ვეღარ იშოვნიან.

თქვენ, ბატონო ირაკლი, გევალებათ, ეკონომიკის აღორძინებისთვის განსაკუთრებული პირობები შეუქმნათ ქართველ მეცნიერებს. **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერებათა აკადემიის, მისი ინსტიტუტების აღორძინებას. არ ვიცი, ამასთან დაკავშირებით რას გირჩევენ თქვენი მრჩევლები, მე კი გირჩევთ, უახლოეს მომავალში ქართველი მეცნიერები შეკრიბოთ, მოუსმინოთ მათ, ამ საუბარში გამოიკვეთება, რა მიმართულებით უნდა წავიდეს მეცნიერული აზროვნება.**



რაკიღა მეცნიერებაზე, მის აღორძინებაზე, ნოვატორული აზროვნების განვითარებაზე და მათ როლზე ვლაპარაკობთ ეკონომიკის განვითარების საქმეში, ურიგო არ იქნება, ყურად ვიღოთ ქართველი მეცნიერების ერთი ჯგუფის წინადადება **სასმელი წყლის რე-**

ნონსენსია ის, რომ მთავრობას ჰყავდეს რეინტეგრაციის, ევროინტეგრაციის და დიასპორის მინისტრები და არ ჰყავდეს მშენებლობის მინისტრი. ვერ გამიგია, რა საჭიროა ზემოდასახელებული სამინისტროები, როცა მათი ფუნქციები წმინდა წყლის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებია? გეკითხებით: სხვას რას უნდა აკეთებდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო თუ არა ამ საქმეებს?

სურსების გამოყენების საქმეში. დიდი ხანია, ისინი გარკვეულ სიგნალს იძლევიან ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მთავრობა ჯიუტად დუმს და ჯერაც არ გამოხმაურებია ამ წინადადებას. რაკიღა სიტყვამ მოიტანა, მეცნიერებისა და გამოგონებების ხელშეწყობის მიმართულებით, **ურიგო არ იქნება, გირჩიოთ ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში შექმნათ მეცნიერ-გამომგონებელთა ხელშემწყობი რაღაც სტრუქტურა, დააფინანსოთ იგი და ფართოდ ჩააბათ ახალგაზრდა გამომგონებელთა კადრები ახალი ტექნოლოგიების გამოგონებას და წარმოებაში. გარწმუნებთ, ბატონო ირაკლი, ასეთი რესურსი უხვადაა ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობაში.**

ბატონო პრემიერო! ქვეყანამ რომ წარმატებას მიაღწიოს, უნდა ჰყავდეს ხალხის ნდობის მანდატით აღჭურვილი მთავრობა, დაკომპლექტებული უნარიანი, კომპეტენტური და პატიოსანი კადრებით. **ხალხის პატივისმცემელი მთავრობა განუსაზღვრელ გასამრჯელოს არ უნდა იღებდეს, ძვირადღირებული ჯიპებით არ უნდა დაგრიალებდეს, უცხოეთში ვოიაჟებით მილიონობით თანხას არ უნდა ფლანგავდეს. ისტორიიდან შეგახსენებთ, რომ პარიზის კომუნის მინისტრები საშუალო მუშის ხელფასისოდენა გასამრჯელოს იღებდნენ, ლენინი, სტალინი და ბოლშევიკების სხვა ხელმძღვანელები შავი პურით იკვებებოდნენ,** როგორ შეიძლება შრომის ანაზღაურებაში ამხელა ამპლიტუდა არსებობდეს — ჩინოვნიკს ათი ათასი ლარი ჰქონდეს, ხოლო უბედურ ხალხს მხოლოდ 150 ლარი?

რაკი მთავრობაზე ვლაპარაკობთ, აქვე მინდა გირჩიოთ, რომ **სტრუქტურულად სწორად ჩამოაყალიბოთ სამინისტროები,** რაც მათ ეფექტიან მუშაობას შეუწყობს ხელს. ნონსენსია ის, რომ მთავრობას ჰყავდეს რეინტეგრაციის, ევროინტეგრაციის და დიასპორის მინისტრები და არ ჰყავდეს მშენებლობის მინისტრი. ვერ გამიგია, რა საჭიროა ზემოდასახელებული სამინისტროები, როცა მათი ფუნქციები წმინდა წყლის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციებია? გეკითხებით: სხვას რას უნდა აკეთებდეს საგარეო საქმეთა სამინისტრო თუ არა ამ საქმეებს?

თუმცა შეგახსენებთ, რომ „დამოუკიდებლობის“ მოპოვების დღიდან დღემდე საქართველოს ეს სამინისტრო თითქმის არ ჰქონია, რადგან თავის ფუნქციებს ერ ასრულებდა. ქვეყანას არ ჰქონდა გააზრებული საგარეო პოლიტიკა, იგი ეროვნული პოზიციების დასაცავად არ ირჯებოდა.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ქართული ენისთვის შეუსაბამო ზოგიერთი სტრუქტურის დეფინიცია. არ მესმის, რატომ უნდა ერქვას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს „პარლამენტი“ მაშინ, როცა ინგლისისა და მისი სატელიტი ქვეყნების გარდა არავის არ ჰყავს ასეთი დასახელების საკანონმდებლო ორგანო. რატომ ვერიდებით სიტყვას „საბჭო“? რა, გამსახურდიაზე მეტი პატრიოტები ვართ, რომელიც „უზენაეს საბჭოს“ უწოდებდა მას? თუ ეს სახელწოდება არ მოგვწონს, მაშინ ვუწოდოთ „ეროვნული კრება“, მაგრამ არა, — ამ სახელწოდებით კოჭი უნდა გავუგოროთ ამერიკასა და ევროპას. საქართველოს ეროვნული მთავრობა რომ ჰყავდეს, არ დაუშვებდა ჩვენი ენისთვის ისეთი შეუფერებელი ფორმების გამოყენებას, როგორიცაა „დეპარტამენტი“ (უნდა ერქვას „განყოფილება“ ან „სამმართველო“), მენეჯერი, მენეჯმენტი, „ბილ-ბორდი“, „ბენდი“, „ბრენდი“, „ბორდი“ და მრავალი სხვა“. ენათმეცნიერი ნიკო მარი ამბობდა — ქართული ენა ისეთი მდიდარია, რომ ამ ენაზე ყოველგვარი აზრისა და ცნების გამოთქმაა შესაძლებელია, ხოლო დიდი კონსტანტინე ბრძანებდა, — ენამ კრედიტი მაშინ უნდა აიღოს უცხო ენიდან, როცა ამ ენაში ამ ცნების თუ აზრის ფორმა არ არსებობსო. რაც ზემოთ მოგახსენეთ, ამ ცნებების შესატყვისი ამაზე ლამაზი და მკვეთრი ფორმები არსებობს ჩვენს მადლიან ენაში.

ხაზს ვუსვამთ რა ერისთვის მნიშვნელოვან ამ გარემოებას, წინადადებას გთავაზობთ, **შევქმნათ, უფრო სწორად, ავაღორძინოთ, ენის პალატა.** ამით დიდ საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ.

არ შეიძლება არ შევეხოთ ძეგლომანიას, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკის გაგრძელებაა, ეს სამარცხვინო მარაზმია და კარგს არ ლაპარაკობს თქვენი მთავრობის მოღვაწეობაზე.

უნდა გესმოდეთ, რომ სააკაშვილის „პრეზიდენტობა“ ანომალია იყო და ლაქად გაჰყვება ჩვენს სა-

ხელოვან ისტორიას, ისევე, როგორც რომის ისტორიას ლაქად შემორჩა კალიგულასა და ნერონის მოღვაწეობა. გიჟის ნაბიჯები არ უნდა გავიმეოროთ.

ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი შედევრის „ვეფხისა და მოყმის“ სტრიქონების პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, მართებული იქნებოდა, სააკაშვილის დედას ეთქვა: „ერთ შვილ მაინც გავზარდე, ძეგლებთან მეომარია“.

ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა ვერ გავიგეთ, რა დააშავა დავით აღმაშენებლის, ილიას, მემედ აბაშიძის და ბოლოს — დიდი სტალინის ძეგლებმა.

ბატონო პრემიერო! ავი ენები ამბობენ, რომ გორში სტალინის დაბადების წინა დღეებში თქვენ აკრძალეთ ამ ძეგლის დადგმა, თვალებს ხუჭავთ სტალინის ძეგლების შეურაცხყოფაზე. გამოდის, რომ ბოროტი დედაკაცის — ჩორგოლეიშვილის ხუშტურებზე ყოფილა დამოკიდებული, უნდა იდგას თუ არა ბელადის ძეგლები საქართველოში.

როგორ უნდა აპატიოთ თელაველ კაცუნებს სტალინის ძეგლის აღება ან ყვარლის კაცუნებს ერეკლე მეორეს ქუჩისთვის სახელის გადარქმევა?!

რაკი ეს ძეგლები არ მოგწონთ, ერთ რჩევას მოგცემთ: თბილისში, თვალსაჩინო ადგილას დადგათ თქვენი პარტიისა და „ნაციონალების“ ჩახუტების ძეგლი. ეს იქნებოდა ნოვატორული ღონისძიება და მაგალითს მისცემდით მთელ მსოფლიოს.

ბატონო პრემიერო! ხალხის უკმაყოფილებას იწვევს, აგრეთვე, წინა ხელისუფლების მიერ ესტაფეტით გადმოცემული რეგიონული მართვის მოდელი. ცნობილია, რომ რეგიონული მმართველობა შემოიღო შევარდნაძემ, რომელსაც ასე დაჟინებით აკრიტიკებდნენ „ნაციონალები“, მაგრამ მოვიდნენ თუ არა ხელისუფლების სათავეში, არათუ გააუქმეს, გააძლიერეს კიდეც მმართველობის ეს მარაზმული ფორმა. თქვენი კოალიციაც მკაცრად აკრიტიკებდა მმართველობის ამ ფორმას, მაგრამ, მოხვედით თუ არა ხელისუფლების სათავეში, არა თუ გააძლიერეთ ეს სტრუქტურა, ხელფასებიც კი გაუზარდეთ იქ დასაქმებულ პირებს. ვერ გავიგეთ, ამ ერთი მუჭა ქვეყანაში რაში გჭირდებათ გუბერნატორები, თავი რომ გავანებოთ იმას, თუ რამხელა თანხები იხარჯება რეგიონულ მმართველობაში, აბსოლუტურად უკარგავთ რაიონულ რგოლებს თვითშემოქმედების, ინიციატივის და მეურნეობრივი მართვის ხალისს, რადგან მათ ყოველდღიურ საქმიანობაში უხეშად ერთვება გუბერნატორი.

ბუნებრივად გვრჩება შთაბეჭდილება, რომ შევარდნაძესაც, საკაშვილსაც და თქვენც ეს სტრუქტურა გჭირდებათ საარჩევნო ხმების მობილიზაციისთვის. აი, ეს არის ამ საკითხის ალფა და ომეგა, ანი და ჰაე.

ბატონო პრემიერო! ორიოდე რჩევა უნდა მოგცეთ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, მყარად გაქვთ შეგნებული, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების გარეშე ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებებს ეკონომიკაში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ნათლად არ იცით, როგორ უნდა მიაღწიოთ ამ წარმატებებს. „ნაციონალების“ მიერ კანტი-კუნტად სოფლის მოსახლეობისთვის დარიგებული მიზერული რაოდენობის საწვავი და სასუქი და თქვენ მიერ საგაზაფხულო ხვნა-თესვისთვის მასალების გამოყოფა სრულიადაც ვერ გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევიგნოთ, რომ **პარტულარული მეურნეობები ვერასოდეს მოგვცემს სასურველ შედეგს. სტალინი სულელი არ იყო, სოფლად საკოლმეურნეო წყობილება რომ შემოიღო. დაქსაქსული გლეხური მეურნეობა ვერასოდეს აწარმოებს სასაქონლო პროდუქციას.** ერთსაც შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერირება მთლად სოციალისტური ელფერისა და შინაარსის მატარებელი არ არის, ესაა ჯგუფურ საკუთრებაზე დაფუძნებული ფორმა, რომელშიც სახელმწიფო აბსოლუტურად არ უნდა ერეოდეს. სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს დახმარება ასეთი მეურნეობებისთვის, ხოლო ამ მეურნეობათა მოვალეობა უნდა იყოს, შექმნას სასაქონლო პროდუქცია, მიჰყიდოს ის სახელმწიფოს და გადაიხადოს კანონით დაწესებული გადასახადები.

ჩვენი აზრით, სოფლად მეურნეობათა გამსხვილება უნდა წავიდეს ორი გზით: პირველი — იქ, სადაც ამის საშუალებას თავისუფალი მიწა იძლევა, შეიქმნას კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ლატიფუნდიები; ხოლო იქ, სადაც მიწები მოსახლეობის ხელშია, ყველგან შეიქმნას კოოპერატივები, ხოლო მათი ტექნიკურ-სამეცნიერო მომსახურებისთვის — მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ასევე, **უნდა აღორძინდეს საცდელ-საჩვენებელი, სანერგე, სათესლე და სხვა მეურნეობები.**

აი, აქ არის სოფლის მეურნეობის აღორძინების გასაღები.

ბატონო პრემიერო! გთხოვთ, არ გაგაღიზიანოთ იმან, რომ ასე მკაცრი ტონით გელაპარაკებით, ნურც იმას იფიქრებთ, რომ ვერ ვხედავდე თქვენს უნარს, ნიჭს, განათლებას და სურვილს, უკეთ წარმართოთ ქართველი ხალხის ცხოვრება. მე, როგორც რიგითმა ამომრჩეველმა, ოფლი ვღვარე „ნაციონალების“ იდეოლოგიური გაკოტრების და თქვენი კოალიციის წარმატებების მომტანი პროპაგანდა-აგიტაციით. თუ რაიმეს ვერ ვხედავ პოზიციურს თქვენს მოქმედებაში და რჩევას გაძლევთ, ისევ თქვენს სასიკეთოდ. გაიხსენეთ ილიას „ბედნიერი ერი“, რომელსაც ილიას საქართველოს სიძულვილად უთვლიდენ, და ისიც გაიხსენეთ, რა უპასუხა ილიამ ცილისმწამებლებს — მათ არ ესმით ამ „სიძულვილში“ რაოდენი სიყვარულია.

ინდიკო სეფაშვილი,
პენსიონერი,
ყვარელი

ნიკოლოზ ტიხონოვმა თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების დიდი ნაწილი საქართველოს მიუძღვნა

სხვადასხვა დროს საქართველომ არა მარტო განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა რუს პოეტთა შემოქმედებაზე, არამედ ბევრმა მათგანმა ეს ქვეყანა თავის მეორე სამშობლოდ აღიარა. ნიკოლოზ ტიხონოვმა თავის ეპოქაში ერთ-ერთმა პირველმა განაგრძო ესოდენ თავისებურად და ნაყოფიერად პუშკინისა და ლერმონტოვის მიერ დაწყებული ტრადიცია საქართველოსთან მეგობრობისა. „თუ XIX საუკუნეში რუსეთის პოეზიის ამ ორმა დიდმა ბუმბერაზმა აღმოაჩინეს საქართველო პოეზიისთვის და თავიანთი შთაგონების წყაროდ ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ადამიანების განუმეორებლობა გაიხადეს, ჩვენს დროში ნ. ტიხონოვმა სრულიად ახლებურად განაგრძო ეს ესტაფეტა საქართველოს ბუნებისა და ადამიანების სიყვარულისა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისგან რევოლუციის მიერ გათავისუფლებული ქვეყნის ახალი ბედნიერი ცხოვრების დიდებისა“, — წერდა გრიგოლ აბაშიძე თავის მოგონებათა კრებულში „წინაპრები და თანამედროვეობა“.

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ნიკოლოზ ტიხონოვი ამბობს: **„არის ქვეყნები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სხვა ქვეყნებისთვის. ეს მნიშვნელობა გამოიხატება არა ეკონომიკასა და პოლიტიკაში. არა, იგი განსაკუთრებულ პოეტურ ორეოლში გამოიხატება ერთმანეთის შემცვლელი მრავალი თაობისთვის. მათი ბუნება, მათი ხელოვნება, მათი ძველი კულტურა იწვევს არა მარტო სპეციალისტთა განსაკუთრებულ მღელვარებას. ისინი თავიანთ გავლენას ახდენენ მხატვრებზე, მწერლებზე, მეცნიერებზე. ევროპის ერთი ასეთი ქვეყანათაგანი, რომელსაც ევროპელთა შეგნებისთვის განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით, იტალიაა... რუსი პოეტებისთვის ჩვენს იტალიად იქცა საქართველო“.**

საქართველოს თემა ერთ-ერთი უმთავრესი გახდა ნიკოლოზ ტიხონოვის პოეზიისთვის და განა მარტო პოეზიისთვის! მის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური გზნებით გამთბარი მრავალი წერილი საქართველოზე, მის ხალხსა და ცალკეულ ადამიანებზე, წერილები ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე, რომლებშიც ავტორი მუდამ ნახულობდა თავისებურ კუთხეს განსაკუთრებული, ტიხონოვისებური თვალსაზრისით საგნის დასანახავად. მისი ეს წერილები, ესსეები სავსეა ორიგინალური აზრებით, რომლებიც მანამდე არავის მოსვლია, გამოირჩევა ღრმა გაგების იმ ბეჭდით, რომელიც მხოლოდ დიდი ტალანტების მსჯელობას ახლავს ხოლმე.

საქართველო ტიხონოვის არა მარტო პოეზიის, არამედ მთელი არსების, ბიოგრაფიის ნაწილი გახდა მრავალი წლის განმავლობაში. მან შექმნა პოეტური ციკლები საქართველოზე და სწორედ ამ ლექსებით სრულიად ახალი სიტყვა თქვა მე-20 საუკუნის რუსულ პოეზიაში. ნიკოლოზ ტიხონოვი მარტო ლექსების ამ წიგნებისთვის უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის სამუდამო სიყვარულს, ამის მეტი სხვაც რომ არაფერი გაეკეთებინა, მაგრამ მან მეორე დიდი სამსახურიც გაუწია ქართველ ხალხს და ძნელია ამ სამსახურის გადაჭარბებით შეფასება. იგი თავის სახელოვან მეგობრებთან — ბ. პასტერნაკთან, პ. ატიკოლსკისთან და ნ. ზაბოლოცკისთან ერთად გახდა ქართული პოეზიის პირველი აღმომჩენი და საბჭოთა თარგმნით ხელოვნებაში სრულიად ახალი ეტაპის შემქმნელი.

ნ. ტიხონოვი და საქართველო ერთმანეთისგან განუყოფელია და პოეტს სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა:

Я не изгнанник, не влекомый
Чужую радость перенесть.
Мне в этом крае все знакомо,
Как будто я родился здесь...

„ნიკოლოზ ტიხონოვმა ყველას გაუნაწილა თავისი დიდი პოეტური გული. მის მუზას უყურადღებოდ არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი წევრი საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახისა. უკრაინა და სომხეთი, ლიტვა და ლატვია, აზერბაიჯა-

ნი და თურქმენეთი, ავარია და ბალყარეთი ერთნაირად არიან დავალებული მისი მეგობრობითა და შემოქმედებით. და სწორედ დღეს არ შეგვიძლია, ქართველებს არ გავახსენოთ, პოეზიის ყველა მეგობარსა და დამფასებლებს, დაუვიწყარი სტრიქონები ნ. ტიხონოვის „კახეთის ლექსებიდან“:

Я прошел над Алазанью,
Над причудливой водой,
Над седою, как сказанье,
И как песня молодой...

ან ტიხონოვის მიერ თარგმნილი ლეონიძის ლექსის სტრიქონები, რომლებიც ისევე ვაჟკაცურად ჟღერს რუსულად, როგორც თავად ტიხონოვის ლექსები:

Мы прекраснейшим только
то зовем,
Что созревшей силой отмечено -
Виноград стеной,
иль река весной,
Или нив налив, или женщина...

პავლე ინგოროყვა, სერგი ჭილაია, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბესარიონ ჟღენტი

დიახ! ნ. ტიხონოვმა თავისი სიცოცხლისა და შთაგონების დიდი ნაწილი საქართველოს მიუძღვნა. ეს ხარკი იმდენად ფასდაუდებელია, რომ მისი გადახდა არავითარი ჯილდოთი და წოდებით არ შეიძლება. მისი ერთადერთი საზღაური მხოლოდ და მხოლოდ საერთო-სახალხო სიყვარულია და ნ. ტიხონოვმა კარგად იცის, რაოდენ გულწრფელი და უსაზღვროა მისდამი ქართველი ხალხის სიყვარული!“(გრიგოლ აბაშიძე).

ქართველმა მთამსვლელებმა კავკასიონის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს ნ. ტიხონოვის სახელი უწოდეს. ამაში მისდამი, როგორც მთამსვლელისადმი, პატივისცემის გამოხატვის სურვილთან ერთად (ნ. ტიხონოვი ცნობილი მთამსვლელიც არის და მრავალი მწვერვალი აქვს დაპყრობილი!) ქართველი ხალხის ის დიდი სიყვარულიცაა გამოხატული, რომლითაც იგი გამსჭვალულია რუსეთის რჩეული შვილებისადმი.

ნიკოლოზ ტიხონოვს კანონიერად ეკუთვნის ეს სიმაღლე. იგი ამ სიმაღლიდან კაცთმოყვარე თვალით გაჰყურებს მზით განათებულ საბჭოეთის უნაპირო სივრცეებს და მეგობრობისა და მშვიდობის სადიდებლად აგუგუნებულ მის დიდებულ სიმღერას ბანს აძლევენ მარად თოვლიანი მთებიდან დაქანებული ზვავები და მისი ლექსებივით მქუხარე ძალუმი მდინარეები.

დეა სვანიძე

გიორგი ლეონიძე
ნიკოლოზ ტიხონოვს

გომბორის თავზე
მთვარესთან ვდაობ,
ამ ლექსს რომ გიწერ,
კიდეც თენდება;
მაჭრის ჯამივით ელვარე, ძმაო,
შენი ჭახჭახი მომაგონდება.

ისევ აქა ხარ და ძმობას სთაფლავ,
ვაზის ფოთლებით
შუბლდაბურული,
ჰა, იცრიცება წყვდიადის აფრა,
თრთის შუაღამე უდაბურული.

ცა აივერცხლა... ალაზნის ველი
ბრწყინავს, ვით ფარჩა
ხოხბის თვლიანი,
შენ მაგონდები... ლექსები მწველი
აქ რომ სიუხვით მოირთვლიანე!

ჩვენ ერთი ძმობის
გვაცვია კვართი,
ვართ, როგორც ვაზი
სავსე სიტკბოთი,
შენ ხალხის გულში
მოსწყვიტე ვარდი
და მისი შუქით სიტყვას ითბობდი...

თუ სიყვარულის იდექ ორწყალში,
ტვირთი ძმობისა განა გიმძიმდა?
ძმურ ლექსთ-ზვირთების
ქაფშეტყორცნაში
შენ მარგალიტი გამოგიმწიფდა...

არა დამწვარი მხოლოდ ოცნებით,
არც ავთანდილი
სტუმრად მოსული,
განგმირული ხარ
დიდ სიყვარულით
და მისი ცეცხლით გარემოცული.

ჟამია, ძმაო, გამოხმობისა,
ვერა, ჭაღარა ვერ
დაგვამუნჯებს;
ვთქვათ ჩვენ სიმღერა
დიდი ძმობისა
და ჩვენი დროის
დავდოთ საუნჯედ.

ცა აივერცხლა.. დილა მოვარდა,
დილა შენსავით გახარებული,
არ გაგვიჭრია გული ორადა,
ერთი გული გვაქვს,
შეყვარებული...

ქალი, რომელმაც შეძლო ის, რაზეც მამაკაცები მხოლოდ ოცნებობდნენ

მთებზე შეყვარებული ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე პირველი ალპინისტი ქალია, რომელმაც შეძლო ის, რაც ბევრი მამაკაცისთვის მიუღწეველ ოცნებად დარჩა. ალექსანდრა ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო, მან კავკასიონის მწვერვალები თითქმის ასჯერ დალაშქრა.

ალექსანდრა ჯაფარიძე

1923 წელს საქართველოს გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ, მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო. **ალექსანდრა ჯაფარიძე ჯგუფში ერთადერთი ქალი იყო, რომელიც მყინვარწვერზე ავიდა.** ალექსანდრა ჯაფარიძემ მყინვარწვერი მეორედ ორი წლის შემდეგ დალაშქრა. ორჯერ დაპყრობილმა მყინვარწვერმა ისე მოაჯადოვა, რომ მას შემდეგ მთასვლელობისთვის თავი არ დაუნებებია.

„მშვენიერი ამინდია, არც ერთი ღრუბელი ცაზე. გავიხედე მწვერვალისკენ...მზის პირველი სხივები ანათებენ მის ჭაღარა ქოჩორს, სწორედ ჭაღარას, რადგან აქა-იქ შავი კლდეები მოჩანს თოვლ-ყინულიდან, გარემო ჩრდილს მოუცავს და ისედაც ამაყსა და ლამაზს, მზის სხივები მეტ სიამაყესა და სიმშვენიერეს მატებს. გიზიდავს თავისკენ და ისე ძლიერად, რომ იშვიათად თუ ვინმე გაუძლებს მას. გინდა ახლოს მიხვიდე, შეეხო, თავზე ხელი გადაუსვა და მიუალერსო. ეს ერთადერთი გმირია, რომელმაც ჩემი გული დაიპყრო და დაიმონა“, — ასე იხსენებს მყინვარწვერთან მიახლოებას ალექსანდრა ჯაფარიძე.

ყაზბეგის ამ ციცაბო კლდეზე აღმოაჩინა ალექსანდრა ჯაფარიძემ ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული. პუნქტირით აღნიშნულია მეტეოსადგურის გზა

ალექსანდრა ოჯახში ერთადერთი მთასვლელი არ ყოფილა. ამ სპორტით დაინტერესებულნი იყვნენ მისი ძმები — სვიმონი და ალიოშა. სიმონ ჯაფარიძე 1929 წელს თეთნულდზე ექსპედიციის დროს დაიღუპა. სწორედ ამ დღეს ალექსანდრასა და ალიოშას ძმის საფლავზე ფიცი დაუდიათ, წლისთავზე თეთნულდს დავიპყრობთო. ერთი წლის შემდეგ თეთნულდი პირველად ქალმა დაიპყრო და ეს ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე იყო. მაშინ ალექსანდრა 35 წლის გახლდათ.

შემდეგ მოდის 1934 წელი — უშბის დაპყრობა. 1938 წელს — ცენტრალური კავკასიონის მცირე, 1940 წელს — დიდი ტრავერსი, 1950 წელს — დიხთაუზე ასვლა.

ყაზბეგის ხედი დაბა ყაზბეგიდან. მარცხნივ გერგეთის მთა და გერგეთის მონასტერი

1948 წელს კი მყინვარწვერის კალთებზე აღმოაჩინა და შეისწავლა ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ პოემა „განდეგილი“ უძღვნა.

„როცა ალექსანდრა ჯაფარიძეზე ვფიქრობ, აღფრთოვანება არასდროს მინელდება. რამდენი შეძლო ამ ქალმა მაშინ, როცა ქალი მთამსვლელის ფენომენს მამაკაცის მენტალიტეტი ჯერაც არ სცნობდა. ალბათ, რამდენი დაბრკოლება შეხვდა, რამდენს გაუძლო, მაგრამ მაინც მთას შერჩა. ვოცნებობ ხოლმე: ნეტავი, ცოცხალი იყოს, რამდენს მომიყვებოდა. ვიცი, თუ ვინმე გამიგებდა ამ ქვეყანაზე, მხოლოდ ის“, — წერს მთასვლელი სოფო თვარაძე ალექსანდრას შესახებ.



ყაზბეგის მწვერვალის რაიონის სქემა

უამრავი ჯილდოს მფლობელს ოჯახი არ შეუქმნია. ოჯახის შექმნას საკუთარი საქმის სიყვარული და მთები ანაცვალა. ის მწვერვალზე იყო შეყვარებული... ადამიანი ყოველთვის ზრუნავს იმაზე, რომ ამ ქვეყანაზე რაღაც დატოვოს. ხშირ შემთხვევაში, ეს შვილია. როცა შვილი არ გყავს, ტოვებ იმას, რაც შენთვის უძვირფასესია; იმას, რაც შენი ნაწილია. მთასვლელი ქალისთვის ეს მთა იყო. ალექსანდრა ჯაფარიძემ სწორედ ეს დატოვა — ბიოგრაფია და გაუცვეთელი იდეალები. იგი დაკრძალულია ვერის ბაღში თავისი ძმების გვერდით.

ეკა ნასყიდაშვილი

ცხენბურთი — ქართული ეროვნული საცხენოსნო თამაში

ისტორიული წყაროებითა და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ორიგინალური, აღმოსავლეთის ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ფორმებისაგან განსხვავებული ცხენოსნური თამაშობანი, ე. წ. ქართული ჩოგანი. ამგვარი თამაშობის, ანუ ბურთაობის შესახებ ერთ-ერთი პირველი ცნობა შემონახულია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში.

ცხენბურთის ილუსტრაცია სპარსულ მინიატურაზე

როგორც ისტორიკოსი გვიამბობს, თამარის კარზე სტუმრად მყოფ მაჰმადიან მოციქულთა პატივსაცემად ბურთაობაც გაუმართავთ. ბურთაობად იწოდებოდა ადრეულ საქართველოში ცხენბურთი — უძველესი ქართული ცხენოსნური თამაშობა, იგივე ჩოგანბურთი. ქართველი მხედრებით აღფრთოვანებულ აღმოსავლელ სტუმრებს უთქვამთ: **„ერაყსა, ადარბადაგანსა და ერანსა ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილანო“** *(„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბილისი, 1941, გვ. 104)*. აქ ნახსენებ ბურთაობაში ნაგულისხმებია ჩოგანბურთი, ისევე, როგორც „შაჰნამეს“ ქართულ თარგმანში **„ბურთაობა“** იგივეა, რაც ორიგინალის **„ბურთიან-ჩოგნიანი“**. ჩოგნის ქნევაა ნაგულისხმები რუსთაველის ცნობილ თქმაშიც – „**მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მერჯვედ ქნევა“**. არჩილის **„გაბაასებაში“** ნათქვამია: **„მათ ანადირებს, აბურთებს, დიდებს უკიდებს მაყებსა“** (სულხან-საბას მიხედვით, „მაყა საბურთალოს სვეტია“). ბურთაობისა და ჩოგანბურთის იგივეობას უფრო ნათელს ხდის „გაბაასების“ მომდევნო ტექსტი: **„ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გამოჭრა, ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა, ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის დროს ფიცხლად გარდმოჭრა“.**

მხოლოდ ჩოგანბურთის (ცხენბურთის) სახეობებს შეიცავს ბურთაობის თეიმურაზისეული და ვახუშტისეული აღწერლობებიც. **თეიმურაზ ბაგრატონი** „ჩოგანს“ ასე განმარტავს: **„ქართული მხედართ ბურთის საგდებელი და საგორებელი ჯოხი მოკავებული, რომელსაც თავი მოკავებული აქვს და ბადესავით ლარით გაბმული აქვს მოკავებული. იგი ლარი დაგრეხილი, ძროხისა, ანუ ცხენისა ნაწლავთაგან, მსხვილს ძაფსავით გაკეთებულია, რომელ არს სტრუნი. ცხენდაცხენ ბურთსა ჩოგნით თამაშობენ და ქვეითადაც“** *(თეიმურაზ ბაგრატიონი. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, 1843)*.

გარდა შეჯიბრება-გართობისა, ცხენოსნური თამაშები სამხედრო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებადაც ითვლებოდა. ცხენბურთის ძირითადი ელემენტების (ჩოგნის ქნევა, ცხენით მანევრირება, უცაბეთი აჩქარება, მკვეთრი დამუხრუჭება, ცხენ-მხედრის შეთანხმებული ურთიერთქმედება) ოსტატური ფლობა მეომარს ბრძოლას უადვილებდა. თამარ მეფეს მხედართა საასპარეზოდ იპოდრომი ჰქონია გამართული. **„კართა სტოვანი, ერთა სტოლანი, ჰიპოდრომისა განთხმულობანი“** *(შავთელი)*. ცხენბურთი ლექსად აქვთ აღწერილი მეფე-პოეტებს — თეიმურაზსა და არჩილს, აგრეთვე, გრიგოლ ორბელიანს. ცხენბურთს აღწერენ იტალიელი მისიონერები დონ ქრისტეფორო დე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი და დიონიჯო კარლი (მე-17 საუკუნე).

ამ მასალებიდან ირკვევა, რომ არსებობდა ცხენბურთის 2 მთავარი და მკვეთრად განსხვავებული ნაირსახეობა: **1. *Gადრი*** — გულისხმობდა თამაშს ორ დაპირისპირებულ გუნდს შორის, რომლის მთავარი მიზანი იყო ბურთის გატანა მაყაში (სათამაშო მოედნის ბოლოში დასმული ნიშნები),

2. *რადი, ანუ რადრაბაგანი* – რამდენიმე ცხენოსნის ინდივიდუალურ შეჯიბრებას ბურთის გატაცებასა და ჰაერში შეთამაშებაში.

თანამედროვე ცხენოსნური თამაშები აღდგენილია ზემოთ დასახელებული წყაროებისა და კასტელის ნახატების მიხედვით.

ცხენბურთი დიდად გავრცელებული ყოფილა ერეკლე მეორის დროს. მეფეს ამ თამაშისა და სხვა შეჯიბრებებისთვის საგანგებოდ შეურჩევია ადგილები: კახეთში – თელავს ქვევითა მინდორი, ქართლში – ტირიფონის ველი. მეფის შვილიშვილის, **ალექსანდრე-ჯამბაკურ ორბელიანის** გადმოცემით, თელავში გამართულ ბურთაობაში პირადი გვარდიის მხედრებთან ერთად თავად ერეკლე-

საც მიუღია მონაწილეობა: **„მეფე ირაკლის უცხო დარახტული და საუცხოო ცხენებით რამდენიმე ასეული კაცი უკან გამოჰყვა. ამათ თვითეულად მარჯვენა ხელში ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყებული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაჭრელებული. ეს რაზმი 2 რაზმად გაიყო. ერთი – ერთ მხარეს დადგა, მეორე – მეორე მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებელი მინდორი შუაში დააგდეს და თითო ბაირახი თავ-თავის რაზმის მიწაში დაურჭეს. ამასთან, მეფე ირაკლიმ ოქროსფერი მოვარაყებული ჩოგნით წითელი სმოგვის ბურთი აიღო და ჩოგანში თამაშობით ცხენი გაიგდო. დიახ, სწრაფად გამქცევ ორ რაზმს შორის, ვიზედაც თვალი ეჭირათ ყველას, რომელ რაზმს გადაუგდებსო ბურთსა. ჯერ კარგახანი ასე ათამაშა სხვადასხვა ნავარდობით, მას უკან პირველ რაზმს შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა. იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი ერთი ერთმანეთზე გათამაშებით, უნდოდათ მეორე მხარეს ბაირაღთან გაეტანათ და ამით დარჩენოდათ სახელი, მაგრამ მეორე რაზმი წამოეგო პირველ რაზმს და დაერივნენ ერთმანეთს. იბრძოლეს და იბრძოლეს, მაგრამ არა ეშველა და ვერა რომელმა ვერ გაიტანა და მზეც დაეწვერა ჩასასვენებლად“** *(ალექსანდრე-ჯამბაკურ ორბელიანი. „ჩოგნაობა, ანუ ბურთაობა“. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1650).*

ადრე სათამაშოდ იყენებდნენ საგანგებოდ გაწვრთნილ საბრძოლო ცხენებს. ჩოგნებს ხისგან ამზადებდნენ, ბურთს — სმოგვის ტყავისგან და მატყლისგან (წინასწარ დაგუნდავებულ მატყლს მდუღარეში ხარშავდნენ, მერე აშრობდნენ, სველ ტყავში დებდნენ და ამოკერავდნენ). თითოეულ გუნდს 12-12 მოთამაშე გამოჰყავდა, ზოგჯერ — მეტიც. **ბავშვები თამაშობდნენ რამდენიმე ნაირსახეობის ქვეით ჩოგანბურთს: ღორობას, კომბლაობას, კარჯოხობას, კოშლაობას, ჭაკუნობას და სხვ.**

ქართული ხალხური თამაშობების მკვლევარებმა ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით აღადგინეს გადრის თამაშის წესები. ეს წესები მოიწონა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და 1948 წელს გადრი, ანუ ცხენბურთი ეროვნულ თამაშად აღიარა**. იმავე წელს თბილისში გაიმართა საჩვენებელი შეჯიბრება ცხენოსნურ თამაშობებში. განახლებული წესების მიხედვით, თითოეულ გუნდში 6-6 ცხენოსანია — მცველი (მეკარე), 2 წინა მცველი (მარჯვენა და მარცხენა) და 3 თავდამსხმელი (მარჯვენა, მარცხენა, ცენტრალური). საასპარეზო მინდვრის სიგრძეა 150-300 მ, სიგანე — 75-120 მ, მინდვრის კუთხეებში დამაგრებულია დროშები. კარის (მაყას) სიგანეა 6 მ, სიმაღლე — 3,5 მ, მის წინ შემოხაზულია 10-20 მ საჯარიმო მოედანი. შუა მინდორში სიგანეზე გავლებულია ხაზი 5 მ დიამეტრის მქონე ცენტრალური წრით. თამაშის ძირითადი ინვენტარია რეზინის მკვრივი ბურთი (დიამეტრი – 15-20 სმ) და ხის ჩოგნები (საშუალო სიგრძე — 1,25მ), რომლებზეც დამაგრებულია ბადიანი რკალი. თამაშის მიზანია ბურთის გატანა მეტოქის მაყაში ისე, რომ მხედარი მას მხოლოდ ჩოგნით შეეხოს. მოთამაშეს უფლება აქვს, თავისუფლად იმოძრაოს მთელ მოედანზე. ჩოგნის გამოყენება შეიძლება როგორც მიწაზე, ისე ჰაერში ბურთის დასარტყმელად, სატარებლად, დასაჭერად და გადასაცემად. აკრძალულია ჩოგნის დარტყმა მოწინააღმდეგე მხედარსა და ცხენზე. ბურთი შეიძლება იყოს: „გარეშე“ (აუტი), როდესაც მოედნის გარეთ გადავარდება და „სადავო“, როდესაც ერთად შეჯგუფულ ცხენებს ფეხქ-

ვეშ ჩაუვარდება. ამ დროს მსაჯი აჩერებს თამაშს და ბურთის მაღლა ასროლით „სადავოს“ გაათამაშებს. საჯარიმო (პენალტი) ინიშნება თამაშის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში – ბურთს ისვრიან საჯარიმო ხაზიდან. ამ დროს კარს მხოლოდ მეკარე იცავს. თამაში შედგება 10-15 წუთიანი ტაიმისაგან (არ ითვლება გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოტანის, საჯარიმო და სადავო გათამაშების დრო), შესვენება – 10 წუთი. თამაშის ყოველი ნახევრის დაწყებისას და გატანილი ბურთის შემდეგ მსჯას, რომელიც, აგრეთვე, ცხენზე ზის, ბურთი თამაშში შეჰყავს მინდვრის ცენტრში მაღლა აგდებით. თანამსაჯები გვერდითი ხაზების გასწვრივ მოქმედებენ. თამაში მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. საინტერესო ტაქტიკური კომბინაციებითა და რთული ტექნიკური ილეთების გამოყენებით. გამარჯვებულად ითვლება ის გუნდი, რომელიც მეტოქის მაყაში მეტ ბურთს გაიტანს. ცხენბურთი (გადრი) განსაკუთრებით პოპულარულია დასავლეთ საქართველოში.

ცხენბურთის მეორე სახეობის – რადის, ანუ რადრაბაგანის (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „რადი არს მცირედ ცალ მხარეს გამრუდებული“) ყველაზე ადრეული და სრული აღწერილობა იტალიელ მისიონერს — **არქანჯელო ლამბერტის** ეკუთვნის: **„ფართო მინდორზე, სადაც ცხენოსნისთვის, შესაძლოა, თავისუფლად გაჭენება, შეიკრიბება 8 თუ 10 ცხენოსანი საუკეთესო ცხენებით. მაგრად დააკრავენ ცხენებს უნაგირებს ორმაგის თუ სამმაგის მოსართავებით, იმ შემთხვევისთვის, რომ ვინიცობაა, ერთ-ერთი მოსართავი გაწყდეს თამაშობის დროს, როცა ცხენოსანი მთელი თავისი ძალ-ღონით ტრიალებს უნაგირზე. თითოეულ მათგანს ხელში უჭირავს თითო ჩოგანი, რომლის ტარსაც 4 თუ 5 მტკაველის სიგრძე აქვს. ჩოგანი ერთიანად გადაქსოვილია თოკით, როგორც ჩვენში (იტალიაში) იციან, ხოლო ერთის მხრით ხე არა აქვს და სრულიად გაშლილია, რათა ამ მხრით უფრო ადვილი იყოს ბურთის მიწიდან აღება. თამაშობა ამაში მდგომარეობს: ვინც თამაშობას იწყებს, ის ბურთს დადებს ჩოგანზე, რომელიც მაგრად უჭირავს ხელში და ცხენს გააჭენებს. იმას ერთი-მეორეზე ყველა დანარჩენები მისდევენ თავიანთი ჩოგნებით ხელში. პირველი მოთამაშე თავის წინ მაღლა ააგდებს ბურთს იმნაირად, რომ, ბურთი როცა მიწაზე დავარდება, იმ დროს მოთამაშეც იმ ადგილას მივიდეს, და როცა ბურთი ხელახლად ახტება ზემოთ, მოთამაშე თავისი ჩოგნით უკან გადაისვრის: ყოველი მოთამაშე ამ ბურთისკენ მიაჭენებს ცხენს და ცდილობს, სხვებზე წინ დაიჭიროს ბურთი, ისე, რომ ცხენიდან არ ჩამოხტეს. ვინც დაიჭერს, მაშინვე სხვების თავში დადგება და იმნაირადვე ააგდებს ზევით და მერე უკან გადაისვრის. მერე სხვები ცდილობენ ბურთის დაჭერას და ამრიგად თამაშობენ საღამომდის. ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდად გასართობი“** *(არანჯელო ლამბერტი, „1664 წელი სამეგრელოს აღწერა“. თარგმანი ალ. ჭყონიასი. თბილისი, 1937).* ლამბერტი იქვე მიუთითებს, რომ ამგვარი თამაში გვხვდება მხოლოდ „სამგრელოში, საქართველოში და მეტი არსად“. ამ აღწერილობას ზუსტად შეესატყვისება, ავსებს და **აზუსტებს დონ კრისტოფორო დე კასტელის** მიერ შესრულებული ქართული ჩოგანბურთის ილუსტრაციები. რადრაბაგანის წესები, ისევე, როგორც გადრისა, ლექსად გადმოგვცა მეფე თეიმურაზმა.

თეიმურაზ მეორის მიხედვით, რადრაბაგანი უფრო საინტერესო ყოფილა, ვიდრე სხვა ცხენოსნური თამაშობები. მასში მონაწილეობს 3-4 მხედარი. თამაში ინდივიდუალურია. როდესაც ბურთი მოედანზე გავარდება, რომელიმე მხედარი მას ჩოგნით დაიჭერს, ცხენს გააჭენებს და ბურთს ჰაერში აისვრის. გამარჯვებულად ის ჩაითვლება, ვინც მაღლა აგდებულ ბურთს ზედიზედ სამჯერ დაიჭერს. სათამაშო მოედნის სიგრძეა 50-60 მ, სიგანე — 40-50მ.

ცხენბურთის კიდევ ერთი სახეობა — ყვანჭისცემა — აღწერილია **შალვა დადიანის მოთხრობაში „დღესა ერთსა“.** სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ყუანჭი საბურთალი ჩოგანია“. გადრისა და რადისგან განსხვავებით, ყვანჭის ცემაში აკრძალულია ბურთის აღება და მაღლა ასროლა. ბურთს ყვანჭით ლელოსკენ ცხენდაცხენ მიაგორებენ. გუნდის შემადგენლობა იგივეა რაც გადრიში.

დეა სვანიძე

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲐ

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენებისა და შენახვის ტრადიციული მეთოდები საკმაოდ დიდი ხანია არსებობს. ღვინის წარმოების ამ ფორმით განვითარებას უდავოდ აქვს თავისი დადებითი მხარეები. ექსპერტების აზრით, კახური ტიპის ღვინო ნამდვილი ფენომენია და მსგავსი რამ მსოფლიოში არ არის ცნობილი.

ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

კახური ღვინის დასაყენებლად ქვევრს შეუცვლელი როლი აკისრია. მეთუნეობა საქართველოში ხუთ ძირითად მიმართულებად იყოფოდა: მექვევრეობა, მეკრამიტეობა, მეჭურჭლეობა, მეთონეობა (საიდანაც წარმოიშვა ამ დარგის სახელი **მეთუნეობა**) და მეაგურეობა.

კერამიკულ ნაწარმს ამზადებდნენ თითქმის ყველანაირი თიხისგან, რომელსაც აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში მოიპოვებდნენ. რაც შეეხება ღვინის სადუღარი თუ შესანახი ჭურჭლის დამზადებას, მას თიხაც და გამოცდილებაც განსაკუთრებული სჭირდებოდა. მართალია, ქვევრებში ინახავდნენ მარცვლეულს, მწნილეულს, ერბოს და ჭაჭას, მაგრამ იგი, პირველ რიგში, ოდითგანვე საღვინე ჭურჭელი იყო და დღემდე მეღვინეობას ემსახურება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲕᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲦᲔᲑᲡ. ᲥᲕᲔᲕᲠᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲦᲬᲘᲐ. ᲜᲘᲨᲐᲜᲓᲝᲑᲚᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲥᲕᲔᲕᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠᲡᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ.

ქვევრი ღვინის შესანახი სხვა ჭურჭლისგან ბევრი დადებითი თვისებით გამოირჩევა. მისი მთავარი სიკეთე უცვლელი ტემპერატურაა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ღვინის შენახვისთვის, განსაკუთრებით კი დუღილის პროცესში. ის არა მარტო დასადუღებელი და დასავარგებელი, არამედ ღვინის დასაძველებელი ჭურჭელიც იყო. ზოგიერთ შემთხვევაში, მასში ღვინო 20-30 წლის განმავლობაშიც კი ჩერდებოდა.

ქვევრის დამზადებისას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ქვევრის გამოწვას, ელექტროღუმელში იქნება თუ შეშის ღუმელში, 900 გრადუსი ტემპერატურა სჭირდება. თიხა უფრო მაღალ ტემპერატურას ვერ უძლებს და ქურაშივე იშლება, 700-800 გრადუსზე გამომწვარი ქვევრები კი უხარისხოა და ხმარებაში მალე ზიანდება. ამიტომ ქვევრის უარყოფით მხარეებში მისი მოვლისა და რეცხვის სიმცირესთან ერთად ახალი, უხარისხო ქვევრის შეძენის საშიშროებასაც ასახელებენ.

ქვევრის კედლები ფოროვანია, ამიტომ შეიძლება ქვევრიდან ღვინომ გაჟონოს ანდა გარედან წვიმის თუ გრუნტის წყალი მოხვდეს. ამის თავიდან ასაცილებლად ახალ ქვევრებს ათბობენ და შიდა ზედაპირზე თაფლის სანთელს უსვამენ. ცვილის ნაცვლად პარაფინის ან სხვა საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

დიდ ქვევრებს მეტი სიმტკიცისთვის გარედან კირით მოადუღაბებენ. ამ ოპერაციას რამდენიმე დატვირთვა აქვს: ქვევრში ზედმეტი ნესტის მოხვედრის ალბათობა მცირდება, ჭურჭელი უფრო მტკიცე ხდება და მიწისძვრის ან სხვა ვიბრაციის დროს სავსე ქვევრი ადვილად აღარ იბზარება. ამასთან, კირის დუღაბის სქელი ფენა წარმოადგენს ერთგვარ იზოლაციას, რომელიც ღია ცის ქვეშაც კი ქვევრში მუდ-



მივი ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ქვევრის შელესვისთვის კირის ნაცვლად ცემენტის გამოყენება კატეგორიულად არ შეიძლება. ტენიან პირობებში ცემენტის ხსნარი ძალზედ ცოტა ხანს ძლებს და იშლება. გარდა ამისა, ცემენტს ახასიათებს დაშმორება და მისი სუნი და გემო ქვევრშიც აუცილებლად შეაღწევს.

ხშირია შემთხვევა, როცა ქვევრის შიდა ზედაპირი იბზარება. ამ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები ასეთ მეთოდს მიმართავდნენ: იღებდნენ ერთ წილ თხის ქონს, ერთ წილ გამომწვარი თიხის ძალზე წმინდად დაქუცმაცებულ ფქვილს, ერთ წილ ასევე წმინდად დაფხვნილ ნახშირს, ურევდნენ ცოტაოდენ წყალს, ხარშავდნენ ცეცხლზე და ბზარების ამოსავსები საგოზავიც მზად იყო.

ქვევრის რეცხვა

გიორგი ბარისაშვილი, მევენახეობა-მეღვინეობის ექსპერტი: „დღეს გლეხურ მეურნეობაში დაყენებული ქვევრის ღვინო რატომღაც კარგი რეპუტაციით ვერ სარგებლობს. ეს არც არის გასაკვირი. მეღვინეობის საბჭოური ინდუსტრიის პირობებში ქართველმა კაცმა წინაპრების მიერ დაგროვილი უზარმაზარი ცოდნა საბოლოოდ დაივიწყა. სამწუხაროა, რომ ქართველ კაცს ქვევრის რეცხვა ეზარება და ამის გამო ხშირად მთელ მოსავალს ღუპავს. ასეთი „მეღვინის“ პროდუქტი ძირითადად აძმარებული, ამღვრეული და „თაგვის გემოდაკრული“ ღვინოა. მასში, პირველ რიგში, ჭურჭლის გემო იგრძნობა. მართალია, ქვევრის გარეცხვა საკმაოდ დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ გაურეცხავ ჭურჭელში ჩასხმული ღვინო თავიდანვე განწირულია“.

როგორც აღვნიშნეთ, ქვევრის ნაკლოვანი მხარე მისი რეცხვის სიძნელე და სადღეისოდ ქვევრის მოვლის, დამზადებისა და შენახვის სათანადო ცოდნის არარსებობაა. არადა, ქვევრთან დამოკიდებულება ჩვენში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ძველ საქართველოში „ქვევრის მრეცხავის“ პროფესიაც კი არსებობდა და ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს ქართველი მეღვინე მხოლოდ პროფესიონალს ანდობდა. თუკი ჩვენი წინაპარი მეღვინეობის ამ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტს ასეთ დიდ ყურადღებას უთმობდა, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ყურადღება და დრო ეთმობოდა ამ დარგის სხვა დეტალებს. ეჭვგარეშეა, რომ მაშინდელი ღვინო გაცილებით მაღალი ხარისხის იყო, ვიდრე დღევანდელი.

ქვევრის გასარეცხად შერჩეულ წყალს აუცილებლად სასმელი წყლის ხარისხი უნდა ჰქონდეს.



ყოვლად დაუშვებელია სარეცხად წვიმის ან მდინარის წყალი გამოვიყენოთ. რეცხვისას წყალი რამდენჯერმე უნდა გამოიცვალოს. ქვევრი მანამდე ირეცხება, ვიდრე ნარეცხ წყალს არანაირი ფერი, სუნი და გემო აღარ ექნება. ზოგჯერ ბოლო გამოსავლებ წყალში კომშის ფოთოლს ყრიან და წამოადუღებენ. ამგვარი ნაყენი ქვევრს საისამოვნო სუნს აძლევს.

ფოროვანობის გამო დროთა განმავლობაში ქვევრის კედლებზე ღვინის ქვა, ტანინი, საღებავი და სხვა ნივთიერებები ილექება. შეიძლება ვიზუალურად არც ჩანდეს, მაგრამ ეს ყველაფერი ღვინის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს. ამიტომ ქვევრის გასარეცხი წყალი უნდა შეთბეს, რაც კედლების უფრო ხარისხიან რეცხვას უზრუნველყოფს. გარეცხილ ქვევრს დაუყოვნებლივ გოგირდი უნდა ეხრჩოლოს. ეს პროცედურა კედლების გაშრობამდე ტარდება. გოგირდის ბოლი ჭურჭლის კედლებზე შემორჩენილ წყალთან რეაქციაში შედის, რაც ძალზედ ეფექტურია ქვევრის დეზინფექციისთვის.

ჩვენი მეღვინეობის ხსნა ტრადიციების დაბრუნებაა. ქვევრი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია და დავიწყებას არ უნდა მიეცეს.

ჯაბა ჟვანია

პავლე ინგოროყვა, სერგი ჭილაია, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბესარიონ ჟღენტი

გერგეთის სამება